



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გიორგი ანჩაბაძე

სამხედრო ისტორია

ლექციების კურსი

სომა პრეს

თბილისი

2002



ფონდი „ლია საზოგადოება-საქართველო“
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ნაშრომი წარმოადგენს სამხედრო ისტორიის მოკლე კურსს. მასში აღწერილია მსოფლიო ისტორიის ყველაზე ყურადსაღები ომები და ბრძოლები, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მოქმედებათა ფორმების განვითარება უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე. შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა სამხედრო ისტორიის უახლეს პერიოდს და, განსაკუთრებით, XX ს-ის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანეს ლოკალურ ომებს.

ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია საქართველოში სამხედრო საქმის განვითარების ძირითადი მომენტები (1921 წლამდე). წიგნის ეს მონაკვეთი საქართველოს სამხედრო ისტორიის იმ კურსის ნაწილია, რომელსაც ავტორი კითხულობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1984 – 1992 წლებში.

ლექციების კურსი განკუთვნილია თავდაცვის ეროვნული აკადემიისა და სამხედრო კათედრების მქონე უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნ. დოქტორი დ. ბერძენიშვილი

რეცენზენტები: პოლკოვნიკი გ. ლეფონავა
ისტორიის მეცნ. კანდიდატი ზ. ცინცაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი – 5

ნ ა წ ი ლ ი I

ძველი მსოფლიო – 7

ომებისა და შეიარაღებული ძალების წარმოშობა – 7

შეიარაღებული ძალების დახასიათება – 8

სამხედრო ხელოვნება – 9

სამხედრო საქმის განვითარება ძველ საქართველოში. ქართლის (იბერიის) სამეფოს

შეიარაღებული ორგანიზაცია – 15

ნ ა წ ი ლ ი II

შუა საუკუნეები – 18

ფეოდალური საზოგადოება. შეიარაღებული ძალების დახასიათება – 18

სამხედრო ხელოვნება – 22

ფეოდალური საქართველოს ლაშქარი – 25

ნ ა წ ი ლ ი III

ახალი დრო – 29

ომის მატერიალური და სოციალური ბაზის გაფართოვება – 29

სამხედრო ხელოვნება – 33

ქართული ჯარი 1918-1921 წწ. – 39

ნ ა წ ი ლ ი IV

უახლესი დრო – 42

სამხედრო ტენდენციები პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის – 42

მეორე მსოფლიო ომი – 46

თანამედროვე ეტაპი – 51

დასკვნა – 69

შენიშვნები – 70

Annotation – 78

Аннотация – 78

შესავალი

კლასობრივი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ომები პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი ხასიათი, მასშტაბი, სამხედრო ძალთა შემადგენლობა და ორგანიზაცია, ომისა და ბრძოლის მეთოდები (სამხედრო ხელოვნება)¹ დიდ ცვლილებებს განიცდიდა. ისინი იცვლებოდნენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და მატერიალურ-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად.

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს შეიარაღებულ ძალთა დაკომპლექტებისა და მომზადების ახლებური მეთოდები მოჰქონდა, რაც, საბოლოო ჯამში, ხარისხობრივად ახალი არმიის შექმნას იწვევდა. იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარება – საწარმოო ძალთა განვითარების შედეგია. ბრძოლის საშუალებათა განვითარება იწვევდა საბრძოლო მოქმედებათა წესების განუწყვეტელ ცვლას. სამხედრო ხელოვნებამ უდიდესი გზა გაიარა პირვანდელი პრიმიტიული ტაქტიკური ხერხებიდან თანამედროვე ოპერაციებამდე, რომლებიც უაღრესად რთულ და დინამიურ პროცესს წარმოადგენენ შეიარაღებულ ძალთა სხვადასხვა სახეობებისა და გვარეობების მონაწილეობით.

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ომია დაფიქსირებული. მათი როლი სამხედრო ხელოვნების განვითარებაში სხვადასხვანაირი იყო. იყო როგორც სწრაფი განვითარების, ასევე შეფერხებისა და დაცემის პერიოდები, როდესაც სამხედრო ხელოვნება დროებით უბრუნდებოდა ბრძოლის ძველ ფორმებსა და ხერხებს.

ამ რთულ და ზოგჯერ წინააღმდეგობრივ პროცესებს შეისწავლის სამხედრო ისტორია. ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ომების რაობას, შინაარსსა და ხასიათს, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების საშუალებებსა და ხერხებს, გამომდინარე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და მატერიალურ-ტექნიკური განვითარების დონიდან.

ვინაიდან სამხედრო ისტორია საზოგადოების ცხოვრების სამხედრო სფეროს შეისწავლის, იგი, ერთის მხრივ, ზოგადი ისტორიის ნაწილია, მეორის მხრივ, კი უშუალო და მჭიდრო კავშირშია სამხედრო მეცნიერებასთან² და წარმოადგენს მისი განვითარების ისტორიულ ბაზას. სამხედრო ისტორიის შემადგენელი ნაწილებია: ომების ისტორია (შეისწავლის ომების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის, სოციალურ არსს, კონკრეტული ომების მიზეზებს, მიზნებსა და ხასიათს, მათ მსვლელობასა და შედეგებს); სამხედრო ხელოვნების ისტორია (იკვლევს შეიარაღებული ბრძოლის ფორმებისა და ხერხების განვითარებას); შეიარაღებული ძალების ისტორია (შეისწავლის შეიარაღებულ ძალთა სახეობებისა და გვარეობების გაჩენა-განვითარებას); სამხედრო იარაღისა და ტექნიკის ისტორია; სამხედრო აზროვნების ისტორია. სამხედრო ისტორიის დამხმარე დარგებია სამხედრო ისტორიოგრაფია (შეისწავლის სამხედრო-ისტორიული მეცნიერების ისტორიას), სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობა (იკვლევს სამხედრო ისტორიის წყაროების შესწავლა-გამოყენების პრინციპებსა და მეთოდებს), სამხედრო არქეოგრაფია (შეიმუშავებს სამხედრო-ისტორიულ წყაროთა გამოქვეყნების ხერხებსა და პრინციპებს) და სამხედრო სტატისტიკა. წარსულის სამხედრო გამოცდილების შესწავლა-განზოგადოებაში, სამხედრო ისტორიის შემადგენელი ნაწილები და დამხმარე დარგები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და ერთიანი მეთოდოლოგიით სარგებლობენ.

სამხედრო ისტორია ოფიცრის ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადების ერთ-ერთი ელემენტია. მისი ცოდნა თანამედროვე სამხედრო ხელოვნების უკეთ გაგებისა და განვითარების პერსპექტივათა დანახვის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ შეიარაღებული ძალების სახეობებისა და გვარეობების, ომისა და ბრძოლის ხერხების, ჯარის საორგანიზაციო ფორმებისა და აღზრდის მეთოდების ისტორიის დაუფლებას.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ სამხედრო ისტორიის სწავლა ხელს უწყობს ოფიცრის საერთო სამხედრო-პოლიტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური თვალსაწიერის გაფართოვებას, სპეციფიკური სამხედრო აზროვნების განვითარებას. წარსული ოპერაციებისა და ბრძოლების ცოდნა (განსაკუთრებით XX ს-ის ომებიდან) საშუალებას აძლევს მას თანამედროვე ბრძოლის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტისას შემოქმედებითად გამოიყენოს კონკრეტულ-ისტორიული გამოცდილება, საბრძოლო მომზადებაში თავი აარიდოს შეზღუდვებს და დოგმატიზმს.

სამხედრო ისტორია ახალგაზრდა ოფიცერს კონკრეტული მაგალითებით ეხმარება ისეთი სამეთაურო თვისებების გამომუშავებაში, როგორიცაა მამაცობა, გამბედაობა, ინიციატივა, საბრძოლო სიტუაციის სწრაფი და სწორი შეფასება და არაორდინალური და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება.

ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის ცოდნა საჭიროა აგრეთვე შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის დროს. სამხედრო ისტორიის მეშვეობით ჯარისკაცებს უღვივდებათ სამშობლოსადმი სიამაყის გრძნობა, უვითარდებათ საკუთარი ძალების რწმენა და ლტოლვა გამარჯვებისაკენ.

საბოლოო ჯამში, სამხედრო ისტორიის შესწავლა ხელს უწყობს მაღალი კვალიფიკაციის, პატრიოტულად განწყობილი, ინიციატივიანი და შემოქმედებითად მოაზროვნე ოფიცრის ჩამოყალიბებას.

* * *

დიდი და რთული სამხედრო-ისტორიული მასალის სისტემატიზაცია მოითხოვს მთელი სამხედრო ისტორიის პერიოდებად დაყოფას, რაც ომის წარმოების საშუალებათა და ხერხების განვითარების მეცნიერული განზოგადების ერთ-ერთი ფორმაა. პერიოდიზაცია დამყარებულია იმ ნიშნებზე, რომლებიც სხვადასხვა პერიოდების სამხედრო ხელოვნებისა და შეიარაღებული ძალების თვისობრივ განსხვავებებზე მიუთითებენ. სამხედრო ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია მთლიანობაში ემთხვევა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებსა და მსოფლიო-ისტორიულ ეპოქებს, რაც განპირობებულია იმით, რომ წარმოების ხერხის ცვლილებები სამხედრო საქმეშიც იწვევენ ცვლილებებს.

ამრიგად, სამხედრო ისტორიის ძირითადი პერიოდებია: პირველი – ძველი მსოფლიოს ომების პერიოდი (უძველესი დროიდან ახ.წ. V ს-ის ბოლომდე); მეორე – შუა საუკუნეების ომების პერიოდი (V ს-ის ბოლო – XVII ს.); მესამე – ახალი დრო (XVII ს-დან 1918 წლამდე, ანუ პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე) და მეოთხე – უახლესი დრო (1918 წლიდან ჩვენს დრომდე).

ყოველი ამ პერიოდთაგანი თავის მხრივ უფრო მცირე პერიოდებად და ეტაპებად იყოფა, რადგან ომის წარმოების საშუალებები და ხერხები ყოველი ცალკე აღებული მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ფარგლებშიც მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან. ასევე პერიოდებად და ეტაპებად ყოფენ ცალკეულ ომებს, კამპანიებს, ბრძოლებსა და ოპერაციებს სამხედრო მოქმედებების სამხედრო-პოლიტიკური შედეგებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური თავისებურებების მიხედვით.

ნ ა წ ი ლ ი I

ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, ომები და სამხედრო ხელოვნება

ომებისა და შეიარაღებული ძალების წარმოშობა

”ძველი მსოფლიო” ფართო გაგებით მოიცავს კაცობრიობის ისტორიის პირველ და ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს – ადამიანთა საზოგადოების გაჩენიდან შუა საუკუნეებამდე. იგი იყოფა ორ ძირითად პერიოდად – პირველყოფილ თემურ წყობილებად და მონათმფლობელურ საზოგადოებად (ძველი აღმოსავლეთის, ძველი საბერძნეთისა და რომის სახელმწიფოები). ვიწრო გაგებით ”ძველი მსოფლიო” მხოლოდ მონათმფლობელური ფორმაციის პერიოდს აღნიშნავს.

პირველყოფილი საზოგადოების დროს, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, ომები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (ე.ი. პოლიტიკური ხასიათის ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლა), არ წარმოებდა. ადგილი ჰქონდა მხოლოდ შედარებით მცირე მასშტაბის შეტაკებებს ტომთა შორის შურისძიების ნიადაგზე ან სამოვრებისა და სანადირო თუ სათევზაო სავარგულებისათვის. ბრძოლა წარმოებდა იმავე იარაღით, რომლითაც შრომობდნენ ან ნადირობდნენ (შუბი, მშვილდ-ისარი, კეტი, ცული). ამასთან ერთად, იმ დროისათვის დამახასიათებელი იყო საკამათო საკითხების მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით.

საწარმოო ძალთა განვითარებამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ადამიანს უკვე იმაზე მეტი პროდუქტის წარმოება შეეძლო, ვიდრე მოიხმარდა. ამან გამოიწვია დამატებითი პროდუქციის გაჩენა, რომელიც ძირითადად ტომური საზოგადოების წინამძღოლთა ხელში გროვდებოდა. ტომთაშორისი შეტაკებების დროს შეპყრობილ ტყვეებს უკვე აღარ კლავდნენ, არამედ მონებად აქცევდნენ. ასე თადათანობით დაიყო საზოგადოება მდიდრებად და ღარიბებად, თავისუფლებად და არათავისუფლებად. დაიწყო პირველყოფილი თემური წყობილების დაშლა, რასაც თან მოჰყვა ტომთაშორისი შეტაკებების გახშირება. ომების გახშირებისა და ლითონების აღმოჩენის შედეგი იყო სპეციალური საბრძოლო იარაღის გაჩენა (საბრძოლო შუბები, ნაჯახები და ისრები, სატევრები, გურზი, პრიმიტიული ჯავშანი და სხვ.). ომების წარმოებისათვის ტომები ერთიანდებოდნენ ტომთა კავშირებში, რომელთა სათავეში იდგნენ ბელადთა წრიდან არჩეული მხედართუფროსები. მათ გარშემო ერთიანდებოდნენ რჩეული მეომრები, რომელთა ძირითადი საქმიანობა უკვე იყო ომი და წინამძღოლის დაცვა. სამხედრო ნადავლიც ძირითადად ბელადებისა და წარჩინებული მეომრების ხელში ხვდებოდა, რაც ხელს უწყობდა მათ სოციალურ ამაღლებას რიგით თანამეტომეებზე. ასე ჩაისახა კლასობრივი საზოგადოება, რასაც დროთა განმავლობაში მოჰყვა სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

უძველესი სახელმწიფოები წარმოიშვა ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს შუამდინარეთსა და ეგვიპტეში³. დაახლოებით 1500-2000 წლის შემდეგ მონათმფლობელურ სახელმწიფოებს ეგვიპტე-შუამდინარეთის გარდა ეკავათ აგრეთვე სირია-პალესტინა, თანამედროვე მცირე აზიის, ირანის, ინდოეთისა და ჩინეთის ნაწილები და ბალკანეთის ნახევარკუნძულის უკიდურესი სამხრეთი (ძველი საბერძნეთი). ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში სახელმწიფოები არსებობდნენ უკვე იტალიაში, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკისა და ესპანეთის სანაპიროებზე, სამხრეთ კავკასიაში, შუა აზიისა და არაბეთის ოაზისებში.

სახელმწიფოების გაჩენის შემდეგ ომი მათი რეგულარული ფუნქცია ხდება და ომების წარმოებისათვის იქმნება სპეციალური შეიარაღებული ორგანიზაცია – ლაშქარი. მისი ბრძოლისუნარიანობა დამოკიდებული იყო რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან აღსანიშნავია: წარმოების განვითარების დონე, ჯარების დაკომპლექტების პრინციპი, ტექნიკური აღჭურვილობა, სამხედრო ოსტატობა და საბრძოლო-მორალური განწყობა.

შეიარაღებული ძალების დახასიათება

ადრეული მონათმფლობელური სახელმწიფოების მცირე მოსახლეობა და შეზღუდული ეკონომიკური პოტენციალი არ იძლეოდა მრავალრიცხოვანი არმიების შექმნის საშუალებას. უდიდეს დამპყრობლურ ლაშქრობებში იშვიათად მონაწილეობდა ერთდროულად 20-30 ათას მეომარზე მეტი. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდესაც ძველი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე უკვე "მსოფლიო" იმპერიები ჩნდება (სპარსეთის, მაკედონელთა, რომის, ჩინეთის და სხვ.), ბრძოლის ველზე უფრო დიდი არმიებიც გამოდიან, მაგრამ ეს ძალები, ისევე როგორც ადრეული სახელმწიფოების მხედრობა, მეტწილად მილიციურ პრინციპზე იყო აგებული. დაკომპლექტების მილიციური პრინციპი გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეების გაწვევას ლაშქარში, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ ისევ იშლებოდა. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სამხედრო სამსახურში 17 წლიდან იწვევდნენ. მეომრები 45 წლამდე ლაშქრობებში მონაწილეობდა, 45 წელზე ხნიერნი კი რეზერვში იმყოფებოდნენ ან გამაგრებულ პუნქტებს იცავდნენ. ძველ საბერძნეთში სამხედროვალდებულება ვრცელდებოდა თავისუფალ მოქალაქეებზე 18-დან 60 წლის ასაკამდე. ამასთან 18-20 წლის ჭაბუკები სამხედრო მომზადებას გადიოდნენ სპეციალურ სასწავლო რაზმებსა და ბანაკებში. სპარტაში⁴ სამხედრო სწავლება 7 წლის ასაკიდან იწყებოდა.

მილიციის გარდა ძველი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში პროფესიონალ მეომართაგან შემდგარი მუდმივი სამხედრო ფორმირებებიც შედიოდა. ეს იყო მეფეთა გვარდიული ნაწილები (მაგალითად, სპარსეთის⁵ მეფეების ე.წ. "უკვდავთა" კორპუსი, რომელიც 10 000 მეომარს ითვლიდა), პროვინციათა გამგებლების მცველი რაზმები, ციხე-ქალაქთა გარნიზონები და სხვ. მუდმივი ჯარის მეომრები (ზოგჯერ ისინი უცხოელები იყვნენ) სახელმწიფოსაგან იღებდნენ ჯამაგირს, მიწის ნაკვეთებსა და მონებს. მონათმფლობელური საზოგადოების განვითარებისა და, განსაკუთრებით, კრიზისის ხანაში (ძვ. წ. უკანასკნელი და ახ.წ. პირველი სს-ბი) დაქირავებული მეომრებისაგან შემდგარი რაზმები ზოგი სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაციის ბირთვს წარმოადგენდნენ.

ძველი მსოფლიოს მეომართა საჭურველი შედგებოდა როგორც ახლო, ასევე დისტანციური ბრძოლის იარაღისაგან. ახლო ბრძოლაში გამოიყენებოდა შუბი, მახვილი, ნაჯახი, გურზი, ხანჯალი, დისტანციურ ბრძოლაში – მშვილდ-ისარი, სათხედი (ხელშუბა, სატყორცნი შუბი), შურდული. დამცავი აღჭურვილობა შედგებოდა სხვადასხვა ტიპის ფარებისა და ჯავშან-მუზარადისაგან. მილიციის მეომრები საკუთარი სახსრებით იძენდნენ საჭურველს, ამიტომ, მდიდრები და წარჩინებულები გამოდიოდნენ ძვირფასი, როგორც წესი, მძიმე შეიარაღებით (შუბი, მახვილი, ფარი, მუზარადი, ჯავშანი საბარკულებითა და საჩერნეებით ქვედა კიდურების დასაცავად) და მსახურობდნენ ცხენოსანთა და ეტლოსანთა რაზმებში. მსუბუქი ქვეითობა (მშვილდი, სათხედი, შურდული, ზოგჯერ სუსტი ჯავშანიც) და სამხედრო ფლოტის მეზღვაურები კი, როგორც წესი, მოსახლეობის ღარიბ ფენებში იკრიბებოდა.

ციხესიმაგრეების ასაღებად გამოიყენებოდა სააღყო ტექნიკა – საიერიშო კიბეები, მოძრავი კოშკები და ღობეები, კარის სალენი ურნალები, ქვისა და ისრის მტყორცნელი მანქანები – კატაპულტები და ბალისტები (კატაპულტა შედარებით მსუბუქი იყო, ბალისტა კი უფრო მასიური და მძიმე) და სხვ.

ნაირ-ნაირ მექანიზმებს იყენებდნენ ციხესიმაგრეების დამცველები მოალყეთა წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელგანთქმული ბერძენი მეცნიერის არქიმედეს (ძვ. წ. III ს.) მიერ შექმნილი მანქანები. მათ შორის იყო, მაგალითად, გიგანტური კავი, რომლითაც შეიძლებოდა ზღვისპირა ქალაქთან მიახლოებული ხომალდის ამოტრიალება.

ბინადარი ხალხების შეიარაღებულ ორგანიზაციაში ჯარის მთავარი გვარეობა, როგორც წესი, ქვეითი ლაშქარი იყო, მომთაბარეებში კი – ცხენოსანი, მაგრამ მხედრობა დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე ისეთი ბინადარი სახელმწიფოების არმიებში, როგორებიც იყვნენ ასურეთი⁶, სპარსეთი, მაკედონია⁷.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები ნიჩბებითა და აფრებით მოძრაობდნენ. მათი მაქსიმალური სიჩქარე 7-8 კვანძი იყო. საბრძოლო ხომალდის შეიარაღებას წარმოადგენდა ტარანი (წვეტიანი ქიმი, რომლითაც მოწინააღმდეგის გემს აზიანებდნენ) და გემბანზე დადგმული ქვის მტყორცნელი მანქანები. ხომალდთა ეკიპაჟებს შეადგენდნენ მენიჩხე-მონები, მეზღვაურები და მეომრები სადესანტო და სააზორდაჟო ოპერაციებისათვის. ამ უკანასკნელთა შეიარაღება ისეთივე იყო, როგორც სახმელეთო ნაწილებში.

თავისებური სამხედრო კულტურა ჩამოყალიბდა ჩინეთში, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულში სასტიკი შინაომები მძვინვარებდა. ხშირი იყო აგრეთვე მომთაბარეთა თავდასხმები ჩრდილოეთის ტრამალებიდან. ადრინდელი ჩინეთის ლაშქარი ქვეითებისა და ეტლოსნებისაგან შედგებოდა. კავალერიის განვითარებამ, რაც მომთაბარეებთან ომების შედეგი იყო, ეტლების მნიშვნელობა შეამცირა და ისინი მხოლოდ მხედართუფროსებს შერჩათ, როგორც მოძრავი სამეთაურო პუნქტები. ჩინელებმა ბევრი სიახლე შეიტანეს სამხედრო საქმეში. კერძოდ, მათი გამოგონილია არბალეტი (ხის კონდახზე დამაგრებული მშვილდი სასხლეტი მექანიზმით), დენთი და სხვ. ჩინური ბრინჯაოს იარაღი მაღალი ხარისხისა იყო, მაგრამ რკინის იარაღი იქ უფრო გვიან გავრცელდა ვიდრე დასავლეთ აზიასა და ევროპაში.

სამხედრო ძალების სტრუქტურა ძველი მსოფლიოს სახელმწიფოებში სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ, როგორც წესი, ლაშქარი მეომართა შეიარაღების ტიპის მიხედვით იყოფოდა სხვადასხვა რიცხოვნობის ცალკეულ რაზმებად. საბრძოლო გემებიც რაზმებად ერთიანდებოდნენ. რაზმებად დაყოფას, როგორც წესი, უშუალოდ საბრძოლო (ტაქტიკური) მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს კეთდებოდა ადმინისტრაციული მოსაზრებებით, ჯარების მოძრაობისა და საომარი მომზადების გაადვილებისათვის.

ძველ მსოფლიოში ერთ-ერთ გამონაკლისს, ამ მხრივ, წარმოადგენდა რომის⁸ არმია, რომელიც მკაფიო საორგანიზაციო სტრუქტურით გამოირჩეოდა. მისი ძირითადი ადმინისტრაციული და ტაქტიკური ერთეული იყო ლეგიონი, რომელშიც 4200 ქვეითი (3000 მძიმედ შეიარაღებული და 1200 მსუბუქად შეიარაღებული) და 300 ცხენოსანი მეომარი შედიოდა. ლეგიონი იყოფოდა მანიპულებად (60-120 კაცი). შემდგომში ლეგიონის რიცხოვნობა 6000-მდე გაიზარდა და მისი ძირითადი ტაქტიკური ქვედანაყოფი გახდა კოჰორტა (600 კაცი).

სამხედრო ხელოვნება

სამხედრო ხელოვნება წარმოიშვა ძველი მსოფლიოს მრავალრიცხოვან ომებში, რომელთა ძირითადი მიზანი მეზობელი ქვეყნების დაპყრობა და გაძარცვა იყო.

სტრატეგიის (ომების წარმოების ხელოვნების) განვითარება დაიწყო ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. უკვე ეგვიპტის ფარაონთა ლაშქრობები სირიასა და პალესტინაში (ძვ. წ. XVI-XIII სს.) გვიჩვენებენ, რომ ომების მომზადებას დიდი ყურადღება ეთმობოდა: საბრძოლო მოქმედებების დაწყებას წინ უძღოდა ღრმა დაზვერვა, სამხედრო გეგმის შედგენა, კამპანიის დიპლომატიურ-პოლიტიკური შემზადება. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთავარი დარტყმის მიმართულების შერჩევასა და მოულოდნელობას. ზრუნავდნენ, აგრეთვე, ზურგის უსაფრთხოებაზე.

ასურელი და ურარტუელი⁹ მხედართმთავრების სტრატეგიას ახასიათებდა სისწრაფე და მოულოდნელი თავდასხმები. ამის საშუალებას იძლეოდა ცხენოსანთა და ეტლოსანთა რაზმები. ასურელები ფართოდ მიმართავდნენ ღამის თავდასხმებს, ცდილობდნენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე გაბატონებას, რათა მოესპოთ მისთვის სურსათისა და დამხმარე ძალის მიღების საშუალება. ურარტუს თავდაცვით სისტემაში დიდი იყო ციხესიმაგრეების როლი. თვით ამ სამეფოს დედაქალაქი, თუშუა, მაღალ კლდეზე გაშენებულ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, რომლის ნაშთებმა დღემდე მოაღწიეს.

სპარსეთის მეფეების სტრატეგიაში იკვეთება მათი სწრაფვა მსოფლიო ბატონობისაკენ. ისინი განუწყვეტელ დამპყრობლურ ომებს აწარმოებდნენ აზიის, ევროპისა და აფრიკის ტერიტორიებზე. სპარსელთა სამხედრო კამპანიებში ხშირად კომბინირებულად მოქმედებდნენ სახმელეთო არმია და საზღვაო ფლოტი.

ძველი მსოფლიოს მხედართმთავრების სტრატეგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გზების, ხიდების, ციხესიმაგრეების, გამაგრებული ხაზების მშენებლობას. კერძოდ, სპარსეთისა და რომის იმპერიები შესანიშნავი შარაგზებით იყო დასერილი, რაც სახელმწიფოს ერთი შორეული პროვინციიდან მეორეში ჯარების სწრაფი გადასროლის საშუალებას იძლეოდა. სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების იშვიათი ძეგლს წარმოადგენს ჩინეთის დიდი კედელი, რომელიც აგებულია ძვ. წ. IV-III სს-ში ჩრდილოელი მომთაბარეების შესაკავებლად. კედლის სიგრძე 4000 კილომეტრია, სიმაღლე – 5-დან 10 მეტრამდე, სიგანე – 5-8 მეტრი. გადმოცემით, მის მშენებლობაზე 2 მილიონი ადამიანი მუშაობდა.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ძველი მსოფლიოს არმიებში ტაქტიკის (ბრძოლის ხელოვნების) განვითარებას განაპირობებდნენ იყო შეიარაღება, ჯარების საბრძოლო მომზადების დონე, მეომართა ფიზიკური და მორალური თვისებები. ეს ფაქტორები, თავის მხრივ, დამოკიდებულნი იყვნენ სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების პრინციპზე, ომის ხასიათზე. ტაქტიკაზე დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე ადგილის რელიეფი, კლიმატი, ძალთა შემადგენლობა და შეფარდება, მეომართა ეროვნული თავისებურებები. ბოლოს, რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობა ჰქონდა სარდლის მხედართმთავრულ ნიჭსაც.

ძველი მსოფლიოს არმიების საბრძოლო წყობა, როგორც წესი, წარმოადგენდა ორ-სამ ხაზად დაწყობილი ქვეითი და ცხენოსანი მშვილდოსნებისა და შუბოსნების რიგებს. ზოგჯერ მათთან ერთად გამოჰყავდათ საბრძოლო ეტლები და სპილოები. პირველი ხაზი, ჩვეულებრივ, შედგებოდა მშვილდოსნების, ეტლებისა და სპილოებისაგან. მათი ამოცანა იყო მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში არევ-დარევის შეტანა, მისი ”შენგრევა”. მეორე ხაზს შეადგენდნენ მჭიდროდ დაწყობილი ქვეითი შუბოსნები. მათი ამოცანა იყო მტრის დამარცხება ხელჩართულ ბრძოლაში. მესამე ხაზი, რომელიც ზოგჯერ ეტლებისა და კავალერიისაგან შედგებოდა, გამოიყენებოდა უკუქცეული მოწინააღმდეგის დევნისათვის.

ჯარების მართვა ბრძოლის პროცესში ხორციელდებოდა ხმოვანი და მხედველობითი სიგნალებით. სარდალი, როგორც წესი, საბრძოლო წყობის ცენტრში იმყოფებოდა.

ძველი აღმოსავლეთის არმიათა სტრატეგია და ტაქტიკა, სამხედრო ხელოვნების განვითარების მხოლოდ პირველი საფეხურია. საწარმოო ძალთა ზრდამ და შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა განვითარებამ მისი გართულება გამოიწვიეს. მონათმფლობელური პერიოდის სამხედრო ხელოვნებამ უმაღლეს დონეს მიაღწია საბერძნეთში, მაკედონიაში, კართაგენში¹⁰ და რომში ისეთი მხედართმთავრების საქმიანობაში, როგორებიც იყვნენ მილტიადე, ეპამინონდა, ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი, იულიუს კეისარი.

ძვ. წ. 500-449 წწ. მიმდინარეობდა ბერძენ-სპარსელთა ომები. სპარსეთის მეფეებმა, რომლებიც ისწრაფოდნენ მსოფლიო ბატონობისაკენ, რამოდენიმე დიდი ლაშქრობა მოაწყვეს

პოლიტიკურად დაქუცმაცებული საბერძნეთის დასაპყრობად. ბერძნები თავს იცავდნენ და სამართლიანი ბრძოლა მათ მორალურ უპირატესობას ანიჭებდა მოწინააღმდეგის წინაშე.

სპარსული და ბერძნული არმიების საბრძოლო წყობა ეფუძნებოდა მძიმე და მსუბუქი ქვეითობისა და ცხენოსანი რაზმების შეხამების გარკვეულ სისტემას. ბერძნული საბრძოლო წყობის საფუძველს წარმოადგენდა ფალანგა – მძიმედ შეიარაღებული (შუბი, მოკლე მახვილი, ფარი, ჩაფხუტი, ჯავშანი, საჩერნეები) ქვეითი მეომრების, ანუ ჰოპლიტების, მჭიდროდ შეკრული ხაზოვანი განლაგება, რომელიც სიგანეში 1000-მდე მეომარს ითვლიდა, სიღრმეში კი 8-16 და მეტი მწკრივისაგან შედგებოდა.

ფალანგის ძალა მის მონოლითურობაში იყო. მის დარტყმას ვერ უძლებდა უფრო მსუბუქად აღჭურვილი სპარსული ლაშქარი. მაგრამ ფალანგის სუსტი მხარე იყო ის, რომ მას მხოლოდ სწორ და გაშლილ ადგილზე შეეძლო მოქმედება. დაშლილი ფალანგა ყოველგვარ საბრძოლო შესაძლებლობას კარგავდა. მეტად სუსტი იყო ფალანგის გვერდები (ფლანგები). ამიტომ, მათ დასაცავად ცხენოსნებსა და მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითებს იყენებდნენ.

სპარსელთა საბრძოლო წყობა შედგებოდა ცენტრში მყოფი ქვეითი მშვილდოსნებისა და ფლანგებზე განლაგებული ძლიერი ცხენოსანი რაზმებისაგან.

ფალანგის ტაქტიკის თვალსაჩინო ნიმუშია მარათონის ბრძოლა ბერძენ-სპარსელთა ომების პერიოდში.

სპარსეთის მეფემ დარიოს I-მა ძვ. წ. 490 წ. საბერძნეთს დიდი ლაშქარი შეუსია. სპარსელებმა ხომალდებით გადაკვეთეს ეგეოსის ზღვა და დესანტი გადასხეს მარათონის ვაკეზე, ქალაქ ათენიდან ორმოციოდე კილომეტრის მოშორებით. აქედან ისინი ათენზე აპირებდნენ გალაშქრებას, რომელიც, სპარტასთან ერთად, ბერძნული წინააღმდეგობის ცენტრი იყო.

ათენელთა ლაშქარი მცირერიცხოვანი მოკავშირეებით 11 000 ქვეით მეომარს ითვლიდა, ძირითადად, ჰოპლიტებს. ბერძენთა ძალებს სარდლობდა მილტიადე, რომლის რჩევით ეს არმია მარათონისაკენ დაიძრა და ერთ-ერთი ხეობის შესასვლელში დადგა, საიდანაც ათენისაკენ მიდიოდა გზა. გაშლილ ვაკეზე გასვლა მილტიადემ მიზანშეუწონლად ჩათვალა, რადგან ბერძნული ფალანგა, რომელსაც ფრონტიდან მშვილდოსნები დააყრიდნენ ისრებს, ხოლო ფლანგებიდან ცხენოსანი ჯარი შეუტევდა, აუცილებლად დამარცხდებოდა. ხეობაში ბერძნები ათენისაკენ მიმავალ გზას კეტავდნენ, სპარსელთა თავდასხმის შემთხვევაში კი მათი ფლანგები მთის ფერდობებით იქნებოდა დაცული.

მოწინააღმდეგეები სამი დღის განმავლობაში ზვერავდნენ ერთმანეთს. სპარსელები არ ჩქარობდნენ ათენელთა ძლიერ პოზიციაზე შეტევის დაწყებას, ათენელები კი სპარტელთა ლაშქარს ელოდებოდნენ, რომელიც მათ დასახმარებლად უნდა მოსულიყო. ბოლოს, 490 წლის 13 სექტემბერს სპარსელმა მხედართმთავრებმა, რომლებსაც, ცხადია, არ აწყობდათ ბერძენთა ძალების გაერთიანება, თავისი არმია (დაახლოებით 10 000 ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი) საომრად განაწყვეს და ათენელთა ფალანგაზე მიიტანეს იერიში. ათენელთა ფალანგა ხეობის შესასვლელში იდგა. მილტიადემ გაითვალისწინა სპარსული კავალერიის შესაძლო მოქმედება და განსაკუთრებით გააძლიერა თავისი საბრძოლო წყობის ფლანგები. აქ ჰოპლიტების წყობა უფრო ღრმა იყო. გარდა ამისა, ფალანგის გვერდებს იცავდნენ მთების ფერდობებზე განლაგებული მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები.

ბრძოლა ასე მიმდინარეობდა: მოწინააღმდეგეთა დაახლოების შემდეგ მილტიადემ ბრძანება გასცა ფალანგა სირბილზე გადასულიყო, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაეფარა ისრების ეფექტური მოქმედების ზონა (200-250 ნაბიჯი) და პირველი დარტყმაც უფრო ძლიერი გამოსულიყო. სპარსელებმა მოახერხეს ბერძენთა ცენტრის შეკავება და შევიწროვება, მაგრამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს ბერძენთა ძლიერმა ფლანგებმა, რომლებმაც უკუაქციეს მოწინააღმდეგის კავალერია და ორმხრივი ძლიერი დარტყმით გაანადგურეს სპარსელთა

ქვეითობა. ბრძოლის ველზე 6400 სპარსელი დაეცა. ბერძნებმა 1000-მდე კაცი დაკარგეს, აქედან 192 მოკლული.

დამარცხებულმა სპარსელებმა პირი თავისი ხომალდებისაკენ იბრუნეს, სასწრაფოდ ჩასხდნენ და ზღვაში გავიდნენ. ბერძნებმა, რომლებსაც ცხენოსანი ჯარი არ ჰყავდათ, ვერ განახორციელეს მოწინააღმდეგის ეფექტური დევნა და, პრაქტიკულად, ვერ შეუშალეს ხელი სპარსელებს ხომალდებზე ასვლაში.

მარათონის ბრძოლა ბერძნების პირველი დიდი გამარჯვება იყო სპარსელებზე. მან არა მარტო შეაჩერა რამოდენიმე წლით სპარსელთა შეტევა საბერძნეთზე, არამედ დიდი გავლენა იქონია ბერძენ-სპარსელთა ომების შემდგომ მსვლელობაზეც.

ფალანგის სუსტი მხარე, როგორც აღინიშნა, ის იყო, რომ მას მოქმედებისათვის ჭირდებოდა სწორი ადგილი. სხვა პირობებში ამ საბრძოლო წყობის გამოყენება შეუძლებელი იყო. ძვ. წ. 401 წელს სპარსეთიდან მომავალი ბერძენი ჯარისკაცების 10-ათასიანი რაზმი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩნდა, სადაც ადგილობრივ ქართველურ ტომებს შეეჯახა. მათი მედგარი წინააღმდეგობისა და რთული რელიეფის გამო ბერძნული სარდლობა იძულებული გახდა ბრძოლის ახალი ტაქტიკური ფორმები ეძებნა. მაგალითად, კოლხების მიერ დაკავებული ერთ-ერთი სიმაღლის იერიში, ტრადიციული ფალანგით შეუძლებელი ჩანდა დასერილი ადგილის გამო. ამიტომ, ერთ-ერთი ბერძენი მეთაურის, ქსენოფონტის, რჩევით მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარის 80 ლოქოსი (საორგანიზაციო სტრუქტურული ერთეული, რომელშიც 100-მდე ჰოპლიტი შედიოდა) გამოყენებული იქნა ტაქტიკურ (საბრძოლო) კოლონებად. გარდა ამისა, მსუბუქად შეიარაღებული მეომრებისაგან შეადგინეს კიდევ სამი რაზმი (თითოში 600 კაცი). კოლხებმა სცადეს ფალანგებიდან შემორტყმოდნენ მტრის ლაშქარს, მაგრამ ამ მანევრისაგან მათი ცენტრი გაიყო, რითიც ისარგებლეს ბერძენთა ცენტრის კოლონებმა და ხელთ იგდეს სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლე, რამაც ბერძნებს ტრაპიზონისაკენ გზა გაუხსნა. საბრძოლო წყობის ტაქტიკური დაყოფა საორგანიზაციო დაყოფის საფუძველზე ახალი სიტყვა იყო სამხედრო ხელოვნებაში. სრული განვითარება მან შემდგომში უკვე რომაელებთან ჰპოვა.

დროთა განმავლობაში ბერძნული ფალანგის ტაქტიკა უფრო დაიხვეწა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბრძოლა ქალაქ ლევქტრასთან ძვ. წ. 371 წელს, სადაც ბეოტიელმა¹¹ მხედართმთავარმა ეპამინონდამ გაუმჯობესებული საბრძოლო წყობით დაამარცხა სპარტელთა არმია, რომელიც მანამდე საბერძნეთში უძლევლად ითვლებოდა.

ძალთა საერთო შეფარდება ასეთი იყო: სპარტელები და მათი მოკავშირენი – 10 000 ქვეითი და 1000 ცხენოსანი; ბეოტიელები - 6000 ქვეითი და 1500 ცხენოსანი. ამრიგად, რიცხოვრივი უპირატესობა სპარტელების მხარეზე იყო, მაგრამ ეპამინონდას უფრო მრავალრიცხოვანი და უკეთესი ცხენოსანი ჯარი ჰყავდა. ამასთან ბეოტიელების მხარეზე იყო მორალური უპირატესობა, რადგან ისინი თავისი კუთხის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ სპარტელთა ჰეგემონიზმის წინააღმდეგ.

ლევქტრასთან ბრძოლაში სპარტელები და მათი მოკავშირენი ტრადიციული საბრძოლო წყობით დადგნენ: შეადგინეს სწორხაზოვანი ფალანგა, სიღრმით 12 მწკრივი. მარჯვენა ფლანგი, ტრადიციისამებრ, საუკეთესო მებრძოლებმა – სპარტელებმა დაიკავეს¹².

ეპამინონდამ ტრადიციის საწინააღმდეგოდ თავისი რჩეული რაზმები მარცხენა ფრთაზე განლაგა, მტრის ძლიერი მარჯვენა ფრთის პირისპირ. ამასთან, თუ ბეოტიელთა ცენტრი და მარჯვენა ფრთა სიღრმეში მხოლოდ 8 მწკრივს ითვლიდა (მტრის 12 მწკრივის წინააღმდეგ), მარცხენა ფრთაზე ბეოტიელთა საბრძოლო წყობის სიღრმე 50 მწკრივი იყო.

ცხენოსნები ორივე მხარემ ჰოპლიტების წინ დააყენეს.

ბრძოლა დაიწყო ცხენოსანთა შეტაკებით. ბეოტიელთა ძლიერმა კავალერიამ უკუაქცია მოწინააღმდეგის მხედრობა და მარცხენა ფლანგის რჩეულ ქვეითებთან ერთად მარჯვენა

ფრთაზე მდგომ სპარტელებს დაარტყა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად სპარტელები დამარცხდნენ. ბრძოლის მონაწილე 700 სრულუფლებიანი სპარტიკიდან მოკლული იქნა 400. დაიღუპა სპარტის მეფე კლეომბროტეც.

ამრიგად, ეპამინონდამ უფრო მცირერიცხოვანი ჯარით მოახერხა ძლიერი მტრის დამარცხება, ვინაიდან ფრონტზე ძალთა არათანაბარი განაწილებით მთავარ მიმართულებაზე გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა.

ამ პრინციპმა შემდგომი განვითარება ჰპოვა მაკედონური არმიის ტაქტიკაში. მაკედონელთა მხედრობა და ქვეითი ჯარი იყოფოდა მძიმე, საშუალო და მსუბუქ ნაწილებად. გრძელი შუბებითა და მახვილებით შეიარაღებული მძიმე ქვეითობა ყოველთვის ფალანგის შემადგენლობაში იბრძოდა. საშუალო ქვეითობას, ვითარებიდან გამომდინარე, შეეძლო ფალანგაშიც ებრძოლა და დანაწევრებული წყობითაც გამოსულიყო. მსუბუქი ქვეითობა იბრძოდა გაშლილ წყობაში.

მაკედონელთა მსუბუქი და საშუალო მხედრობა ფალანგებს იცავდა, იწყებდა ბრძოლას, ახორციელებდა დაზვერვასა და დევნას. მძიმე ცხენოსანი ჯარი მტრის საბრძოლო წყობის გარღვევისათვის იყო განკუთვნილი.

მაკედონიის ახალგაზრდა მეფე ალექსანდრე ძვ. წ. 334 წელს სპარსეთის იმპერიაში შეიჭრა. მისი ლაშქრობა 10 წელიწადი გრძელდებოდა. პირველი ორი წლის განმავლობაში მაკედონელებმა დაიპყრეს მცირე აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და შუამდინარეთში შეიჭრნენ. აქ, სოფელ გავგამელასთან, ძვ. წ. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის მეფის დარიოს III-ის ლაშქარი გაანადგურა.

ბრძოლის წინ მაკედონელთა არმია (40000 ქვეითი და 7000 ცხენოსანი) ორ ხაზად დაეწყო. საბრძოლო წყობის ცენტრს მძიმე ქვეითთა ფალანგები შეადგენდნენ. მარჯვენა ფლანგზე ალექსანდრემ მძიმე კავალერიის დამრტყმელი ჯგუფი დააყენა, მარცხენა ფლანგზე – მსუბუქი და საშუალო მხედრობა. მეორე ხაზზე (რეზერვში) საშუალო ქვეითები იდგნენ, რომელების ამოცანა იყო მთავარი ძალების ზურგიდან დაცვა მოწინააღმდეგის ცხენოსანი ჯარისაგან. საბრძოლო წყობის წინ მსუბუქი ქვეითობა იყო გაშლილი.

შეტევა დაიწყო სპარსელებმა (60-80 ათასი ქვეითი, 12-15 ათასი ცხენოსანი, 100 ან 200 საბრძოლო ეტლი და 15 სპილო). მაკედონელებმა მოიგერიეს ეტლებისა და სპილოების შეტევა, მაგრამ სპარსელთა მრავალრიცხოვანმა ცხენოსანმა ჯარმა მაკედონელთა მარცხენა ფლანგი შეავიწროვა. სპარსელ ცხენოსნებს რეზერვში მდგომი მაკედონელი ქვეითები შეეხვნენ. ამ დროს ალექსანდრემ თავისი მძიმე მხედრობით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა სპარსელთა არმიას, გაარღვია მისი წყობა და ზურგში მოექცა. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ.

ამრიგად, გავგამელას ბრძოლა ალექსანდრე მაკედონელმა მოიგო მძიმე ცხენოსანი ჯარით განხორციელებული მთავარი დარტყმით გადამწყვეტ უბანზე. ეპამინონდას ტაქტიკური პრინციპის გამოყენებასთან ერთად მაკედონელმა სარდალმა ქვეითი ფალანგის წყობა შეავსო მეორე ხაზით, რომელსაც რეზერვის როლი ეკისრებოდა. ბრძოლაში ცხენოსანი და ქვეითი რაზმები აქტიურად ურთიერთმოქმედებდნენ ერთმანეთთან.

ახალი ეტაპის დასაწყისი ძველი მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში დაკავშირებულია პუნიკურ ომებთან რომსა და კართაგენს შორის. მეორე პუნიკურ ომში (ძვ. წ. 218-201 წწ.) სტრატეგიული და ტაქტიკური მოქმედებების ბრწყინვალე მაგალითები აჩვენა სახელგანთქმულმა კართაგენელმა მხედართმთავარმა ჰანიბალმა. ომის დასაწყისში მან წარმატებით განახორციელა ესპანეთიდან აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრის სტრატეგიული გეგმა, პირენესა და ალპების გადალახვით.

ჰანიბალის მხედართმთავრული ხელოვნების მწვერვალია ბრძოლა კანესთან 216 წელს, რომელიც ძველი მსოფლიოს სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ჰანიბალმა გადაწყვიტა ალყაში მოექცია და მოესპო რომის მრავალრიცხოვანი არმია. ამისათვის

მან თავისი ჯარები (10000 ცხენოსანი და 40000 ქვეითი) ისე განალაგა, რომ წინ გამოწეულ ცენტრში უფრო სუსტად მომზადებული ქვეითი რაზმები ყოფილიყვნენ, შესაბამისად უკან დაწეულ ფლანგებზე კი - საუკეთესო ქვეითობა და მხედრობა. ამრიგად, კართაგენელთა საბრძოლო წყობა ზემოდან წააგავდა ნახევარმთვარეს, რომელიც გამობურცული მხარით მოწინააღმდეგისკენ იყო მიმართული.

რომაელ მხედართმთავარ ვარონს განზრახული ჰქონდა თავისი კარგად ორგანიზებული და მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარის ძლიერი დარტყმით გაენადგურებინა მოწინააღმდეგე. მან ქვეითობა (63000 კაცი) საბრძოლო წყობის ცენტრში დააყენა 48-მწკრივიან კოლონად, ფლანგებზე კი, ტრადიციისამებრ, ცხენოსნები განალაგა (6000 მხედარი).

რომაელმა ლეგიონერებმა მთელი ძალით შეუტეს კართაგენელების შედარებით სუსტ ცენტრს და უკან დაახევინეს მას. თანდათანობით კართაგენელთა საბრძოლო წყობის "ნახევარმთვარე" მოწინააღმდეგისაკენ მიმართული აღმოჩნდა შეწეული მხრით, რომელშიც სულ უფრო ღრმად შედიოდა რომაელთა ცენტრი. ამასობაში კართაგენელთა ძლიერმა ცხენოსანმა ჯარმა გაფანტა რომაელების კავალერია და ზურგიდან შემოუარა და დაარტყა ქვეით ლეგიონერებს, ფლანგებიდან კი მათ ჰანიბალის რჩეულმა ქვეითობამ შეუტია. ამრიგად, რომაული არმიის მთავარი ძალები "ტომარაში" მოხვდნენ და სასტიკი მარცხი განიცადეს. დაიღუპა 48000 რომელი, ტყვედ ჩავარდა - 10000. ჰანიბალის არმიიდან 6000 კაცი იყო მოკლული. კანეს ბრძოლა სამხედრო ისტორიაში შევიდა როგორც მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევისა და სრული განადგურების კლასიკური ნიმუში.

ასეთი წარმატებების მიუხედავად, მეორე პუნიკური ომი მაინც კართაგენის დამარცხებით დამთავრდა. ზამასთან ბრძოლაში 202 წ. რომაელებმა სძლიეს ჰანიბალს, მიუხედავად ამ უკანასკნელის სამხედრო გამოცდილებისა და ნიჭისა. ჰანიბალის დამარცხება, პირველ რიგში, ეკონომიკური მიზეზებით აიხსნება. კართაგენმა ვერ მოახერხა ვერც ძლიერი ფლოტის აშენება, რომ ბატონობა მოეპოვებინა ზღვაზე, და ვერც სახმელეთო არმიის შევსება ხანგრძლივ ომში მიღებული დანაკლისის სანაცვლოდ. რომი ეკონომიკურად კართაგენზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გარდა ამისა, რომაული არმია, მთლიანობაში, გამოირჩეოდა უფრო მაღალი მორალური სულით, ვიდრე კართაგენის დაქირავებული ჯარი, შემდგარი აფრიკისა და ევროპის სხვადასხვა ტომების წარმომადგენლებისაგან. მეორე პუნიკურ ომში ნათლად გამოჩნდა თუ რამდენად არის ომის მსვლელობა და შედეგი დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალსა და ჯარების მორალურ სულზე.

რომის სახელმწიფოს ომები ძველი მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების განვითარების დამასრულებელი ეტაპია. იგი ემყარებოდა საწარმოო ძალთა განვითარების უფრო მაღალ დონესა და პროფესიული თვალსაზრისით კარგად მომზადებულ არმიას.

ძველი რომის სამხედრო ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნები ყველაზე ნათლად გამოჩნდა იულიუს კეისრის (ძვ. წ. 100–44 წწ.) ლაშქრობებში. იულიუს კეისარი იყო გამოჩენილი მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და მწერალი (მისი შემუშავებული თხზულებები "გალიის ომების შესახებ" და "სამოქალაქო ომების შესახებ" მნიშვნელოვანი სამხედრო-ისტორიული წყაროებია). მან ბევრი ომი გადაიხადა ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. მათ შორის მნიშვნელოვანწილად ისევ რომაელების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის დროს. ამ მხრივ აღსანიშნავია ფარსალოსის ბრძოლა ძვ. წ. 48 წელს, რომელშიც იულიუს კეისარმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა თავის მოწინააღმდეგე პომპეუსზე.

ფარსალოსთან (საბერძნეთი) ერთმანეთს შეება ერთნაირი ტიპის ორი რომაული არმია. პომპეუსმა, რომელსაც ძალთა გარკვეული უპირატესობა ჰქონდა (40000 ქვეითი და 4000 ცხენოსანი), განიზრახა ფლანგიდან კავალერიის მანევრით მდინარის ჭაობიან ნაპირებთან მიერეკა და გაენადგურებინა კეისრის ჯარები (30000 ქვეითი და 1000 ცხენოსანი). კეისარი მოწინააღმდეგეს მიუხვდა ჩანაფიქრს. ამიტომ, მან პომპეუსის ძლიერ კავალერიას

დაუპირისპირა არა მარტო თავისი მცირერიცხოვანი მხედრობა და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები, არამედ მათ ზურგში ჩასაფრებული ძლიერი რეზერვიც (6 კოპორტა, ანუ 3000 ლეგიონერი).

ბრძოლის პროცესში პომპეუსის მხედრობამ უკუაქცია კეისრის ცხენოსნები და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები, მაგრამ სარეზერვო კოპორტების დარტყმას ვერ გაუძლო და არაორგანიზებულად იწყო უკან დახევა. კეისრის ლეგიონერები და მობრუნებული ცხენოსნები დაედევნენ მოწინააღმდეგეს და თავს დაესხნენ პომპეუსის ღიად დარჩენილ მარცხენა ფლანგს. ამავე დროს კეისრის მთავარი ძალებიც გადავიდნენ შეტევაზე. დილაადრიან დაწყებული ბრძოლა შუა დღისათვის დამთავრდა პომპეუსის დამარცხებითა და გაქცევით. ამრიგად, სპეციალურად გამოყოფილმა და დროულად გამოყენებულმა მსხვილმა ტაქტიკურმა რეზერვმა კეისარს ბრძოლა მოაგებინა რიცხოვრივი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგესთან.

ახ.წ. II ს-თვის რომის სახელმწიფომ ტერიტორიული გაფართოვების მაქსიმუმს მიაღწია. რომაელებს აღარ შეეძლოთ დაპყრობითი ომების წარმოება და მხოლოდ თავისი ვრცელი სამფლობელოების შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. ამისათვის იმპერიას თითქმის 500-ათასიანი მუდმივი არმია ჰყავდა, რომელიც ძირითადად საზღვრებზე იყო დისლოცირებული. მაგრამ შეიარაღებული ძალების რიცხოვრივი ზრდის პარალელურად ხდებოდა მათი ხარისხობრივი გაუარესება, რაც გამოწვეული იყო რომის იმპერიის საერთო დასუსტებით, მთლიანობაში, კი მონათმფლობელური სისტემის კრიზისით. ლეგიონერები თავს არიდებდნენ ხელჩართულ ბრძოლას და თანდათანობით არა მარტო მსუბუქი, არამედ მძიმე ქვეითი ჯარის მეომრების მთავარი იარაღი, მშვილდისარი და სათხედი გახდა.

დაეცა სამხედრო ხელოვნებაც. ახ.წ. IV ს-თვის რომაელებმა მიატოვეს კოპორტის ტაქტიკაზე დაფუძნებული მოქნილი საბრძოლო წყობა და მოუხეშავ ფლანგას დაუბრუნდნენ. მაგრამ ბერძნული ფალანგისაგან განსხვავებით გვიანდელ რომაულ ფალანგას მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლის წარმოება შეეძლო.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ არმიას სულ უფრო უძნელდებოდა საზღვრებზე მომდგარი მრავალრიცხოვანი მტრების შეკავება. საგარეო პოლიტიკური სიტუაციის გართულებას თან ახლდა შინაგანი კრიზისის გამწვავება. ახ.წ. 395 წელს რომის იმპერია ორ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ და დასავლეთ რომის იმპერიებად. 476 წელს ერთ-ერთი დაქირავებული რაზმის მეთაურმა, ოდოაკრმა, ტახტიდან ჩამოაგდო დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორი და თავი იტალიის მმართველად გამოაცხადა. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა პირობითად მიჩნეულია ძველი მსოფლიოს ისტორიის დასასრულად, რომელსაც მოჰყვება ახალი დიდი მსოფლიო-ისტორიული პერიოდი – შუა საუკუნეები.

სამხედრო საქმის განვითარება ძველ საქართველოში.

ქართლის (იბერიის) სამეფოს შეიარაღებული ორგანიზაცია

საქართველოს ტერიტორიაზე აშკარა სამხედრო დანიშნულების ნივთები – ბრინჯაოს ფოთლისებრი და ხიშტისმაგვარი შუბისპირები, ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები, სატევრები და სხვ. ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალებშია გამოვლენილი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იმ დროს უკვე ადგილი ჰქონდა ტომთა შორის სპორადულ შეტაკებებს. შემდგომ, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, როდესაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ტომთა კავშირები, ხოლო მოსახლეობაში თავს იჩენს ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია, ომების ინტენსიურობა გაიზარდა. გახშირებული ომების შედეგი იყო სამხედრო საქმის სწრაფი განვითარება. ომი და სამხედრო ორგანიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდებიან. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებში,

სადაც ვხვდებით იმდროინდელ წინა აზიაში გავრცელებული პირადი საბრძოლო იარაღის თითქმის ყველა ძირითად ტიპს. აქ წარმოდგენილია როგორც შეტევითი საჭურველი – ნაირ-ნაირი მახვილები და სატევრები, შუბისა და ისრის პირები, საბრძოლო ცულები და ჩუგლუგები, ქვისა და ბრინჯაოს გურზები და სხვ., ასევე დამცავი აღჭურვილობის ელემენტები – ბრინჯაოს საბრძოლო სარტყელები, ფარის გარსაკრავები. დამცავი აბჯრის ძირითადი ნაწილი მზადდებოდა ტყავის, ხისა და სელისაგან და, ამიტომ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მუდმივი ომები დასახლებათა ხასიათზეც აისახა. ისინი შენდებოდნენ ბორცვებსა და სხვა ამაღლებულ ადგილებზე, გარს ერტყათ დიდი ლოდებისაგან ნაგები კედლები, მესერი, თხრილები. გამაგრებული დასახლების ტერიტორიაზე ზოგჯერ იქმნებოდა კიდეც შიდაციხე (ციტადელი). ყოველივე ეს მიუთითებს საფორტიფიკაციო ხელოვნების წარმოშობაზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო პერმანენტულ ომებში თავდაცვის აუცილებლობით.

ქართველურ ტომებს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან, რაც, ცხადია, არ გამორიცხავდა მათ შორის სამხედრო შეტაკებებს. კერძოდ, ასურეთის და ურარტუს მეფეები სასტიკ ექსპანსიას ახორციელებდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში და მეზობელ რეგიონებში. ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის ლაშქარი ეტლოსნებისა და ქვეითი ტომობრივი მილიციისაგან შედგებოდა (ცხენოსანთა მცირერიცხოვანი ჯგუფები, ალბათ, ძირითადად, დაზვერვისათვის გამოიყენებოდა), მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მომხდურებს. იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალი გააჩნდათ ამიერკავკასიის ტომთა კავშირებს, მიუთითებს მათ წინააღმდეგ გამოყვანილი ჯარების რაოდენობა. მაგალითად, ძვ.წ. IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ჭოროხის ხეობაში თუ მტკვრის სათავეებისაკენ, სადაც იმ ხანად, ძირითადად, ქართველური მოსახლეობა ივარაუდება, ურარტუს არმია ითვლიდა 66 საბრძოლო ეტლს, 1460 მხედარსა და 15760 ქვეით მეომარს. იმ დროისათვის ეს ძალიან დიდი ძალა იყო.

ამრიგად, შეიძლება ვილაპარაკოთ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში ქართველურ ტომთა შორის სამხედრო ხელოვნების ჩასახვაზე, რაც გულისხმობს იმ პერიოდის საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების დონისათვის შესაბამისი ომისა და ბრძოლის ფორმების გაჩენას. ამავე დროს სავარაუდოა, რომ სამხედრო ხელოვნების ელემენტები ჯერ კიდევ პრიმიტიული ხასიათისა იყო, არ არსებობდა მათი ჩამოყალიბებული, მდგრადი ფორმები.

ძვ.წ. VIII–VII სს-ში ამიერკავკასიას გრიგალივით გადაუარეს ევრაზიის ველებიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა – კიმირიელებმა და სკვითებმა. სამხედრო საქმის განვითარების თვალსაზრისით, ამან ჩვენს წინაპრებს მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსან მოისართა ტაქტიკა და საჭურველი გააცნო. როგორც ჩანს, სწორედ მომთაბარეთა გავლენით კავკასიაში ფართოდ ვრცელდება მოკლე ორლესული მახვილი – აკინაკი, მასრიანი ისრის პირები და იარაღის ზოგი სხვა სახეობა. კიმირიელებთან და სკვითებთან შეჯახებებში მიღებული გამოცდილება დაემატა იმ ცოდნას, რაც ქართველურ ტომებს დაგროვილი ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის მძიმედ შეიარაღებულ მეომრებთან საუკუნოვანი ბრძოლების შედეგად და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ სამხედრო ხელოვნებას ახალი შტრიხები შესძინა.

ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ქართველური ტომები ბრძოლის ველზე ხვდებიან სპარსელებსა და ბერძნებს, IV ს-ში კი მაკედონელებს. ამრიგად, ძველი ქართლის, ანუ იბერიის, სამეფოს ჩამოყალიბების დროისათვის (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული) ქართველებს უკვე დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული იმ დროინდელი მსოფლიოს საუკეთესო ჯარებთან ჭიდილში. ეს გამოცდილება საფუძვლად დაედო ძველი ქართლის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციას და მისი შეიარაღებული ძალების სამხედრო ხელოვნებას.

ქართლის (იბერიის) სათავეში იდგა მეფე, რომელიც ამავე დროს უმაღლესი მთავარსარდალი იყო. იგი სახელმწიფოს მართავდა წარჩინებულთა და ქურუმთა დახმარებით. მოსახლეობის

დიდი ნაწილს შეადგენდნენ თავისუფალი მეთემეები (ერი). ქალაქების მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა. იბერიაში იყვნენ აგრეთვე მონები და სხვა არათავისუფალი მწარმოებლები (დამოკიდებული გლეხები).

იბერიის ლაშქარი მილიციური ხასიათისა იყო, თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან მუდმივ კონტინგენტებს (მეფის მცველი რაზმი, ციხე-ქალაქთა გარნიზონები და სხვ.). ცხენოსან ჯარში გამოდიოდნენ წარჩინებულები და მათი თანმხლები პირები, ქვეითობა თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა. ჯარში არ გაჰყავდათ მონები და სხვა არათავისუფალი პირები. სალაშქრო სამსახურისაგან გათავისუფლებული იყო აგრეთვე ქალაქების მოსახლეობა.

იბერიელი მეომრები შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, მახვილებით, ჩუგლუგებით, შურდულებითა და მშვილდისრებით. წარჩინებულებს ძვირფასი დამცავი აბჯრები ჰქონდათ, უბრალო მოლაშქრეები კი, როგორც ჩანს, თავდასაცავად ატარებდნენ ტყავგადაკრულ მოწნულ ფარებს, ჩაფხუტებს და ნადირის ტყავისაგან შეკერილ ხიფთანებს.

იბერიის სამხედრო ორგანიზაციაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ ჩრდილო კავკასიის მეომარი ტომების რაზმები. თანამედროვე ჩეჩნების, ინგუშების, დაღესტნელების, ოსებისა და სხვა ხალხების წინაპრები ქირით ან მოკავშირეობის საფუძველზე მოდიოდნენ იბერიის მეფეთა სამსახურში. ჩრდილოკავკასიელთა ძალებს იბერები, როგორც წესი, დიდი სამხედრო კამპანიის დაწყების წინ იწვევდნენ, ომის დასრულების შემდეგ კი უკან აბრუნებდნენ. ამასთან არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოელთა ცალკეული რაზმები იბერიის გამგებელთა მუდმივ ლაშქარშიც მსახურობდნენ, ზოგჯერ კი მეფეები მათ სამხედრო კოლონისტების სახით ამკვიდრებდნენ ქართლის მიწა-წყალზე.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ იბერიას, თავისი ძლიერების ხანაში (ახ.წ. დასაწყისი), სამხედრო ძალების სრული მობილიზაციის შემთხვევაში შეეძლო გამოეყვანა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დაახლოებით 60–80 ათას მეომრამდე. ამ ძალების ერთ მეოთხედს, ე.ი. 15–20 ათას კაცს, ცხენოსნები შეადგენდნენ.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იცვლება ქართული ჯარის სოციალური სახე და სტრუქტურა, იგი თანდათან ფეოდალურ ხასიათს იძენს. ლაშქარში იზრდება წარჩინებულთა ცხენოსანი რაზმების ხვედრითი წილი. მეთემეთა ქვეითი მილიცია კიდევ იწარჩუნებს მნიშვნელობას, მაგრამ მას უკვე, ძირითადად, საკუთარ ტერიტორიაზე წარმოებული ომების დროს იწვევენ. ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში საზღვარგარეთულ ლაშქრობებში, როდესაც ქართველები სხვის ტერიტორიაზე მოქმედებენ, მათ ლაშქარში ცხენოსანი ჯარი ერთნახევარჯერ სჭარბობს ქვეითობას, თავდაცვითი კამპანიის დროს კი ცხენოსნები მთელი ძალების მხოლოდ ნახევარს შეადგენენ.

სავარაუდოა, რომ იბერიული ლაშქრის ორგანიზაცია თავდაპირველად ათობით სისიტემაზე იყო დამყარებული (ათეულები, ასეულები, ათასეულები). უმაღლეს საორგანიზაციო ერთეულს საერისთავოს ლაშქარი წარმოადგენდა, რომელიც დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქიდან – საერისთავოდან – გამოდიოდა. მის სათავეში იდგა ოლქის გამგებელი – ერისთავი. ერისთავთა შორის უფროსი იყო სპასპეტი, რომლის საგამგებლო ტერიტორია მოიცავდა შიდა ქართლს ტაშისკარიდან მცხეთამდე.

ძველი ავტორები საგანგებოდ აღნიშნავენ იბერიელი მეომრების მაღალ საბრძოლო თვისებებს. უცხოელთა მოწონებას იმსახურებდნენ იბერიელი შუბოსნები და მშვილდოსნები, წარჩინებულთაგან შემდგარი მძიმე კავალერია. იბერიელ ქვეითებს წარმატებით შეეძლოთ ბრძოლა ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ. ათვისებული ჰქონდათ როგორც ღია ბრძოლის, ასევე პარტიზანული ომის ტაქტიკა.

იბერიაში განვითარებული იყო სამხედრო-საინჟინრო საქმე. ჩვენს დრომდე მოაღწიეს იმ პერიოდის ფორტიფიკაციული ნაგებობების ნაშთებმა. განსაკუთრებით კარგად იყო გამაგრებული სამეფოს დედაქალაქი მცხეთა, რომელიც თავისი ციტადელით – არმაზციხით,

მახლობელ ციხე-ქალაქებთან (სარკინე, ზადენციხე და სხვ.) და მტკვარ-არაგვის ხეობების ჩამკეტ კედლებთან ერთად, რომელთა კვალი აღმოჩენილია ზაჰესთან, სარკინესთან, ღართისკართან, წიწამურ-ბებრისციხის ზოლზე, მძლავრ თავდაცვით კვანძს წარმოადგენდა. კარგად იყო გამაგრებული იბერიის დანარჩენი ქალაქებიც – უფლისციხე, ურბნისი, წუნდა, ოძრხე, ხუნანი და ქვეყანაში შემომავალი გზები. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თერგ-არაგვისა და მტკვარ-რიონის სტრატეგიულ მაგისტრალებს, რომლებსაც ბევრგან დარაჯობდნენ და კეტავდნენ ციხესიმაგრეები და კედლები.

მოქნილი სამხედრო ორგანიზაცია, ჯარების მაღალი ბრძოლისუნარიანობა, საბრძოლო სულისკვეთება და სამხედრო ხელოვნება, ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებანი და ციხესიმაგრეთა განვითარებული სისტემა – აი, ის სტრატეგიული ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ქართლის (იბერიის) სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და განვითარება ხშირი ომებისა და უცხოელთა შემოსევების პირობებში.

ნ ა წ ი ლ ი II

შუა საუკუნეების სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, ომები და სამხედრო ხელოვნება

ფეოდალური საზოგადოება. შეიარაღებული ძალების დახასიათება

პერიოდს V ს-ის მეორე ნახევრიდან XVII ს-ის შუა ხანებამდე ეწოდება შუა საუკუნეები. ეს მსოფლიო-ისტორიული ეპოქა ხასიათდება ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის – ფეოდალიზმის ბატონობით, რომელიც განვლო, ფაქტობრივად, მსოფლიოს ქვეყნების დიდმა ნაწილმა. ფეოდალურ ხანაში მსოფლიო ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების ცენტრებმა აზიიდან და სამხრეთ ევროპიდან დასავლეთ ევროპაში გადაინაცვლეს. ამ პროცესს რამოდენიმე საუკუნე დაჭირდა. ევროპული სახელმწიფოების ბრძოლამ ერთმანეთის წინააღმდეგ და აღმოსავლეთის ხალხებთან გამოიწვია საბრძოლო ტექნიკის, სამხედრო ორგანიზაციისა და ხელოვნების განვითარება. ფეოდალურმა ფორმაციამ თავისი განვითარების პროცესში სამი საფეხური განვლო: 1) ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვისა და განმტკიცების სტადია, ანუ ადრეული ფეოდალიზმი; 2) განვითარებული ფეოდალიზმი; 3) ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალისტური ურთიერთობების აღმოცენების სტადია, ანუ გვიანდელი ფეოდალიზმი. დასავლეთ ევროპაში მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები ასე გამოიყურება: ადრეული ფეოდალიზმი (V–XI სს.); განვითარებული ფეოდალიზმი (XII–XV სს.); გვიანდელი ფეოდალიზმი (XV ს-ის ბოლო–XVII ს.). ყველა ამ პერიოდს ახასიათებდა ფეოდალურ სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი, სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების გარკვეული ფორმები.

სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო ფეოდალიზმის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა ყველა ქვეყანაში ერთდროულად არ ხდებოდა. ამიტომ, ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების თუ სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლის დროს უნდა გათვალისწინებული იქნას მისი ისტორიული განვითარების თავისებურებები.

ფეოდალიზმის სხვადასხვა სტადიაზე და სხვადასხვა ქვეყანაში ლაშქრის დაკომპლექტების წესი, შეიარაღება და ორგანიზაცია, სხვადასხვანაირი იყო. ისინი განისაზღვრებოდნენ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებით, მოსახლეობის ეროვნული თავისებურებებითა და ტრადიციებით.

ფეოდალიზმის პირველი პერიოდი ხასიათდება საწარმოო ძალთა შედარებით დაბალი დონით, პირველყოფილი თემური და მონათმფლობელური წყობილებების მნიშვნელოვანი გადმონაშთებით. ფეოდალიზმის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სახალხო მილიციის ფართო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში, განსაკუთრებით უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ თავდაცვითი ომების დროს.

ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცებასთან ერთად სახალხო მილიცია თანდათანობით გაქრა, ვინაიდან ქრება თავისუფალი გლეხობა, ანუ ის სოციალური ფენა, რომელიც მისთვის ძირითად კადრებს იძლეოდა. მოსახლეობა დაიყო ორ მთავარ კლასად – მებატონე ფეოდალებად და ყმა გლეხებად. თავისუფალი გლეხობა შემოინახა მხოლოდ ევროპის განაპირა მხარეებში და მთიან რეგიონებში. იქ სახალხო ლაშქარი, როგორც ასეთი, კიდევ არსებობდა, მაგრამ დასავლეთ ევროპის დიდ ნაწილზე სამხედრო საქმე, პრაქტიკულად, მხოლოდ ფეოდალებისა და მათი გარემოცვის პრივილეგია ხდება. შემუშავდა ფორმულა: ”ხალხი უნდა შრომობდეს, რაინდობა ომობდეს, სამღვდელეობა ლოცულობდეს”. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეოდალს არ შეეძლო შეიარაღებინა და საბრძოლო რაზმში ჩაერიცხა რომელიმე მდაბიო, რომელიც მეომრული თვისებებით იქნებოდა დაჯილდოვებული, მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისის სახით ხდებოდა. მით უფრო შეუძლებელი იყო მდაბიო-მოლაშქრის რაინდულ წრეში მოხვედრა. რაინდი მხოლოდ რაინდის შვილი უნდა ყოფილიყო (იკრძალებოდა მღვდლების, ვაჭრების, ხელოსნებისა და გლეხების შვილთა რაინდად კურთხევა). ლაშქრობაში წაყვანილ გლეხებს ძირითადად არასაბრძოლო ფუნქციები ეკისრებოდათ – ტვირთის ზიდვა, ცხენების მოვლა, ბანაკში მუშაობა და ა.შ. მდაბიურები ზოგჯერ სამხედრო მოვალეობებსაც ასრულებდნენ (ქვეითი მშვილდოსნები და შუბოსნები), მაგრამ ფეოდალი-რაინდები მათ მაინც ნამდვილი ბრძოლისათვის გამოუსადეგარ მასად მიიჩნევდნენ. მშვიდობის დროს არასამხედრო ფენების წარმომადგენლებს საერთოდ ეკრძალებოდათ იარაღის ტარება. მაგალითად, გერმანიის მეფის ფრიდრიხ I-ის 1152 წლის დადგენილებით, გლეხს, რომელიც გაბედავდა შუბის ან მახვილის ტარებას, იარაღი უნდა წართმეოდა ან ფულადი ჯარიმა გადაეხადა. ვაჭრებს, მძარცველებისაგან თავის დასაცავად, გზაში მახვილის წაღების უფლება ჰქონდათ, მაგრამ ეკრძალებოდათ მისი წელზე შებმა, უნდა ურემზე დაედოთ ან ჩამოეკიდათ ცხენის უნაგირზე.

ამრიგად, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში იარაღის ტარება და სამხედრო სამსახური ფეოდალთა კლასის პრივილეგიაა. ფეოდალთა კლასი თავისი შემადგენლობით მეტად არაერთგვაროვანი იყო. მის სათავეში იდგნენ მეფეები და მსხვილი ფეოდალები (მთავრები, დიდებულები) – ჰერცოგები და გრაფები. საშუალო ფეოდალებს წარმოადგენდნენ ბარონები. ბარონებს ქვემოთ წვრილი რაინდები იდგნენ. ”რაინდული წოდების” კაცად ფეოდალური სამართალი მიიჩნევდა ყველა თავისუფალ ადამიანს, რომლის ორი წინაპარი მაინც ატარებდა მახვილს. ფართო გაგებით რაინდობა საერო ფეოდალთა მთელ წოდებას მოიცავდა. რაინდების გარდა ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდნენ მღვდელმთავრებიც – არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები. ფეოდალურ საზოგადოებაში თავისი მდგომარეობით ისინი საერო დიდებულებს არ ჩამოუვარდებოდნენ.

ევროპის ქვეყნებში განვითარებული ფეოდალიზმის დროს შეიარაღებული ორგანიზაციის ძირითადი ფორმა იყო პროფესიული ლაშქარი, რომელიც შედგებოდა მეფე-მთავართა მცირერიცხოვანი მუდმივი რაზმებისა და ფეოდალური მილიციისაგან. ფეოდალური მილიციის დაკომპლექტების ბაზა რომ გაეზარდათ, მეფეები და მათი ვასალები, დიდებულები, სამხედრო სამსახურის პირობით მიწას ურიგებდნენ საშუალო და წვრილ ფეოდალებს. თავის მხრივ, ბარონებსაც შეეძლოთ მიწის გადაცემა წვრილი რაინდებისათვის სამსახურის სანაცვლოდ. ასე დგებოდა პირობით მიწათსარგებლობაზე დამყარებული ფეოდალური იერარქია, რომელშიც ყოველი ქვემდგომი ვასალი (სუბვასალი) თავის პატრონად (სიუზერენად) აღიარებდა ფეოდალს, რომლის სამსახურშიც თვითონ იმყოფებოდა, და არა თავისი პატრონის უზენაეს სიუზერენს.

ანდაზაც კი გაჩნდა: “ჩემი ვასალის ვასალი – ჩემი ვასალი არ არის”. ფეოდალური მილიცია ზუსტად იმეორებდა ამ პრინციპს. მეფის ვასალების და ვასალთა ვასალების მიერ გამოყვანილი რაზმები მხოლოდ თავის უშუალო წინამძღოლებს ემორჩილებოდნენ და თავ-თავისი დროშებითა და ნიშნებით გამოდიოდნენ ლაშქარში, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ავტონომიური სამხედრო ფორმირებების მექანიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ჩვეულებრივ, ვასალს ევალებოდა წელიწადში 40 დღე ეომა თავისი ხარჯით პატრონის დროშის ქვეშ. თუ საბრძოლო მოქმედებები უფრო დიდ ხანს გაგრძელდებოდა, მაშინ ვასალისა და მისი რაზმის შენახვა უკვე სიუზერენს უნდა ეკისრა.

ამრიგად, რაინდული ლაშქრის ორგანიზაციის საფუძველი იყო ფეოდალური იერარქია. არმიის სათავეში იდგა მეფე – უმსხვილესი ფეოდალი და მთავარი სიუზერენი. მეფესთან არსებობდა დიდებულთა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ მსხვილი ფეოდალები – ჰერცოგები და გრაფები. ყოველ მათგანს თავისი ვასალების ლაშქარი ახლდა, რომელსაც ეწოდებოდა “დროშა” (ფეოდალური არმიის უმაღლესი საორგანიზაციო ერთეული). დროშასთან, ანუ დიდებულთან, მსხვილი სუბვასალების – ბარონების – საბჭო იყო. ბარონს სიუზერენის დროშის ქვეშ თავისი ვასალების რაზმი გამოჰყავდა, რომელიც რამდენიმე “შუბისგან” შედგებოდა. “შუბი” - რაინდული ლაშქრის უმცირესი საორგანიზაციო და ამავე დროს ტაქტიკური ერთეული იყო. იგი შედგებოდა ერთი მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი რაინდისა და მისი რამოდენიმე ქვეითი თუ ცხენოსანი მსახურისაგან.

რაინდის იარაღი იყო მახვილი, შუბი, საბრძოლო ნაჯახი და გურზი. დამცავი საჭურველი შედგებოდა ფარის, მუზარადისა და გრძელი ჯავშნისაგან. XII ს-ის მეორე ნახევრიდან რაინდის ცხენიც ჯავშნით იფარებოდა. შემტევი და დამცავი აღჭურვილობის ეს სახეობები (მთლიანობაში) ჩვენს ერამდეც იყო ცნობილი, მაგრამ შუა საუკუნეებში ხელოსნური წარმოების განვითარებისა და ლითონის დამუშავებაში მიღწეული წარმატებების გამო მათი ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ფორმები დაიხვეწა.

უბრალო მეომრები ძირითადად შეიარაღებულები იყვნენ შუბებით, მშვილდებითა და არბალეტებით. მოგვიანებით, XIV ს-ში, გაჩნდა ალეზარდა, გრძელტარიანი საჩეხ-საჩხვლეტი იარაღი, რომელიც შუბისა და ნაჯახის შეერთებას წარმოადგენდა.

ფეოდალური არმიების განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენა XIV ს-ში.

პრიორიტეტი დენტისა და ცეცხლის მტყორცნელი საშუალებების წარმოებაში ჩინელებს ეკუთვნის. დენთი მათ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამოდენიმე საუკუნით ადრე მიიღეს, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ფეიერვერკების მოსაწყობად იყენებდნენ. სამხედრო საქმეში ცეცხლმტყორცნელი იარაღის (ე.წ. “ცეცხლოვანი ისრები”, “მძვინვარე ცეცხლის შუბები”) გამოყენებას ჩინეთში სპორადულად ადგილი ჰქონდა VIII–XIII სს-ში.

VII ს-ში ბიზანტიის იმპერიაში¹³ აღმოაჩინეს საწვავი შემადგენლობა, რომელიც ”ბერძნული ცეცხლის” სახელით არის ცნობილი. მისი რეცეპტი დღეისათვის დავიწყებულია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იგი შეიცავდა გვარჯილას, გოგირდს, ნავთობს, ფისსა და სხვა ინგრედიენტებს. ამ იარაღს იყენებდნენ როგორ ზღვაზე, ასევე ხმელეთზე ბრძოლის დროს. ბერძნული ცეცხლი მტრისკენ იტყორცნებოდა კასრებით, თიხისა და შუმის ჭურჭლით, სპილენძის მილებით, და შეედლო ცეცხლის ალში გაეხვია მისი ხომალდი, სააღყო ტექნიკა და სხვ. საყურადღებოა, რომ ბერძნულ ცეცხლს წყალი ვერ აქრობდა.

დასავლეთ ევროპაში დენთი არაბთა მეშვეობით გახდა ცნობილი, რომლებმაც მისი დამზადება ჩინელებისგან ისწავლეს და სამხედრო საქმეში უკვე XIII ს-დან იყენებდნენ. ევროპელებმა გამოიყენეს არაბების ეს გამოცდილება და XIV ს-ის პირველ ნახევარში ცეცხლსასროლი იარაღის პირველი ნიმუშები დაამზადეს. აღსანიშნავია, რომ ევროპული

ცეცხლსასროლი იარაღი, ბერძნული და ჩინური დანადგარებისაგან განსხვავებით, მოწინააღმდეგეს ესროდა არა ცეცხლგამჩენ მასას, არამედ ქვის ჭურვებსა და რკინის ტყვიებს. აქედან იწყება ცეცხლსასროლი იარაღის ნამდვილი განვითარება, რამაც გარკვეული დროის შემდეგ ძირფესვიანად შეცვალა შეიარაღების სახე, ბრძოლის ხასიათი და სამხედრო ხელოვნება.

ცეცხლსასროლი იარაღის პირველი ნიმუშები ძალიან პრიმიტიული იყო. მათ მომსახურებას ხშირად ორი კაცი ჭირდებოდა, რომლებიც დღეში 2-4 გასროლას თუ ახერხებდნენ, ნასროლი კი იშვიათად ხვდებოდა მიზანს. ხშირი იყო იარაღის გასკდომის შემთხვევებიც, ვინაიდან ჯერ დადგენილი არ იყო როგორი უნდა ყოფილიყო პროპორციები ქვემეხისა და ჭურვის, ჭურვისა და დენთის წონას შორის. ამიტომ იარაღის ამ ახალი სახის პარალელურად კიდევ დიდხანს გამოიყენებოდა არბალეტი და მშვილდ-ისარი.

არქაული ცეცხლსასროლი იარაღი (ბომბარდა) იყოფოდა შედარებით მსუბუქ ხელთოფებად (ბომბარდელა), რომლებიც ცოცხალი ძალის შესამუსრავად იყო განკუთვნილი, და მძიმე, ულაფეტო ქვემეხებად, რომლებსაც ჯერ მხოლოდ ციხესიმაგრეთა კედლების სანგრევად, XV ს-ის დასაწყისიდან კი საველე ბრძოლებშიც იყენებდნენ¹⁴. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ზომასა და წონაში იყო. სატყორცნი მუხტის აალება ხდებოდა გახურებული მავთულით.

XV ს-ში შედარებით სრულყოფილი ხელის ცეცხლსასროლი იარაღი გაჩნდა – არკებუზი. მას უკვე კონდახ-სალულე და პატრუქიანი ფალია ჰქონდა. არკებუზის წონა 15-20 კილოგრამს აღწევდა. ისროდა ქვებს, შემდეგ კი მრგვალ ტყვიებს 150-200 მეტრის მანძილზე.

საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების, მანუფაქტურული წარმოების გაჩენის, ლითონების დნობა-დამუშავებისა და დენთის დამზადების ტექნიკის გაუმჯობესების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი უფრო უკეთესი გახდა და XVI-ის დასაწყისისათვის უკვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ამ დროს გაჩნდნენ ზარბაზნები ბორბლებიანი ლაფეტებით. მათი სროლის მანძილი 500 მეტრს აღწევდა, სიხშირე კი – დღეში 10-12 გასროლას. გაუმჯობესდა თოფიც: მძიმე და მოუხერხებელი არკებუზის ნაცვლად გაჩნდა მუშკეტი (წონა 8-10 კგ, სროლის მანძილი 250 მ-მდე). მუშკეტის 50 გრამიანი ტყვია ნებისმიერ ჯავშანს ხვრეტდა, რამაც თანდათანობით შეამცირა ბრძოლაში ლითონის დამცავი აბჯრის გამოყენება.

მოგვიანებით გაჩნდა დამბაჩა, შედარებით მცირე ზომის მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ხმარება ცალი ხელით შეიძლებოდა. თავდაპირველად მას მხოლოდ კავალერია იყენებდა, შემდეგ კი ქვეით ჯარშიც გავრცელდა.

პატრუქიანი მუშკეტის მთავარი ნაკლი დაბალი სწრაფსროლა იყო. მაშინ როცა მშვილდოსანს წუთში 12-მდე ისრის გაშვება შეეძლო, მეთოფეს გასროლიდან გასროლამდე, თოფის ხელახლა გასატენად, 2-3 წუთი ჭირდებოდა. ამიტომ, პირველ ხანებში, ქვეითი ჯარისკაცების ნაწილი ისევ შუბებით იყო შეიარაღებული, რათა თოფდაცლილი მუშკეტერები დაეცვათ მოწინააღმდეგის კავალერიისაგან. მოგვიანებით, როდესაც გამოგონებული იქნა კაჟიანი საკეტი (დენთის აალებას ახდენდა ჩახმახში ჩამაგრებული კაჟით გამოკვესილი ნაპერწკალი), გასროლებს შორის ინტერვალი ერთ წუთამდე შემცირდა. მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს გააკეთეს ისეთი თოფი, რომლითაც მთელი ქვეითი ჯარის შეიარაღება შეიძლებოდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სამხედრო-საზღვაო ფლოტშიც. მცირე ნიჩბიანი ხომალდების ნაცვლად გაჩნდა შედარებით დიდი, 200-300 ტონა წყალწყვის იალქნიანი გემები, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ არტილერიით.

XIV ს-დან დასავლეთ ევროპაში კვლავ იწყება ქვეითი ჯარის აღორძინება, რომელიც რამოდენიმე საუკუნე სრულიად დაჩრდილული იყო რაინდული მხედრობის მიერ. ფლანდრიის¹⁵ ქალაქების მილიცია და შვეიცარიის მთიელი გლეხები იყვნენ ის პირველი ქვეითები, რომლებმაც გამარჯვებები მოიპოვეს ცხენოსან რაინდებთან ბრძოლაში.

ქვეითი ჯარისკაცის როლი ბრძოლის ველზე უფრო გაიზარდა ცეცხლსასროლი იარაღის, განსაკუთრებით, მუშკეტის, გაჩენის შემდეგ. ქვეითი შუბოსნებისა და მუშკეტერებისაგან

შემდგარ საბრძოლო წყობას ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო შეჯავშნული კავალერიისათვის. ეს პირველად მთელი სიცხადით გამოჩნდა პავიის ბრძოლაში¹⁶, სადაც ესპანელმა და გერმანელმა ქვეითმა მეთოფეებმა მოიგერიეს ფრანგების მძიმე ცხენოსანი ჯარის შეტევა. მოკლული იყო რკინაში ჩამჯდარი ბევრი მხედარი.

გვიანდელი ფეოდალიზმი ეს არის ფეოდალური სისტემის კრიზისის ხანა, როდესაც ძლიერდებიან ქალაქები (ბურჟუაზია) და სამეფო ხელისუფლება, რომელიც ქალაქების მხარდაჭერით სარგებლობს. ფეოდალური სამხედრო ორგანიზაცია უკვე დაცემას განიცდის. მსხვილი საფეოდალოები (სამთავროები) ან უქმდება და მათი ტერიტორია სამეფო დომენის შემადგენლობაში შედის (როგორც ეს მოხდა საფრანგეთში) ან მცირე სახელმწიფოებად იქცევა (მაგალითად, გერმანიაში, იტალიაში). უფრო წვრილ ფეოდალებს გაძლიერებული ცენტრალური ხელისუფლება იმორჩილებს. შესაბამისად, ჯერ მცირდება, შემდეგ კი საერთოდ ქრება ცხენოსანი ფეოდალური მილიცია. რაინდთა შთამომავალი აზნაურები სამეფო არმიაში შედიან, რომელიც, ძირითადად, უკვე დაქირავებული მეომრებისგან შედგება. ჯარის დასაქირავებელ თანხებს მეფეები, უმთავრესად, ქალაქებისაგან იღებდნენ. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჯარისკაცების ეროვნებას. მოქირავნეები მზად იყვნენ ემსახურათ იმ არმიაში, სადაც მათ უკეთესად უზდიდნენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დამარცხებული არმიის ჯარისკაცები პირდაპირ ბრძოლის შემდეგ გადასულან გამარჯვებული მოწინააღმდეგის სამსახურში.

XV–XVI სს-ში დაქირავებული ჯარის მთავარი გვარეობა ქვეითობა იყო, თუმცა არსებობდნენ ცხენოსნებიც. თავდაპირველად ჯარს მარტო ომის დროს ქირაობდნენ, ზავის დადების შემდეგ კი შლიდნენ. მაგრამ XVII ს-ში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამტკიცებასთან ერთად, გადავიდნენ მუდმივი დაქირავებული ჯარების სისტემაზე.

მუდმივი არმიების გაჩენამ, გააუმჯობესა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების დონე. დაიწყეს წესდებების შემოღება, რამაც სამხედრო მშენებლობა ერთიანი შეხედულებების საფუძველზე დააყენა.

ამრიგად, ფეოდალური სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების სისტემამ სამი სტადია გაიარა: 1) შერეული სისტემა (სახალხო მილიცია და ფეოდალთა რაზმები); 2) რაინდი-ფეოდალების მილიცია; 3) ჯარების დაქირავების სისტემა.

XV ს-მდე ჯარებს არ ჰქონდათ ცენტრალიზებული მომარაგება. სახელმწიფო უზრუნველყოფდა მხოლოდ იარაღის ზოგიერთი სახეობისა და საბრძოლო მასალების მოწოდებას. სურსათს, ფურაჟსა და ცივ იარაღს ფეოდალები დამოუკიდებლად იძენდნენ. ვასალები სიუზერენის ლაშქარში უნდა გამოცხადებულიყვნენ საკუთარი იარაღით, ცხენებით, სურსათითა და ფურაჟით. დაქირავებული ჯარისკაციც სახელმწიფოსაგან მხოლოდ ფულს იღებდა. ყველაფერი, რაც მას ლაშქრობაში დაჭირდებოდა, თვითონ უნდა ეყიდა. ამიტომ, ხშირად, როდესაც სურსათი და ფურაჟი შემოაკლდებოდათ, მეომრები მოსახლეობის მარცვას იწყებდნენ.

ჯარების ცენტრალიზებული მომარაგება დასავლეთში პირველად შვედეთის მეფემ, გამოჩენილმა სარდალმა და სამხედრო რეფორმატორმა, გუსტავ II ადოლფმა (1611–1632) შემოიღო. სამხედრო მოქმედებების რაიონში იგი ქმნიდა საწყობებს (ბაზებს), საიდანაც მისი ჯარები ცენტრალიზებულად მარაგდებოდნენ. მატერიალური უზრუნველყოფის ასეთი სისტემის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა არმიის ბრძოლისუნარიანობა.

სამხედრო ხელოვნება

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის დროს, მოხდა ტაქტიკის – სამხედრო ხელოვნების ამ შემადგენელი ნაწილის – მნიშვნელოვანი განვითარება.

რაც შეეხება სტრატეგიას, კერძოდ, ომის მომზადებისა და სამხედრო მოქმედებათა ახალი მეთოდების გამომუშავებას, აქ, წინა პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი წინსვლა არ მომხდარა.

ადრეფეოდალურ ეპოქაში სამხედრო ხელოვნება თითქმის არ განსხვავდებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოების დროინდელი ომებისაგან. ჯარები იბრძოდნენ მჭიდროდ შეკრული წყობით, რომელიც ძველ ბერძნულ ფალანგას წააგავდა. აღმოსავლეთ სლავები ასეთ საბრძოლო წყობას “კედელს” უწოდებდნენ.

ბრძოლა, როგორც წესი, შეზღუდულ ფართობზე მიმდინარეობდა და ხანმოკლე იყო. მის შედეგს წყვეტდა მეომრების ფიზიკური ძალა, საბრძოლო ოსტატობა და სიმამაცე. მარტივი იყო საზღვაო ბრძოლის ტაქტიკაც, სადაც, ისევე როგორც ადრე, ბრძოლის ძირითადი ფორმები იყო აბორდაჟი და ტარანული დარტყმა. მხოლოდ ბიზანტიელები, რომლებიც საიდუმლოდ ინახავდნენ ბერძნული ცეცხლის რეცეპტს, წარმატებით იყენებდნენ ზღვაზე ამ იმ დროისათვის მრისხანე საშუალებას. მაგალითად, 673 წელს ბერძნული ცეცხლით მათ დაწვეს კონსტანტინოპოლზე მიმდგარი არაბების ფლოტი, 941 წელს კი ნორმანთა და რუსთა გემები¹⁷.

მთლიანობაში შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება ადრეული ფეოდალიზმის საფეხურზე მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზე იყო და დიდად არ განსხვავდებოდა წინა პერიოდისაგან, ვინაიდან ბრძოლის საშუალება კვლავ ძველებური რჩებოდა (ცივი იარაღი).

განვითარებული ფეოდალიზმის ხანა დასავლეთ ევროპაში ხასიათდება უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობითა და პერმანენტული შინაომებით. ომები სახელმწიფოებს შორის და, აგრეთვე, სახელმწიფოთა შიგნით, ფეოდალებს შორის, თითქმის არ წყდებოდა. მაგრამ მოწინააღმდეგეებს, როგორც წესი, დიდი ძალები ვერ გამოყავდათ და ამიტომ სამხედრო მოქმედებები გადამწყვეტ ხასიათს არ ატარებდნენ. იშვიათი იყო დიდი ბრძოლებიც. ბრძოლა, ჩვეულებრივ, მიმდინარეობდა ცალკეული მნიშვნელოვანი ობიექტების (ქალაქები, ციხე-დარბაზები, გამაგრებული მონასტრები) გარშემო და დიდხანს გრძელდებოდა. კიდევ უფრო ხანგრძლივი იყო ფართომასშტაბიანი ომები სახელმწიფოებს შორის. მაგალითად, ინგლის-საფრანგეთის ომმა (შესვენებებით) ას წელიწადზე მეტ ხანს გასტანა (ე.წ. ასწლიანი ომი, 1337–1453 წწ.), ესპანეთში კი ქრისტიანული სამეფოების ბრძოლა არაბულ-მუსლიმური სახელმწიფოების წინააღმდეგ (რეკონკისტა), რომლებიც იქ პირენეს ნახევარკუნძულის არაბთა მიერ დაპყრობის შემდეგ აღმოცენდნენ (VIII ს.), თითქმის რვა საუკუნე გრძელდებოდა (718–1492 წწ.).

გაშლილ ველზე ბრძოლაში რაინდული არმიები ერთ ხაზად ან სოლისებურად ეწყობოდნენ. ბრძოლის დაწყების შემდეგ საბრძოლო წყობა მალე იშლებოდა და ჭიდილი რაინდულ ორთაბრძოლებში გადადიოდა. ასეთი ბრძოლები, როგორც წესი, ხანგრძლივი არ იყო (2–4 სთ). ყველაზე დიდ ბრძოლებშიც სულ რამოდენიმე ათეული რაინდი იღუპებოდა.

რაინდული ტაქტიკის ტიპური მაგალითია 1214 წლის ბრძოლა ბუვინთან (საფრანგეთი).

ბუვინის ბრძოლა მოხდა საფრანგეთის მეფის ფილიპე II ოგიუსტის არმიასა და მისი მოწინააღმდეგე კოალიციის ძალებს შორის, რომლებსაც მეთაურობდა გერმანიის იმპერატორი ოტონ IV. ბრძოლაში ორივე მხრიდან მონაწილეობდა 20–30 ათასი კაცი, მაგრამ დამრტყმელ ძალებს მხოლოდ ცხენოსანი რაინდები წარმოადგენდნენ – 5000 მძიმედ შეიარაღებული მხედარი (2000 ფრანგი და 3000 გერმანელი). ქვეით შუბოსნებსა და მშვილდებითა და არბალეტებით შეიარაღებულ მოისრეებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ.

ორივე არმიის რაინდები ცალკეულ კოლონებად მოეწყვნენ. უბრალო მეომრები წინ დაიყენეს. კოალიციის წარმომადგენელმა ერთ-ერთმა დიდებულმა, გრაფმა რენო ბულონელმა 700 შუბოსნისაგან წრე გააკეთა, რომელშიც ბრძოლის დროს მის რაინდებს შეეძლოთ შესვლა და ცოტა ხნით დასვენება, თავის წესრიგში მოყვანა. ფილიპე II-მ 150 ცხენოსანი მეომარი ბუვინთან ხიდის დასაცავად დატოვა.

ბრძოლა რაინდული რაზმების ცალკეულ შეტაკებებში გადაიზარდა და 3 საათს გაგრძელდა. ერთიანი ხელმძღვანელობა არ ყოფილა. საფრანგეთის მეფე და გერმანიის იმპერატორი უბრალო რაინდებივით იბრძოდნენ. გაიმარჯვეს ფრანგებმა. რაინდობას დიდი ზარალი არ განუცდია. კოალიციამ დაკარგა 300-მდე რაინდი (70 მოკლეს, 220 ტყვედ ჩავარდა); ფრანგებმა – რამოდენიმეჯერ ნაკლები. ორივე მხარის ქვეითობამ გაცილებით მეტად იზარალა.

ფეოდალიზმის უკანასკნელ ეტაპზე დიდი ცვლილებები მოხდა ტაქტიკაში. ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივმა გამოყენებამ გამოიწვია საბრძოლო წყობის დანაწევრება, რომელიც შეიცავდა უკვე არა მარტო ქვეითობასა და კავალერიას, არამედ არტილერიასაც.

თოფის გაჩენით ქვეითობამ ბრძოლაში გადაწყვეტი რილი დაიმკვიდრა. შუბოსნები და მუშკეტერები 8–10 ათას კაციან ბატალიებად (კოლონებად) ეწყობოდნენ. კავალერია იკავებდა ინტერვალებს ბატალიებს შორის, არტილერია კი ან ჯარების წინ დგებოდა, ან მათ ფლანგებზე. მეთოფეები და არტილერისტები თავისი ცეცხლით შეტევას ამზადებდნენ, გადაწყვეტი დარტყმა კი შუბოსანთა და მხედართა შეკრული მასებით ხორციელდებოდა.

ცეცხლსასროლი იარაღის გაუმჯობესებასთან ერთად შემცირება იწყო საბრძოლო წყობის სიღრმემ, ხოლო ფრონტი გაგრძელდა, რათა ერთდროულად თოფების მაქსიმალური რაოდენობა ყოფილიყო მოქმედებაში. საბრძოლო წყობის ფრონტის ზრდამ და სიღრმის შემცირებამ გამოიწვია ხაზოვანი ტაქტიკის ჩამოყალიბება. მისი არსი მდგომარეობდა ორ-სამ ხაზად დაწყობილი ჯარების ფრონტზე თანაბარ განაწილებაში, რითიც ცეცხლის მეტი ეფექტურობა მიიღწეოდა. ყოველი ხაზი 3–4 მწკრივისაგან შედგებოდა. ხაზებს შორის დისტანცია იყო 50–200 ნაბიჯი.

XVII ს-ის დასაწყისისათვის მუშკეტერები ქვეითობის მთავარ ძალად იქცნენ, შუბოსნების რიცხვი კი თანდათანობით მცირდებოდა. ამან ევროპული არმიები ხაზოვან ტაქტიკამდე მიიყვანა. პირველად ხაზოვანი ტაქტიკის ელემენტები გამოიყენა ჰოლანდიელმა მხედართმთავარმა მორიც ორანელმა 1600 წ. ნიუპორტის ბრძოლაში¹⁸, მაგრამ ახალი ტაქტიკის გაბატონება მოხდა ოცდაათწლიანი ომის¹⁹ დროს (1618–1648 წწ.).

ხაზოვანი საბრძოლო წყობა შეიცავდა სახმელეთო ჯარების იმ დროისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სამივე გვარეობას: ქვეითობას, კავალერიასა და არტილერიას. ამასთან ყოველ მათგანს, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საბრძოლო წყობაში თავისი ადგილი და ამოცანები ჰქონდა.

ხაზოვან წყობაში გამორიცხული იყო ცალკეული მეთაურების მიერ ინიციატივის გამოჩენა, ვინაიდან ყოველი ქვედანაყოფის ადგილი წინასწარ იყო განსაზღვრული. ბრძოლის წინ მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ დგებოდნენ და ბრძანების მიღების შემდეგ მწყობრით იწყებდნენ ნელ-ნელა დაახლოებას. დროდადრო ჯარისკაცები ჩერდებოდნენ ბათქებით სროლისათვის და თოფების ხელახლა დასატენად. შემდეგ საბრძოლო ხაზები ისევ ერთმანეთისაკენ მიიწევდნენ. ამავე დროს ცოცხალ ძალას პირდაპირი დამიჯნებით არტილერია უშენდა კარტეჩს²⁰. ბოლოს, რომელიმე მხარე ვეღარ გაუძლებდა ცეცხლის ქვეშ ყოფნას და უკუიქცეოდა. გაქცეულებს, როგორც წესი, კავალერია მიდევდა.

ცეცხლსასროლი იარაღის გაუმჯობესებისა და ხაზოვანი ტაქტიკის შექმნის შედეგად საბრძოლო მოქმედებები გაცილებით უფრო სისხლისმღვრელი გახდა. მაგალითად, ოცდაათწლიანი ომის ზოგიერთ ბრძოლაში მოკლული და დაჭრილი იყო მონაწილეთა ერთ მესამედზე მეტი.

ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებამ გავლენა მოახდინა საზღვაო ბრძოლაზეც: ტარანისა და აბორდაჟის ნაცვლად აქაც ხაზოვანი ტაქტიკა გაჩნდა. კილვატერულ ხაზში (ერთმანეთის მიყოლებით) დაწყობილი გემები მოწინააღმდეგის ესკადრას უახლოვდებოდნენ და საზარბაზნე მანძილიდან იხსნებოდა ცეცხლი. აქედან მოდის ტერმინი ”სახაზო გემი”, ანუ ხომალდი, რომელიც ხაზოვან მწყობრში აწარმოებს ბრძოლას. XVII ს-ში იალქნიანი სამხედრო გემები

ზომის, შეიარაღებისა და ეკიპაჟის რაოდენობის მიხედვით 6 რანგად დაიყო. სახაზო ხომალდები – ფლოტის მთავარი ძალა – პირველ სამ რანგს შეადგენდნენ. პირველი რანგის სახაზო ხომალდი 900-1800 ტონა წყალწყვისა იყო, ატარებდა 64-100 ქვემეხს, ეკიპაჟი 750-მდე კაცს ითვლიდა.

ფეოდალური საქართველოს ლაშქარი

საქართველოში ფეოდალურმა წყობილებამ გაიმარჯვა ახ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. ფეოდალური ურთიერთობების შემდგომმა გაღრმავებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციაში. ბარში სამხედრო საქმე მთლიანად ფეოდალების (აზნაურების) მიერ იქნა მონოპოლიზებული. სამხედრო სამსახური საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, კასტური გახდა. მაგალითად, "ვეფხისტყაოსანი" მკვეთრად განასხვავებს მშრომელი გლეხობისა და მხედარ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფუნქციებს: "რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს, მუშა მიწყევს მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს". სახალხო მილიცია, როგორც შეიარაღებული ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, შემოინახა მხოლოდ მთიან რაიონებში, სადაც ფეოდალურ ურთიერთობებს ღრმა ფესვები არ გაუდგიათ და მოსახლეობის მთავარი სოციალური ფენა - თავისუფალი გლეხობა იყო.

საქართველოში აზნაურთა ცხენოსანი მილიცია, ისევე როგორც რაინდული შეიარაღებული ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში, ფეოდალურ იერარქიაზე იყო დაფუძნებული. მსხვილი ფეოდალები (დიდებულები, დიდი აზნაურები) უშუალოდ მეფის ყმები (ვასალები) იყვნენ და საჭიროების შემთხვევაში მეფის დროშის ქვეშ საკუთარი ვასალების ლაშქარი გამოყავდათ. ყმა-აზნაურები ეკლესიასაც ჰყავდა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ (X ს-ის ბოლო და XI ს-ის დასაწყისი) ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციამ შემდგომი განვითარება ჰპოვა. თუ წინა პერიოდში შეიარაღებული ძალების უმაღლესი საორგანიზაციო ერთეული იყო საერისთავოს ლაშქარი, სახელმწიფოს ტერიტორიის ზრდასთან ერთად სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ახალი, უფრო მსხვილი გაერთიანების საჭიროება, რომელიც რამოდენიმე საერისთავოს ძალებისაგან იქნებოდა შედგენილი. როგორც ჩანს, უკვე XI ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს სამეფოს სამი მთავარი რეგიონის ბაზაზე (აფხაზეთი, ანუ დასავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო და ქართლი), ჩამოყალიბდა სამი დიდი საორგანიზაციო ერთეული: 1) აფხაზეთის ლაშქარი, ანუ შიდა სპა; 2) ზემო ლაშქარი; 3) ქართლის ლაშქარი. ბრძოლაში ამ ერთეულებს, გარკვეულწილად, ტაქტიკური დამოუკიდებლობა გააჩნდათ. შემდგომში ამ გაერთიანებათა რაოდენობამ ოთხს მიაღწია და მათ ბაზაზე შეიქმნა სამხედრო ოლქების – სადროშოების – სისტემა.

ამრიგად, ქართული ფეოდალური შეიარაღებული ორგანიზაციის მთავარი შემადგენელი ნაწილი აზნაურთა ცხენოსანი მილიცია იყო. გარდა ამისა, მეფეებსა და მთავრებს ჰყავდათ მცირერიცხოვანი მუდმივი რაზმები (ტაძრეულები). მთიელთა ქვეითი ლაშქარი, თავისი მნიშვნელობით ჩამოუვარდებოდა აზნაურულ მხედრობას, განსაკუთრებით, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში.

დავით აღმაშენებელმა (1089-1125), რომლის მეფობით იწყება ფეოდალური საქართველოს "ოქროს ხანა", გაზარდა შეიარაღებული ძალების რაოდენობა. მან ჩამოაყალიბა მუდმივი ჯარის ახალი რაზმი – მონასპა, რომელიც 5000 მეომარს ითვლიდა და გაქრისტიანებული უცხოელებისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, მეფემ, სამხედრო სამსახურის პირობით აღმოსავლეთ ევროპის ველებიდან საქართველოში გადმოსახლა ყივჩაყთა²¹ დიდი ურდო (40000 მეომარი მათი ოჯახებით).

როგორც სპეციალურ, ისე სასწავლო და პოპულარულ ლიტერატურაში ხშირად ვკითხულობთ, თითქოს დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთაგან 40-ათასიანი მუდმივი ჯარი ჩამოაყალიბაო. ზოგი მეცნიერი კი დავითის მუდმივ ჯარს 60-65 ათასად ანგარიშობს. ეს წყაროების არასწორი გაგებით გამოწვეული შეცდომაა. იმ დროს საქართველოს ეკონომიკურად არ შეეძლო ასეთი მრავალრიცხოვანი მუდმივი ჯარის შენახვა. ყივჩაყთა სამსახური მილიციური ხასიათისა იყო. აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო რაიონებში განსახლებული მათი ტომობრივი ჯგუფები ტრადიციულ მესაქონლეობას მისდევდნენ, საზღვრებს იცავდნენ და საჭიროების შემთხვევაში მსუბუქი ცხენოსანი რაზმები გამოჰყავდათ. მაქსიმალური ძალა, რომელიც მათ შეეძლოთ გამოეყვანათ ერთ ლაშქრობაში, ალბათ არ აღემატებოდა 15-20 ათას ხმალოს, რაც, ცხადია, ცოტა არ იყო. მთლიანად კი დავით აღმაშენებელს თავისი მეფობის ბოლო წლებში შეეძლო ველზე გამოეყვანა 60 ათასამდე მეომარი.

ფეოდალურმა საქართველომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია თამარ მეფის (1184–1213) მმართველობის ხანაში. მისი შეიარაღებული ძალები შედგებოდნენ მუდმივი კონტინგენტების, მილიციისა და დამხმარე რაზმებისაგან. ლაშქრის ყველაზე მასობრივი სახეობა ფეოდალური მილიცია იყო, დაკომპლექტებული ტერიტორიულ-ტომური პრინციპით – მესხები, ტაოელები, აფხაზები, კახები, ქართლელები და ა.შ. დამხმარე ძალებს შეადგენდნენ ვასალური სამფლობელოებიდან გამოყვანილი რაზმები და, აგრეთვე, მოკავშირეთა და დაქირავებულთა კონტინგენტები. ეს უკანასკნელნი ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან მოდიოდნენ (ყივჩაყები, ოსები, ლეკები, ადიღები, ჩეჩნურ-ინგუშური ტომები). მთლიანობაში XIII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოს შეეძლო ველზე გამოეყვანა 60–90 ათასი მეომარი. ამ ძალების დიდ ნაწილს კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი შეადგენდა.

ქართული ლაშქარი ბრძოლაში "დროშების" მიხედვით ეწყობოდა. დროშა – სამხედრო ოლქიდან (სადროშოდან) გამოსულ ფეოდალური მილიციას და მასთან მიმაგრებულ რაზმებს აერთიანებდა. სულ საქართველოში ოთხი სადროშო იყო: 1. მეწინავე სადროშო (სამხრეთ საქართველოს საერისთავოები); 2. მემარჯვენე სადროშო (დასავლეთ საქართველოს საერისთავოები); 3. მემარცხენე სადროშო (კახეთ-ჰერეთი) და 4. მეფის სადროშო (ქართლი).

ბრძოლის ველზე დროშები, შესაბამისად, საბრძოლო წყობის ტაქტიკურ ელემენტებს წარმოადგენდნენ: ავანგარდს (მეწინავე დროშა), მარჯვენა ფრთას (მემარჯვენე დროშა), მარცხენა ფრთას (მემარცხენე დროშა) და არიერგარდს (მეფის დროშა). ზოგჯერ საბრძოლო წყობა სამ ნაწილად იყოფოდა, ან კიდევ სხვაგვარად. იმ დროისათვის საბრძოლო წყობის დანაწევრება ფრონტსა და სიღრმეში ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

კერძოდ, სამნაწილიანი საბრძოლო წყობა გამოიყენეს ქართველებმა ბასიანის ბრძოლაში თურქ-სელჩუკებთან 1202 წ. ქართული ჯარის მთავარსარდალმა დავით სოსლანმა მემარცხენე და მეფის დროშების გაერთიანებით შექმნა ძლიერი მარცხენა ფრთა. დაახლოებითი გაანგარიშებით მას აქ მთელი ძალების 50% ჰყავდა, მთლიანად კი ორივე ფრთაზე – ძალთა 75%. ქართულმა ავანგარდმა (მეწინავე დროშამ), რომელსაც ძმები შალვა და ივანე ახალციხელები მეთაურობდნენ, მოწინააღმდეგის მთავარი დარტყმა მიიღო, მაგრამ გაუძლო მას. ამასობაში კი დავით სოსლანმა ძლიერი ფლანგებით (მარცხენა ფრთას თვითონ დავითი მეთაურობდა, მარჯვენას – ზაქარია მხარგრძელი) ორმაგი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტერს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ (XV ს.) მოიშალა ქვეყნის ერთიანი სამხედრო ორგანიზაცია. მაგრამ სადროშოთა სისტემა არ გამქრალა. იგი შემოინახა ერთიანი მონარქიის ნანგრევებზე აღმოცენებულ ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში. ყოველი მათგანი ოთხ სადროშოდ იქნა დაყოფილი, როგორც გაერთიანებული საქართველო.

XIV-XV სს-ში, როდესაც დასავლეთ ევროპაში ინტენსიურად ვითარდება სამხედრო საქმე, საქართველოში უკვე მისი სტაგნაცია შეიმჩნევა. ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებას საქართველოში აფერხებდა საკუთარი წარმოების დაცემა და დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ გზებზე თურქ-ოსმალების გაბატონება, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო აბრკოლებდნენ კავკასიაში მის შემოტანას. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირველი შემთხვევა წყაროებით დადასტურებულია 1488 წელს, როდესაც შემოსეულმა მტერმა ზარბაზნის ცეცხლით დააზიანა და აიღო კოჯრის ციხე, მაგრამ ქართული ლაშქარი XVI ს-ის დასასრულამდე ძირითადად ისევ ცივი იარაღით იყო აღჭურვილი. მაგალითად, 1589 წელს კახეთის ჯარების აღლუმზე 13 ათასი მეომრიდან მხოლოდ 500 კაცს ჰქონდა პატრუქიანი თოფი²². ცეცხლსასროლი იარაღი ჩვენში შედარებით ფართოდ ვრცელდება მხოლოდ XVII ს-დან.

XVI-XVIII სს-ში საქართველო ირანისა და ოსმალეთის (თურქეთის) პერმანენტული აგრესიის ობიექტი იყო. გარეშე მტრებთან ომებს თან ერთვოდა დაუსრულებელი შინაომები. მაგალითად, გამოთვლილია, რომ XVI ს-ში მარტო ქართლის სამეფომ გადაიტანა 14 ომი ირანელებთან, 11 – ოსმალებთან, 13 – მეზობელ ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან. მოსახლეობის ტრადიციულად სამხედროვალდებული სოციალური ფენების რესურსები ვეღარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს და, ამიტომ, XVII ს-დან ლაშქარში ადრე არასამხედროვალდებული ყმა-გლეხების გაწვევაც დაიწყო.

XVIII ს-ში ქართული ჯარი უმთავრესად კვლავ მილიციური ხასიათისა რჩებოდა. მასში წარმოდგენილი იყო ქართველი ხალხის ძირითადი სოციალური ფენები – თავადები, აზნაურები, გლეხები, თავისუფალი მთიელები. ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო ორგანიზაციაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ აგრეთვე XVI-XVII სს-ში ირანის შაჰების მიერ აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლებული ნახევრად მომთაბარე თათრული ტომები (ელეები), რომლებიც შემდეგ ქართველი მეფეების სამსახურში ჩადგნენ. რეგულარულად ტარდებოდა მოსახლეობის აღწერები, რომლებიც აზუსტებდნენ სამხედროვალდებულთა რაოდენობას. მაგალითად, 1770 წ. აღწერით ქართლსა და კახეთში თავად-აზნაურთა გარდა სულ 23000 სამხედროვალდებული ირიცხებოდა, აქედან 5000 თათარი.

ქალაქების მოსახლეობა ფეოდალურ საქართველოში საღაშქრო სამსახურისაგან თავისუფალი იყო. სამაგიეროდ მოქალაქეები ჯარის შესანახად სპეციალურ გადასახადს იხდიდნენ.

მილიციაში მეომრები საკუთარი ცხენ-იარაღით გამოდიოდნენ. კარგად შეიარაღებულ ქართველ მეომარს XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჰქონდა კაჟიანი თოფი, ერთი-ორი დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი, თუმცა უღარიბესი გლეხები ჯარში ზოგჯერ ცარიელი კომბლისა და ხანჯლის ამარა გადიოდნენ. შუბი და მშვილდ-ისარი შეიარაღებიდან XVIII ს-ის პირველ ნახევარში გამოვიდა.

მიუხედავად ლაშქრის მილიციური ხასიათისა, ქართველ მეომართა მომზადების დონე ფეოდალურ ხანაში ყოველთვის მაღალი იყო. ამის მიზეზი იყო როგორც მუდმივი საომარი მდგომარეობა, ასევე ჯარების ინტენსიური წვრთნა, რასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. კერძოდ, სადროშოებში რეგულარულად ტარდებოდა მეცადინეობები, რომლებში მონაწილეობა ყველა სამხედროვალდებულს მოეთხოვებოდა. არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენისათვის ჯარიმა იყო დაწესებული. სამხედრო ვარჯიშის მნიშვნელოვანი სახეობა იყო ნადირობა. დიდი სამეფო ნადირობა ნამდვილ ლაშქრობას წააგავდა, რომელშიც მონაწილენი თავ-თავისი საბრძოლო აღმებით გამოდიოდნენ.

გარდა ამისა, მეომართა ინდივიდუალურ მომზადებას ხელს უწყობდა საქართველოში ოდითგანვე ფართოდ გავრცელებული სპორტის ტრადიციული სახეობები – დოდი, ჯირითი, ყაბახი, ჩოგანბურთი, ფარიკაობა, ჭიდაობა და სხვ.

შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური მილიციის გარდა, როგორც ცნობილია, ყოველთვის იყო შედარებით მცირერიცხოვანი მუდმივი კონტინგენტებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, მეფე-მთავართა მცველ რაზმებს წარმოადგენდნენ. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744–1798) შეეცადა საყოველთაო სამხედრო ბეგარის საფუძველზე შეექმნა უფრო ფართო ამოცანების მქონე მუდმივი ჯარი, ე. წ. "მორიგე ლაშქარი", რომელიც თავისი მაქსიმალური აღმავლობის ხანაში (1770-იანი წწ.), ფაქტობრივად, ნახევრადრეგულარულ შენაერთს წარმოადგენდა და დაახლოებით 3000 მეომარს ითვლიდა.

მორიგე ჯარში უნდა ემსახურა ყველა წოდების სრულასაკოვან მამაკაცს წელიწადში ერთი თვე. ამაში ისინი რაიმე ანაზღაურებას არ იღებდნენ, თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადისაგან. მუდმივ ულუფასა და ჯამაგირზე იყო მხოლოდ მორიგე ჯარის მეთაურთა შემადგენლობა, ვინაიდან ისინი ჯარში მუდმივ საფუძველზე მსახურობდნენ.

მუდმივ სამსახურში ირიცხებოდნენ მეზარბაზნეებიც. ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა თბილისში იყო. მოგვარებული იყო დენტის წარმოებაც. ქართული არტილერია, მართალია ხარისხით იმ დროინდელ ევროპულ არტილერიას ჩამოუვარდებოდა, მაგრამ შიშის ზარს სცემდა ირან-აზერბაიჯანის სახანოებს, სადაც ეს საქმე ცუდად იყო დაყენებული.

ერეკლე II-ის პერიოდი ქართული ფეოდალური სამხედრო ხელოვნების განვითარების უმაღლესი საფეხურია. მეფე ბრძოლაში ჯარებს "წესისაებრ", ანუ ტრადიციული ოთხნაწილიანი საბრძოლო წყობით აყენებდა. ბრძოლა თოფ-ზარბაზნების გახურებული სროლით იწყებოდა, შემდეგ კი მტერს ხმალდახმალ შეუტევდნენ. ფრონტსა და სიღრმეში დანაწევრებული ქართული საბრძოლო წყობა გამოირჩეოდა მოქნილობით და ბრძოლის პირობებში რთული მანევრის განხორციელების საშუალებას იძლეოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ბრძოლა ერევნის მახლობლად 1751 წ. როდესაც თავრიზის მფლობელის აზატ ხანის რიცხოვრივად ჭარბმა ძალებმა უკუაქციეს ქართველების მარცხენა ფრთა და ალყაში მოაქციეს მათი ძირითადი ნაწილი, ერეკლემ ექსტრემალურ პირობებში მოახერხა ძალთა გადაჯგუფება და ძლიერი კონტრდარტყმით მტრის დამარცხება.

როგორც ტაქტიკოსს, ერეკლე მეფეს ახასიათებდა ინიციატივის ხელში ჩაგდების მიზნით სწრაფი მარშების მოწყობა და მტრისთვის მოულოდნელი დარტყმების მიყენება. მისი მხედართმთავრული ოსტატობა გამოიკვეთა აგრეთვე ჯარების სახეობათა როლის სწორ შეფასებასა და ბრძოლის დროს მათი ურთიერთმოქმედები ორგანიზებაში. მეომრების საბრძოლო სულის ამძლავრების მიზნით მეფე, როგორც წესი, პირადად მიუძღოდა ჯარს იერიშზე და მონაწილეობდა შეტაკებებში.

დასასრულს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეიარაღებული ძალები ხარისხით სჯობდნენ თავის მოწინააღმდეგეებს. ამიტომ უმძიმესი საერთო ვითარების მიუხედავად, როგორც წესი, წარმატებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ მათთან. ცალკეული დამარცხებები (მათ შორის ყველაზე მძიმე იყო 1795 წლის კრწანისის კატასტროფა) გამოწვეული იყო უმთავრესად ღალატითა და მტრის ჯარების სიჭარბით.

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა თავი ვერ გაართვეს შექმნილ რთულ ვითარებას და აღმოსავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, თოფის გასროლის გარეშე ხელთ იგდო რუსეთმა (1801 წ.). დასავლეთ საქართველოში რუსებს გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდათ, მაგრამ 1810 წლისათვის ეს მხარეც დაიმორჩილეს. საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლით გაუქმდა ქართული სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც უწყვეტად არსებობდა სულ ცოტა ადრეიბერიული ხანიდან (ძვ.წ. IV–III სს.). მართალია, ქართული მილიცია კიდევ იკრიბებოდა მთელი XIX ს-ის განმავლობაში და მონაწილეობდა რუსეთის კავკასიურ ომებში, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს უკვე რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ირეგულარული ეროვნული ნაწილი იყო. საქართველოს ტრადიციული სამხედრო ფენის წარმომადგენლებმა (თავად-აზნაურობამ) რუსეთის არმიაში გააგრძელეს სამსახური.

ნ ა წ ი ლ ი III

ახალი დრო

ომის მატერიალური და სოციალური ბაზის გაფართოვება

საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისა და ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავების შედეგად, XVII–XIX სს-ის განმავლობაში ევროპის ბევრ ქვეყანაში მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია და გაიმარჯვა კაპიტალისტურმა წყობილებამ. წარმოების კაპიტალისტური წესის გამტკიცებამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ბურჟუაზიის მოთხოვნილებები ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების დარგში ევროპულ სახელმწიფოებს უბიძგებდა კოლონიური ექსპანსიისაკენ, ახალი მიწების, ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების ხელში ჩასაგდებად. ომების უმრავლესობა თავისი არსით – დამპყრობლური იყო. სამართლიანი იყო მხოლოდ იმ ხალხების შეიარაღებული წინააღმდეგობა, რომლებიც იბრძოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

წარმოების სფეროსა და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარმა ძირეულმა გარდაქმნებმა, იმ ეპოქის ომებმა და ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივმა გამოყენებამ, დიდი ცვლილებები გამოიწვიეს შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და სამხედრო ხელოვნებაში.

მანუფაქტურული და შემდეგ მანქანური წარმოების გაჩენამ მკვეთრად გაზარდა შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და სამხედრო აღკაზმულობის გამოშვება, რაც ხელს უწყობდა მრავალრიცხოვანი მუდმივი არმიების შექმნას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XVII–XVIII სს-ში ნებაყოფლობითი დაქირავების პარალელურად ხდებოდა ჯარში მოტყუებით და ძალით წაყვანაც. რუსეთში, შვედეთში და ზოგ სხვა სახელმწიფოში შემოიღეს არმიის დაკომპლექტების რეკრუტული სისტემა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო მოსახლეობის დაბეგრული ნაწილიდან (გლეხები, ქალაქის ქვედა ფენები) იძულებით იწვევდა ჯარში საჭირო რაოდენობის რეკრუტებს, რომლებსაც, პრაქტიკულად, მთელი დარჩენილი ცხოვრება სამხედრო სამსახურში უნდა გაეტარებინათ. რეკრუტულმა სისტემამ განსაკუთრებით ფართო გავრცელება რუსეთში ჰპოვა (იქ მხოლოდ 1793 წელს შეამცირეს რეკრუტების სამსახურის ვადა 25 წლამდე, 1834 წელს კი 20 წლამდე, შემდეგი 5 წელი თადარიგში ყოფნით).

რეკრუტული სისტემა მძიმე ტვირთად აწვა ხალხს, ვინაიდან ჯანსაღი მამაკაცების ნაწილი სამუდამოდ წყდებოდა ოჯახებს. ჯარისკაცების საშუალო ასაკიც საკმაოდ მაღალი გამოდიოდა. სამაგიეროდ, არმიის რეკრუტებით დაკომპლექტება სახელმწიფოს უფრო იაფი უჯდებოდა, ვიდრე დაქირავება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რუსეთის სუსტად განვითარებული ეკონომიკის პირობებში. გარდა ამისა, რეკრუტობა დანაკარგის სწრაფად შევსების საშუალებას იძლეოდა, ხოლო არმიის შემადგენლობა ეთნიკურად უფრო ერთგვაროვანი იყო.

ოფიცერთა კორპუსი ყველგან აზნაურებისაგან შედგებოდა.

XVIII ს-ის შუა ხანებში ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მუდმივი არმიების რიცხოვნობა 330 ათას კაცს არ აღემატებოდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ (1789 წ.) მოიტანა ჯარების დაკომპლექტების ახალი სისტემა, დაფუძნებული საყოველთაო სამხედრო ბეგარაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯარი უნდა გაეწეოთ გარკვეული ასაკის ყველა ჯანმრთელ მამაკაცს. სამხედრო სამსახური აქ მუდმივი კი აღარ იყო, როგორც რეკრუტულ სისტემაში, არამედ შედარებით მოკლევადიანი (3–7 წელი). რევოლუციური მთავრობის 1793 წ. დეკრეტით ჯარში გაწვეული იქნა 18–25 წლის ყველა უცოლო მამაკაცი. ამან მკვეთრად გაზარდა შეიარაღებული ძალები. 1794 წლისათვის საფრანგეთის არმია

უკვე 740 ათას კაცს ითვლიდა. XIX ს-ის დასაწყისისათვის საყოველთაო სამხედრო ზეგარა თითქმის ყველა განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოში იქნა შემოღებული ინგლისის გარდა, სადაც ისევ დაქირავებული არმია დარჩა. რუსეთში დაკომპლექტების ახალი სისტემა 1874 წ. შემოიღეს.

საყოველთაო სამხედრო ზეგარის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მასობრივი არმიის შექმნის საშუალებას იძლეოდა და, გარდა ამისა, სახელმწიფოს საშუალება ეძლეოდა ომის შემთხვევაში მზად ჰყოლოდა გაწვრთნილი რეზერვი. ოფიცერთა თანამდებობები გაბატონებული კლასების – მემამულეებისა და ბურჟუაზიის - წარმომადგენლებს ეკავათ.

ბურჟუაზიულ არმიებს რეგულარული არმიების ხასიათი ჰქონდათ. მათ გააჩნდათ დაკომპლექტების მუდმივი წყაროები, ერთიანი საშტატო საორგანიზაციო სტრუქტურა, ერთფეროვანი, ტიპიზებული შეიარაღება და ფორმა, ცენტრალიზებული მომარაგება, სამხედრო მოქმედებების მომზადებისა და ჩატარების ერთიანი შეხედულებები, განსაზღვრული წესდებებით.

საყოველთაო სამხედრო ზეგარაზე გადასვლამ სამოხილიზაციო სისტემის ორგანიზება მოითხოვა, რამაც გამოიწვია სამხედრო ოლქების შექმნა და თავდაცვის სამინისტროსადმი ყველა იმ ცენტრალური სამმართველოს დაქვემდებარება, რომლებიც სამხედრო უზრუნველყოფის სხვადასხვა საკითხებს განაგებდნენ.

განსახილველ პერიოდში შეიარაღებული ძალები შედგებოდნენ სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან. სახმელეთო ჯარებში XVII ს-ის ბოლოს შედიოდნენ ქვეითი ჯარი, კავალერია და არტილერია. XVIII ს-ის ბოლოს მათ საინჟინრო ჯარები მიემატა, ხოლო XIX ს-ში – კავშირგაბმულობის და სარკინიგზო ჯარები.

შეიარაღებული ძალების მთავარი და ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარეობა იყო ქვეითი ჯარი. XVIII ს-ის ბოლომდე ქვეით ჯარსა და კავალერიაში უმაღლესი საორგანიზაციო ერთეული იყო პოლკი (1200–1500 ჯარისკაცი და ოფიცერი). ქვეითი პოლკი იყოფოდა ბატალიონებად, ასეულებად და ოცეულებად. ცხენოსანი – ესკადრონებად და ოცეულებად. ომების დროს პოლკები ერთიანდებოდნენ ბრიგადებში, დივიზიებსა და კორპუსებში, რომლებიც XVIII ს-ის ბოლოდან მუდმივ საჯარისო ფორმირებად იქცნენ. XIX ს-ის დასაწყისიდან რუსეთისა და საფრანგეთის სახმელეთო ჯარებში იქმნება, აგრეთვე, გაერთიანებებიც – არმიები.

სამხედრო-საზღვაო ძალები თავდაპირველად შედგებოდნენ სხვადასხვა ტონაჟისა და დანიშნულების იალქნიანი და იალქნიან-ნიჩბიანი ხომალდებისგან. განსაკურებული ყურადღება ექცეოდა სახაზო გემების მშენებლობას (წყალწყვა 2000 ტონამდე, შეიარაღება 100 ქვემეხამდე). როგორც ვიცით, სახაზო გემები ფლოტის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო და სამხედრო-საზღვაო რანგირების მიხედვით საბრძოლო ხომალდების პირველ სამ რანგს შეადგენდნენ. დაზვერვის, დაცვისა და სხვა დამხმარე ამოცანებისათვის გამოიყენებოდა მეოთხე-მეხუთე რანგის ხომალდები - სწრაფმავალი ფრეგატები (წყალწყვა 750 ტონამდე, შეიარაღება – 30–60 ქვემეხი). მე-6 რანგის ხომალდებს ეკუთვნოდნენ კორვეტები, ბრიგები, ბრიგანტინები, ტენდერები (წყალწყვა 300 ტონამდე, 6-36 ქვემეხი).

XIX ს-ის მეორე ნახევარში სამხედრო-საზღვაო ძალებმა ძირითადი გარდაქმნა განიცადეს. ხის იალქნიანი გემების ნაცვლად გაჩნდნენ ორთქლის ძრავიანი დაჯავშნული საბრძოლო ხომალდები. ისინი სხვადასხვა კლასისა და ტიპისანი იყვნენ: ჯავშნოსნები, კრეისერები, მონიტორები და სხვ. გაჩნდნენ პირველი წყალქვეშა ნავები.

წარმოების განვითარებამ გამოიწვია შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის რიცხოვრება და ხარისხობრივი ზრდა. უკვე XIX ს-ის დასაწყისში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში იარაღის დიდი ქარხნები არსებობდნენ.

XVII ს-ის ბოლოს ევროპულ არმიებში მუშაკები შეცვლილი იქნა უფრო მსუბუქი და მოხერხებული გლუვლულიანი თოფით, რომელსაც ხიშტი უკეთდებოდა. ხიშტმა შესაძლებელი

გახადა თოფის ეფექტური გამოყენება ხელჩართულ ბრძოლაში. ამის შემდეგ ქვეით ჯარებში შუბოსნები საბოლოოდ ქრებიან.

XVIII ს-ის ბოლოს გაუმჯობესებული იქნა კონდახის ფორმა, რამაც გააადვილა დამიზნება, XIX ს-ის 40-იან წლებში კი თოფის კაჟიანი საკეტი შეიცვალა კაფსულიანი საკეტით. XIX ს-ის დასაწყისში ჯარებში გაჩნდნენ დაკუთხვილი (ხრახნილლულიანი) შაშხანები²³, რომლებიც ქაღალდის მასრიანი ვაზნებით იტენებოდნენ სახაზინო ნაწილიდან. მათი დამიზნების სიშორე 800 ნაბიჯს აღწევდა. მაგრამ ასეთი თოფებით თავდაპირველად ჯარისკაცთა მხოლოდ ნაწილი იყო შეიარაღებული.

ბოლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დროს (1861–1865 წწ.)²⁴ გამოყენებული იქნა ლითონის მასრიანი ვაზნა და პირველი სავაზნეკოლოფიანი შაშხანები. თოფი გახდა შედარებით უფრო მსუბუქი (4–7 კგ), შორსმსროლელი (800 მ-მდე) და სწრაფმსროლელი (5–6 გასროლა წუთში).

XIX ს-ის შუა ხანებიდან დიდი ცვლილებები ხდება არტილერიაში. მძიმე გლუვლულიანი ბრინჯაოსა და თუჯის ზარბაზნების ნაცვლად გაჩნდნენ შემსუბუქებული დაკუთხვილი ლულიანი ქვემეხები, რომლებიც სახაზინო ნაწილიდან იტენებოდნენ და ლითონის ლაფეტები ჰქონდათ. მათი სროლის სიშორე 5–6 კილომეტრი იყო. ყოველივე ამან სავსე არტილერია უფრო მანევრული, მძლავრი და სახმარად იოლი გახადა.

ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფაში დიდი როლი შეასრულა უკვამლო დენთის გამოგონებამ XIX ს-ის ბოლოს. ამ დროისათვის ყველა ქვეყნის შეიარაღებაზე მიღებული იქნა სავაზნეკოლოფიანი შაშხანები (კალიბრი – 6–8 მმ, წონა – 4–5 კგ, დამიზნების მანძილი – 2–2,5 კმ, სწრაფსროლა – 10–12 გასროლა წუთში). ამრიგად, საერთო ჯამში, ხელის ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო შესაძლებლობები დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა, არტილერიისა – 3–4-ჯერ. XIX–XX სს-ის მიჯნაზე ჯარების შეიარაღებაში ტყვიამფრქვევებიც გაჩნდა.

შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ორთქლის ძრავისა (XVIII ს-ის მეორე ნახევარი) და შიდაწვის ძრავის (XIX ს-ის მეორე ნახევარი) გამოგონებამ, რომელთა ბაზაზე შექმნილი ორთქლმავალი, ორთქლის გემი, ტრაქტორი და ავტომობილი. დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ისეთი ახალი ტექნიკური საშუალებების განვითარებამ, როგორებიც იყო ტელეგრაფი (XIX ს-ის პირველი ნახევარი) და ტელეფონი (XIX ს-ის მეორე ნახევარი).

ჯარების მართვა, როგორც მშვიდობის დროს, ასევე ომის პერიოდში, მკაცრად ცენტრალიზებული იყო. მეფეები მთელი შეიარაღებული ძალების მართვას მშვიდობის დროს ახორციელებდნენ სამხედრო სამინისტროს მეშვეობით, ომის დროს კი სამხედრო საბჭოს დახმარებით, პირადად ან მათ მიერ დანიშნული მთავარსარდლის ხელით. მთავარსარდლებთან სამხედრო მოქმედებათა თეატრზე ჯარების სამართავად XVIII ს-ის შუა ხანებიდან ყალიბდება შტაბები. შემდგომში შტაბები იქმნება აგრეთვე არმიების სარდლებთან, XIX ს-ის ბოლოდან კი – შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებთანაც.

ინგლისში, როგორც კუნძულოვან სახელმწიფოში, სადაც სამხედრო-საზღვაო ძალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, XVII ს-ში ისტორიაში პირველად შეიქმნა სამხედრო ფლოტის უმაღლესი სახელმძღვანელო უწყება – საადმირალო.

მასობრივი არმიების გაჩენამ და უფრო სრულყოფილი ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შემოღებამ ჯარების სწავლებისა და აღზრდის სისტემის შეცვლა მოითხოვა, რადგან სწავლების პრუსიული²⁵ სისტემა, რომელიც ბევრ ევროპულ არმიაში იყო გაბატონებული XVIII ს-ის მეორე ნახევრამდე, მთავარ ყურადღებას აქცევდა სამწყობრო მომზადებასა და ბათქებით სროლის დაუფლებას, რაც განპირობებული იყო ხაზოვანი საბრძოლო წყობითა და ტაქტიკით, რომლებიც ინიციატივიან ქმედებებს არ მოითხოვდნენ.

სწავლების ძირითადი მიზანი იყო არმიის გადაქცევა მექანიკურ მსროლელ მანქანად. ეს სისტემა ჯარისკაცს უკარგავდა ინიციატივის უნარს და უნერგავდა უფროსადმი უსიტყვო მორჩილებას.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ჯარების სწავლებისა და აღზრდის ახალი, უფრო მოწინავე სისტემა მოიტანა. ჯარისკაცს იმას ასწავლიდნენ, რაც ბრძოლაში გამარჯვებისათვის იყო საჭირო, ავითარებდნენ მასში საბრძოლო ამოცანისადმი შეგნებული მიდგომის გრძნობას, ინიციატივასა და მოხერხებულობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც გაჩნდა დაკუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღი და დანაწევრდა ჯარების საბრძოლო წყობა. გამარჯვების მოსაპოვებლად გადაწყვეტი მნიშვნელობა მიიღო მანევრმა ბრძოლის ველზე, მეთაურებისა და ჯარისკაცების ინიციატივიანობამ. საბრძოლო მომზადებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გადარბენის, ჩასანგრების, ერთეული ცეცხლის წარმოების ტექნიკის ათვისებამ. პრაქტიკაში შემოვიდა სხვადასხვა გვარეობათა ჯარების საერთო სავსე სწავლებები. XIX ს-ის შუა ხანებიდან დაიწეს ოფიცრების სამეთაურო და სამტაბო მომზადებები.

ამრიგად, XIX ს-ის სამრეწველო გადატრიალებამ მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეიარაღების წარმოების ტექნიკური შესაძლებლობები. შრომის ნაყოფიერების განუხრელმა ზრდამ დასაშვები გახადა არმიაში მეტი ადამიანის გაწვევა. თუ XIX ს-ის დასაწყისში ცოცხალი ძალის რესურსების მობილიზაციური დამაბვის ზღვარი მთელი მოსახლეობის 4-6 პროცენტს არ აღემატებოდა, პირველი მსოფლიო ომის დროს მან მიაღწია რუსეთში – 10,5 პროცენტს, საფრანგეთში – 17,2 პროცენტს, გერმანიაში – 19,7 პროცენტს. ისტორიაში პირველად გაჩნდნენ მრავალმილიონიანი არმიები. კერძოდ, მობილიზაციის დამთავრების შემდეგ 1914 წლის ზაფხულში რუსეთს საერთო ჯამში თოფქვეშ ჰყავდა 5 461 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, გერმანიას – 3 882 ათასი, საფრანგეთს – 3 781 ათასი, ავსტრიას (ავსტრია-უნგრეთს) – 2 300 ათასი, ინგლისს – დაახლოებით 1 მილიონი.

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.) გარდამავალი საფეხურია ახალ და უახლეს დროებს შორის. ეს არის აგრეთვე მანქანების ეპოქის პირველი ომი. ამ პერიოდში დაიწყო არმიების მექანიზაცია და მოტორიზაცია.

პირველი მსოფლიო ომის მიზეზი იყო იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობების გამწვავება, კოლონიებისა და გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის ბრძოლაში. ომი დაიწყო 1914 წლის აგვისტოში ევროპის სახელმწიფოთა ორ კოალიციას შორის. გერმანია და ავსტრია, ანუ ცენტრალური სახელმწიფოები, დაუპირისპირდნენ "ანტანტის"²⁶ ბლოკს, რომელშიც გაერთიანებულები იყვნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი. ანტანტას თავიდანვე მხარი დაუჭირეს ბელგიამ, სერბიამ და ჩერნოგორიამ²⁷. დროთა ვითარებაში მსოფლიო ომში კიდევ 30 სახელმწიფო ჩაება. აქედან ორი (თურქეთი და ბულგარეთი) ცენტრალური სახელმწიფოების მხარეზე, დანარჩენები კი (მათ შორის აშშ, იაპონია, იტალია) – ანტანტის მხარეზე. ახალი მოკავშირეების შეძენამ ანტანტის სასარგებლოდ შეცვალა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წ. ომს, ფაქტობრივად, გამოეთიშა ერთ-ერთი ძირითადი მეომარი ქვეყანა – რუსეთი (იქ მომხდარი რევოლუციის გამო), ძალთა შეფარდება მაინც ანტანტის მხარეზე დარჩა. ამიტომ გერმანიისა და მისი მოკავშირეების ძალები უფრო მალე გამოფიტა სასტიკმა ომმა. 1918 წლის ბოლოსათვის მათ უკვე აღარ შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება, იძულებულნი გახდნენ ზავი ეთხოვათ და კაპიტულაციის მძიმე პირობები მიეღოთ.

პირველი მსოფლიო ომი თავისი მასშტაბებითა და შედეგებით აღემატებოდა ისტორიაში მანამდე მომხდარ ყველა ომს. ამ ომში 38 სახელმწიფო იქნა ჩათრეული, 1,5 მილიარდი მოსახლეობით (დედამიწის მოსახლეობის 2/3). დაპირისპირებული მხარეების არმიებში მობილიზებული იყო 74 მილიონი ადამიანი, რომელთაგან საბრძოლო მოქმედებებში

მონაწილეობა მიიღო 37 მილიონმა. ომში დაიღუპა 9,5 მილიონი ადამიანი, ხოლო დაიჭრა და დასახიჩრდა – 20 მილიონზე მეტი.

პირველ მსოფლიო ომში განვითარება ჰპოვეს ახალმა საბრძოლო საშუალებებმა – თვითმფრინავებმა²⁸, ტანკებმა, წყალქვეშა ნაგებმა²⁹, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ. გაუმჯობესდა შეიარაღების ძველი ნიმუშები, გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი. დიდი ცვლილებები მოხდა არმიების ორგანიზაციაში, გაჩნდა ჯარების ახალი გვარეობები. სამხედრო ავიაცია დამოუკიდებელ გვარეობად გადაიქცა, რომელიც დაიყო მზვერავ, გამანადგურებელ, ბომბდამშენ და მოიერიშე ავიაციად. გაჩნდა სატანკო ჯარები, ქიმიური ჯარები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები. საინჟინრო ჯარების ხვედრითი წონა 1,5-2-ჯერ გაიზარდა. შემცირდა კავალერიის მნიშვნელობა. ზღვაზე გაიზარდა წყალქვეშა ნაგების, საზღვაო ავიაციის, სატორპედო იარაღის როლი. გაჩნდა ხომალდების ახალი კლასები. პირველმა მსოფლიო ომმა დაადასტურა შეიარაღებული ბრძოლის მზარდი დამოკიდებულება ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებამ შემდგომ პერიოდში (20-30-ანი წწ.) დიდი გავლენა იქონია ყველა სახელმწიფოში სამხედრო მშენებლობაზე.

სამხედრო ხელოვნება

სტრატეგია. მრავალრიცხოვანი, მუდმივი, კარგად გაწვრთნილი, უკეთესად ორგანიზებული და გაუმჯობესებული იარაღით აღჭურვილი არმიების გაჩენამ, დიდი გავლენა მოახდინა სამხედრო მოქმედებების ხასიათსა და სამხედრო ხელოვნებაზე. ომებში მრავალათასიანი არმიები მონაწილეობდნენ (ორივე მხრიდან 700 ათას კაცამდე), გაიზარდა შეიარაღებული ბრძოლის ტერიტორიული მასშტაბი, საბრძოლო მოქმედებები ერთდროულად უკვე რამოდენიმე მიმართულებით ან თეატრზე (ასპარეზზე) წარმოებდა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს ჩრდილოეთის ომი³⁰, ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის³¹, შვიდწლიანი ომი³².

ჯარების სტრატეგიული შესაძლებლობების გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მათი ცენტრალიზებული მომარაგება სამხედრო ბაზებიდან და საწყობებიდან, რაც პირველად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გუსტავ II ადოლფმა შემოიღო. მომარაგების ამ სისტემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ომის დაწყებამდე და მისი მსვლელობის პერიოდში სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე ციხესიმაგრეებსა და სხვა გამაგრებულ ადგილებში იქმნებოდა საწყობები იარაღის, საბრძოლო მასალების, სურსათისა და ფურაჟის საჭირო რაოდენობით. აქედან მატერიალური კმაყოფის ყველა სახე პირდაპირ მოქმედ არმიას მიეწოდებოდა. ამრიგად, ჯარები დამოკიდებულები აღარ იყვნენ მომარაგების ადგილობრივ რესურსებზე, რამაც დადებითად იმოქმედა მათ საბრძოლო შესაძლებლობებზე.

მაგრამ ამ სისტემას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც ჰქონდა. არმია მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა საწყობებზე, რომელთა დაკარგვა მისთვის შიმშილისა და დამარცხების ტოლფასი იყო. ამიტომ ჯარები შორს არ ცილდებოდნენ ბაზებს, რათა ისინი მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. რაიმე ტერიტორიის დაპყრობის შემთხვევაში მხედართმთავრები არ ჩქარობდნენ წარმატების განვითარებას, სანამ წინ წაწეულ არმიას საწყობებს არ დააწევდნენ. დაუშვებლად ითვლებოდა ბაზებისაგან ხუთი დღის სავალ მანძილზე (100-125 კმ) მეტად მოშორება. ამრიგად, ბევრი დრო იხარჯებოდა საწყობების ახალ ადგილებზე გადატანასა და მოწყობაში.

ცეცხლსასროლი იარაღის ძალის გაზრდამ, როგორც ცნობილია, საბრძოლო მოქმედებები უფრო სისხლისმღვრელი გახდა. დიდი დანაკარგის შიშით მხედართმთავრები XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ცდილობენ თავი აარიდონ გენერალურ ბრძოლებს და გამარჯვება მოიპოვონ ოსტატური მანევრირებით მოწინააღმდეგის ფლანგებზე და ზურგში, მისი კომუნიკაციებისა და მომარაგების ბაზების ხელში ჩაგდების მიზნით. ითვლებოდა, რომ წარმატებით

განხორციელებული მანევრით შეიძლებოდა მტრის უკუგდება და მისი ტერიტორიის დაპყრობა. სამხედრო მოქმედებების მთავარი მიზანი გახდა არა მოწინააღმდეგის არმიის განადგურება, არამედ ტერიტორიის დაკავება. ომის წარმოების ასეთმა ფორმამ

‘მანევრული სტრატეგიის’ სახელწოდება მიიღო. XVIII ს-ის დასავლეთ ევროპაში ადგილი ჰქონდა ომებს, რომელთა დროს მთელი კამპანიის მანძილზე არც ერთი გადაწყვეტი ბრძოლა არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, არ უნდა გვეგონოს, რომ სამხედრო ისტორიის ეს პერიოდი უფრო ნაკლებად სისხლისმღვრელი იყო ვიდრე წინა ეპოქები. მაგალითად, გამოთვლილია, რომ XVIII ს-ის ომებში მოკლულებისა და დაჭრილების სახით საფრანგეთმა დაკარგა დაახლოებით 1,4 მილიონი ადამიანი, ავსტრიამ – 780 ათასი, სხვა გერმანულმა სახელმწიფოებმა – 500 ათასი, რუსეთმა – 550 ათასი, ინგლისმა და ირლანდიამ – 500 ათასი, ესპანეთმა – 300 ათასი, შვედეთმა – 200 ათასი, ჰოლანდიამ – 150 ათასი, იტალიის სახელმწიფოებმა – 100 ათასი და ა.შ. გარდა ამისა, ბრძოლებში დახოცილთა და დაჭრილთა საერთო რიცხვს რამოდენიმეჯერ აღემატებოდა ჯარების დანაკარგი სხვადასხვა ავადმყოფობებისაგან, ვინაიდან ადამიანების მასობრივი თავმოყრა შეზღუდულ ფართობებზე, უხარისხო საკვები და ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ელემენტარული საშუალებების უქონლობა იწვევდა ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდ სიკვდილიანობას.

ტერიტორიების შესანარჩუნებლად სასაზღვრო რაიონებში, საკომუნიკაციო კვანძებსა და სხვა სტრატეგიულ ადგილებში ციხესიმაგრეები შენდებოდა, რომლებსაც ძლიერი გარნიზონები იცავდნენ. XVIII ს-სათვის ციხესიმაგრეების მშენებლობისა და დაცვის ტექნიკამ წინა პერიოდებთან შედარებით უფრო მაღალ დონეს მიაღწია. ყველა სახელმწიფო ცდილობდა თავის საზღვრებზე რაც შეიძლება მეტი ციხესიმაგრე ჰქონოდა, რათა გადაეკეტა მტრის შემოტევის შესაძლო მიმართულებები. თანაბარზომიერად განლაგებულ ციხესიმაგრეებზე დაფუძნებული პასიური თავდაცვის სისტემას ”საკორდონო” სტრატეგია ეწოდება. იგი განუყოფელ კავშირში იყო მანევრულ სტრატეგიასთან და ხაზოვან ტაქტიკასთან.

ძირეული ცვლილებები დასავლეთ ევროპული არმიების სტრატეგიაში შეიტანეს რევოლუციური საფრანგეთის, ხოლო შემდეგ ნაპოლეონის ომებმა.

საფრანგეთში ჩამოყალიბებული მასობრივი არმიის დიდი ხნით შენახვა სახელმწიფოსათვის ძნელი იყო. ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებდა მეურნეობისაგან ასობით ათასი ჯანსაღი მამაკაცის მოწყვეტა. ამიტომ ფრანგმა გენერლებმა უსასრულო მანევრირებასა და ჯარების კორდონულ განლაგებას არჩიეს მათი თავმოყრა გადაწყვეტ მიმართულებაზე. საბრძოლო მოქმედებების მთავარი მეთოდი გახდა შეტევა, ხოლო მანევრი ძირითადად გამოიყენებოდა ხელსაყრელი დაჯგუფების შექმნის მიზნით, რათა მოწინააღმდეგე გაენადგურებინათ ერთი-ორ გენერალურ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, ბრძოლა, რომელიც XVIII ს-ის ომებში განიხილებოდა მხოლოდ როგორც გამარჯვების მიღწევის ერთ-ერთი საშუალება, კამპანიის მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა. ომის წარმოების ასეთ ხერხს ეწოდა ”განადგურების სტრატეგია”. იგი სრულყოფამდე მიიყვანა ნაპოლეონმა³³. დროთა განმავლობაში ამ სტრატეგიული ფორმის გამოყენება სხვა არმიებმაც დაიწყეს.

სახმელეთო და საზღვაო ძალების პერმანენტულმა ზრდამ, ჯარების აღჭურვამ დაკუთხვილი იარაღით, ორთქლის გემებისა და რკინიგზების გაჩენამ, XIX ს-ის შუა ხანებში გამოიწვია სტრატეგიული მოქმედებების მასშტაბის გაზრდა და საბრძოლო მოქმედებათა ფრონტის გაფართოვება, სტრატეგიის წინაშე დააყენა ახალი ამოცანები.

უპირველეს ყოვლისა საჭირო გახდა ომის სტრატეგიული გეგმების წინდაწინ შემუშავება და განსაკუთრებით არმიის სამოხილიზაციო გეგმის, საბრძოლო მოქმედებათა ასპარეზზე ძალების გადასროლის, მათი სტრატეგიული გაშლისა და კამპანიის წარმოების გეგმების მზად ქონა. ამის გამო მეტად გაიზარდა გენერალური შტაბების როლი. XIX ს-ის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანესმა ომებმა, ისეთებმა, როგორებიც იყო სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ

შტატებში, ავსტრია-პრუსიის ომი (1866 წ.)³⁴ და განსაკუთრებით საფრანგეთ-პრუსიის ომი (1870-1871 წწ.)³⁵, ცხადყოფს, რომ გენერალური ბრძოლის ნაცვლად გაჩნდა ოპერაცია – შეთანხმებული და ამოცანებით, ადგილითა და დროით ერთმანეთთან დაკავშირებული ბრძოლებისა და დარტყმების სერია, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად და სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე ხორციელდება ერთიანი ჩანაფიქრით.

ნოპერაციის მცნება XIX-XX სს-ის დასაწყისის სამხედრო თეორეტიკოსთა აზრით, შეიცავდა ჯარების მარშ-მანევრს სამხედრო მოქმედებათა ასპარეზისაკენ და უშუალოდ ბრძოლას, როგორც ოპერაციის მთავარ ელემენტს. აშშ სამოქალაქო ომმა და საფრანგეთ-პრუსიის ომმა უჩვენეს, რომ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო იყო რამოდენიმე წარმატებული შეტევითი ოპერაციის ჩატარება.

იარაღის გაზრდილმა შესაძლებლობებმა მკვეთრად გაზარდეს საბრძოლო მოქმედებები დროსა და სივრცეში. ისტორიას ჩაბარდა "ერთი პუნქტის", ანუ "წერტილის" სტრატეგია, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლა შეზღუდულ ფართობზე ხდებოდა და თანდათანობით მის ნაცვლად ხაზოვანი სტრატეგია დამკვიდრდა, რაც არმიების ხაზოვან დაწყობას გულისხმობს მოწინააღმდეგის გარშემორტყმის მიზნით. ეს ახალი იარაღის უფრო სრულყოფილად გამოყენების საშუალებასაც იძლეოდა. ამ სიახლეების შედეგი იყო ბრძოლის ველის გაფართოვება და საბრძოლო მოქმედებათა ფრონტის მკვეთრი გაზრდა. მაგალითად, თუ გრაველოტ – სენ-პრივას ბრძოლაში (1870 წ.) საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს 430 000 გერმანელი და ფრანგი სულ რაღაც 12 კილომეტრიან ფრონტზე იბრძოდა, რუსეთ-იაპონიის ომში³⁶ მდინარე შახესთან 1904 წ. 380 000 რუსი და იაპონელი ჯარისკაცი უკვე 100 კილომეტრიან ფრონტზე ერკინებოდა ერთმანეთს.

დიდი ცვლილებები მოხდა საზღვაო ბრძოლის მეთოდებშიც. ორთქლზე მომუშავე შეჯავშნული ფლოტების გაჩენამ შესაძლებელი გახადა საბრძოლო მოქმედებების წარმოება სეზონის მიუხედავად. საზღვაო კამპანიები უფრო გახანგრძლივდა, მაგრამ ამავე დროს გაძლიერდა გემების დამოკიდებულება მომარაგებასა და ბაზების სისტემაზე. ამიტომ ფლოტების მოქმედების ზონა სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგებით განისაზღვრებოდა. გაიზარდა საზღვაო ძალების შესაძლებლობები დესანტის გადასხმისა და მისი მომარაგების მხრივ, რაც საკუთარი ტერიტორიიდან ჯარების დიდი მოშორებით გადასროლისა და სამხედრო მოქმედებების წარმოების საშუალებას იძლეოდა.

ყველა ამ ტენდენციამ განვითარება ჰპოვა პირველ მსოფლიო ომში. ორივე მხარემ სამხედრო მოქმედებები სტრატეგიული შეტევებით დაიწყო. გერმანია, რომელსაც უფრო დახვეწილი სამობილიზაციო სისტემა და რკინიგზების განვითარებული ქსელი ჰქონდა, ორ ფრონტზე ბრძოლის თავიდან აცილების მიზნით შეეცადა გაენადგურებინა საფრანგეთი, სანამ რუსეთი თავისი არმიის მობილიზაციას დაამთავრებდა, და შემდეგ, მთავარი ძალისხმევის აღმოსავლეთის ფრონტზე გადატანით, დაემარცხებინა რუსეთი.

საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებიც ომის დაწყებასთან ერთად სტრატეგიული შეტევების განვითარებას აპირებდნენ. ინგლისი გეგმავდა კონტინენტზე საექსპედიციო კორპუსის გაგზავნას საფრანგეთის დასახმარებლად, თავისი ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტით კი გერმანიის სანაპიროების ბლოკადაში მოქცევას და გერმანიის კოლონიების ხელში ჩაგდებას.

ომის პირველმა, მანევრულმა, პერიოდმა აჩვენა, რომ აღარ ამართლებდა ცალკეული არმიებით შეტევის ძველი მეთოდები. ნათელი გახდა, რომ ომის მოგება ერთაქტიანი ძალისხმევით შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1914 წლის კამპანიის ყველა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ოპერაციას საფუძველში გარშემორტყმის იდეა ედო, ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფების ალყაში მოქცევა. ჯარები, რომლებიც შემოვლის გზით ცდილობდნენ მტრის ალყაში მოქცევას, ხშირად თვითონ

აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ამ საშიშროების წინაშე. შემტევი მხარის უპირატესობა მთავარი დარტყმის მიმართულებაზე, როგორც წესი, უმნიშვნელო იყო და ოპერაციის მსვლელობის პროცესში სწრაფად იკარგებოდა. სათანადოდ არ ფასდებოდა რეზერვების როლი და მნიშვნელობა. მხარეები ვერ უზრუნველყოფდნენ ჯარების მართვისა და არმიებს შორის ურთიერთმოქმედების ისეთ დონეს, რომელიც აუცილებელია ოპერატიული შემოვლისა და შემორტყმის განხორციელებისათვის.

მოწინააღმდეგის ღია ფლანგების გარშემოვლის სურვილმა საბრძოლო მოქმედებათა ფრონტების განუწყვეტელი დაგრძელება გამოიწვია, სანამ ისინი არ მიაღწენ გეოგრაფიულ ზღუდეებს - ზღვებსა თუ ნეიტრალური სახელმწიფოების საზღვრებს. გაბმული ფრონტების ჩამოყალიბებამ ლოგიკურად დაასრულა ხაზოვანი სტრატეგიის განვითარება. ჯარების თავდაცვის გაზრდილმა შესაძლებლობებმა მოწინააღმდეგეებს საშუალება მისცა ფრონტებზე საკმაოდ მდგრადი თავდაცვითი პოზიციები შეექმნათ. ამრიგად, ხაზოვანმა სტრატეგიამ თავისი განვითარების პროცესში ჩამოაყალიბა პოზიციური ომი და პოზიციური სტრატეგია, რომლებმაც სტრატეგიული მოქმედების ახალი ფორმები მოითხოვეს. წარმოიშვა პოზიციური ფრონტის გარღვევისა და განადგურების პრობლემა, რომელიც ვერც ერთმა მხარემ ვერ გადალახა პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე.

სიტუაცია არ შეუცვლია დაპირისპირებული მხარეების მიერ იარაღის ახალი სახეობების გამოყენებასაც, მაგალითად, მომწამლავი აირების (პირველად გამოიყენეს გერმანელებმა 1915 წ.) ან ტანკების (პირველად გამოიყენეს ინგლისელებმა 1916 წ.). ფრონტზე ახალი იარაღის მოულოდნელი გამოჩენა უკეთეს შემთხვევაში გარკვეულ ტაქტიკურ შედეგს იძლეოდა, რომელიც ბათილდებოდა, როდესაც მოწინააღმდეგე აღმოაჩენდა ამ იარაღისაგან თავდაცვის მეთოდებს ან თვითონაც იწყებდა იმავე ტიპის იარაღის გამოყენებას.

ვინაიდან მთლიანი ფრონტების ჩამოყალიბებამ მოწინააღმდეგის ფლანგების გარშემოვლა შეუძლებელი გახადა, დაპირისპირებულ მხარეებს სტრატეგიული შეტევების განხორციელებისათვის მხოლოდ ფრონტალური დარტყმები დარჩათ. აქედან გამომდინარე სტრატეგიული შეტევების ჩატარება დაიწყო უფრო შეზღუდულ სივრცეებზე (ფრონტით 40-120 კმ, სიღრმით 80 კმ-მდე), მაგრამ მათი ხანგრძლივობა 3-10 თვემდე გაიზარდა. ფრონტის ვიწრო უბნებზე განხორციელებულ მასირებულ შეტევებს ღრმად ეშელონირებული გამაგრებული თავდაცვითი ხაზების წინააღმდეგ, ცოცხალი ძალის დიდი დანაკლისი მოჰქონდა³⁷, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო დიდი სისხლის ფასად მოპოვებული ოპერატიული წარმატება სტრატეგიულში გადაეზარდა.

მსგავსი ტენდენციები გამოიკვეთა ომის საზღვაო ასპარეზზეც. ინგლისური და გერმანული ფლოტების მთავარი ძალების შეჯახებამ ჩრდილოეთის ზღვაში, იუტლანდის ნახევარკუნძულთან, არც ერთ მხარეს არ მოუტანა გადამწყვეტი გამარჯვება (1916 წ.). ამის შემდეგ მოწინააღმდეგეთა სახაზო ძალები ძირითადად თავ-თავის ბაზებში იმყოფებოდნენ, რაც პოზიციური ომის თავისებური საზღვაო ვარიანტი იყო. 1917 წ. 1 თებერვალს გერმანელებმა ინგლისის წინააღმდეგ გამოაცხადეს შეუზღუდავი წყალქვეშა ომი. ეს, მათი აზრით, დიდ ბრიტანეთს ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცევდა და აიძულებდა მის მთავრობას ზავი ეთხოვა. გერმანული წყალქვეშა ნავები (იმ დროისათვის – 138 ერთეული) ბრიტანეთის საზღვაო კომუნიკაციებზე დაუნდობლად ანადგურებდნენ სავაჭრო და სამგზავრო გემებს, მათ შორის ნეიტრალური დროშების ქვეშ მყოფებსაც. მშვიდობიანი ხომალდების ჩაძირვამ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და დააჩქარა გერმანიის წინააღმდეგ ომში ამერიკის ჩაბმა. ინგლისელებმა თანდათანობით მოახერხეს წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში სულ უფრო იზრდებოდა საზღვაო ავიაციის როლი.

ტაქტიკა. როგორც აღინიშნა, XVII ს-ში ევროპის არმიებში ბატალიების ტაქტიკა შეცვალა ხაზოვანმა ტაქტიკამ, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა XVIII ს-ის დასაწყისში, მთელი ქვეითი ჯარის ხიშტიანი თოფებით შეიარაღების შემდეგ. თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს ხაზოვანმა წყობამ XVIII ს-ის შუა ხანებში მიაღწია, ქაღალდის მასრიანი ვაზნისა და რკინის ზუმბის გაჩენის შემდეგ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა თოფის სწრაფსროლა. ამას თან ერთვოდა ჯარების სისტემატური წვრთნა საცეცხლე მომზადებაში, ვინაიდან თოფების სწრაფად და ერთდროულად გასროლა-დატენის ათვისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხაზოვან ტაქტიკაში. თავისი დროის გამოჩენილმა მხედართმთავარმა, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ II-მ (1740-1786) ჯარების მუდმივი წვრთნით იმას მიაღწია, რომ მისი ჯარისკაცები ერთი წუთის განმავლობაში ახერხებდნენ თოფების შვიდჯერ დატენასა და ექვსჯერ დაცლას.

თუ ადრე ბრძოლის ბედს ხელჩართული შეტაკება წყვეტდა, ახლა გამარჯვების მოპოვებას თოფ-ზარბაზნების ჯგუფური ცეცხლით ცდილობდნენ. ხაზოვანმა ტაქტიკამ სამხედრო სპეციალისტების თვალში გაზარდა მოგერიებითი ცეცხლის მნიშვნელობა და შეამცირა აქტიური შეტევითი მოქმედებების როლი, ვინაიდან თავდაცვაში უფრო ადვილი იყო ხაზოვანი მწყობრის შენარჩუნება და ცეცხლის სიძლიერის უზრუნველყოფა.

XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში მასობრივი არმიების გაჩენამ გამოიწვია არა მარტო ომის ფორმების, არამედ ბრძოლის წარმოების ხერხების შეცვლა. ხაზოვანი ტაქტიკა შეიცვალა კოლონებისა და გაფანტული წყობის ტაქტიკით. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სახაზო ქვეითობა ბრძოლისათვის ეწყობოდა ბატალიონების კოლონათა ორ ხაზად, რომლებსაც გაფანტულ წყობით წინ მიუძღოდა მსუბუქი ქვეითობა, ფლანგებზე იმყოფებოდა კავალერია, უკან კი სარეზერვო კოლონები.

ახალი ტაქტიკის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ასე დაწყობილ ჯარებს ყველგან შეეძლოთ ბრძოლა, და არა მარტო გაშლილ ველზე, როგორც ამას ხაზოვანი ტაქტიკა მოითხოვდა. გაჩნდა ბრძოლის ველზე მანევრირებისა და ძალების ნებისმიერი კომბინაციით განლაგების შესაძლებლობა. დარტყმის ძალა ძლიერდებოდა რეზერვის ჩართვით. გარდა ამისა, გაადვილდა ჯარების მართვა. მოწინააღმდეგეს ცეცხლს უშენდა არტილერია და გაფანტულ წყობაში მოქმედი მსუბუქი ქვეითობა, კოლონები კი ძირითადად ხიშტებით დარტყმისათვის იყვნენ განკუთვნილნი. ამრიგად, არტილერია და მსუბუქი ქვეითობა ამზადებდნენ იერიშს, სახაზო ქვეითობა და კავალერია კი ახორციელებდნენ იერიშს და ამარცხებდნენ მტერს. საჭიროების შემთხვევაში კოლონებში მყოფთაც შეეძლოთ სწრაფად გაფანტვა მსროლელთა შარებათ, შემდეგ კი კვლავ კოლონებად შეკვრა.

კოლონათა ტაქტიკის გამოყენების კლასიკური მაგალითია 1812 წლის 26 აგვისტოს (7 სექტემბრის) ბოროდინოს ბრძოლა ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობის დროს. ეს ბრძოლა ნაპოლეონისავე სიტყვებით მის მიერ გადახდილი 50 ბრძოლიდან ყველაზე სასტიკი იყო. რუსეთის არმიას (120 000 კაცი, 640 ზარბაზანი) ფელდმარშალ კუტუზოვის სარდლობით კარგად გამაგრებული პოზიციები ეკავა სოფ. ბოროდინოსთან, მოსკოვის ახლოს. ნაპოლეონმა 130-ათასიანი არმიითა და 587 ზარბაზნით ძლიერად შეუტია რუსებს. ფრანგთა მთავარი ძალების (86 000 კაცი) დარტყმა მიმართული იყო რუსების მარცხენა ფრთაზე, რომელსაც სარდლობდა მამაცი გენერალი პეტრე ბაგრატიონი (ნაპოლეონი მას რუსეთის საუკეთესო მხედართმთავრად თვლიდა). ბაგრატიონმა გაუძლო მტრის შეტევას, მაგრამ მძიმე ჭრილობა მიიღო, რომლისგან შემდეგ გარდაიცვალა. ბოროდინოსთან ნაპოლეონმა ვერ შეძლო რუსების განადგურება, მაგრამ ვერც რუსებმა შეაჩერეს ფრანგები. კუტუზოვმა არმიის გადარჩენის მიზნით უკან დაიხია და მოწინააღმდეგეს მოსკოვი ჩააბარა. ბოროდინოს ბრძოლაში მარტო მოკლულთა სახით ფრანგებმა დაკარგეს 12 000 ჯარისკაცი და ოფიცერი, რუსებმა – 13 000. ხოლო მოკლულთა და დაჭრილთა საერთო რაოდენობა ორივე მხრიდან 94 ათას კაცს აღწევდა. ფრანგების ნახევარზე მეტი დაეცა ბაგრატიონის ჯარებთან ბრძოლაში.

კოლონებისა და გაფანტული წყობის ტაქტიკა ბრძოლის საუკეთესო ფორმად რჩებოდა XIX ს-ის შუა ხანებამდე, მაგრამ ჯარების მასიურად აღჭურვის შემდეგ სწრაფმსროლელი დაკუთხვილი იარაღით, მისი გამოყენება გართულდა. უკვე შესაძლებელი გახდა არტილერიისა და შაშხანების ცეცხლით კოლონების განადგურება მოწინააღმდეგესთან შეხებამდე. ეს ნათლად გამოჩნდა საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, როდესაც ფრანგულმა და პრუსიულმა კოლონებმა პირველივე შეტაკებებში მძიმე ზარალი განიცადეს. მხარეები იძულებულნი გახდნენ ემოქმედათ მხოლოდ გაფანტული წყობით (მსროლელთა შარების ტაქტიკა). საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ამ ტაქტიკაზე სხვა ევროპული არმიებიც გადავიდნენ.

მსროლელთა შარების ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეითობა მოწინააღმდეგეს უახლოვდებოდა დანაწევრებული წყობით, სათოფე მანძილზე ჯარისკაცები ჯაჭვისებურად იშლებოდნენ მსროლელთა შარებად და სროლა-სროლითა და გადარბენებით მიიწევდნენ საიერიშო ზღუდემდე (მოწინააღმდეგისაგან 40-50 მ). საიერიშო ზღუდეზე თავმოყრის შემდეგ ქვეითები მტერს ეკვეთებოდნენ ხიშტებითა და თოფის სროლით. ქვეითი ჯარის იერიშს თავისი ცეცხლით მხარს უჭერდა არტილერია.

ახალმა დაკუთხვილმა იარაღმა დიდი გავლენა მოახდინა თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკაზე. მტრის ცეცხლისაგან ზარალის შემცირებისა და თავდაცვის მდგრადობის გაზრდის მიზნით ჯარებმა ჩასანგრება დაიწყეს. თხრიდნენ როგორც სათითაო, ასევე ჯგუფურ სანგრებს, აგებდნენ თავშესაფრებსა და სამალავებს.

მიუხედავად ამისა, პირველ მსოფლიო ომამდე ტაქტიკის თეორიაში სავსე ფორტიფიკაციული ნაგებობების გამოყენებას მაინც არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლის პოზიციურ ფაზაში გადასვლის შემდეგ 1914 წლის ბოლოს, მოწინააღმდეგეებმა დაიწყეს გამაგრებული ხაზების მშენებლობა საყრდენი პუნქტებითა და მავთულხლართებით. 1915 წლისათვის მძიმე არტილერიის გამოყენების გაძლიერებასთან დაკავშირებით, თავდაცვა ეშელონირებული გახდა სიღრმეში 8-10 კილომეტრამდე. პირველი პოზიციის უკან 4-8 კილომეტრის მოშორებით ეწყობოდა სანგრების მეორე ხაზი, შემდეგ – მესამე.

ახალი საბრძოლო საშუალებების გაჩენამ და ცეცხლის გაძლიერებამ გაართულა შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლების ტაქტიკა. შექმნილ პირობებში ომამდელი ტაქტიკური ფორმები ვეღარ ამართლებდნენ. საბრძოლო მოქმედებების მთელი სიმძიმე ქვეითობას დააწვა. მისი ძლიერი იარაღი იყო ტყვიამფრქვევი, განსაკუთრებით თავდაცვითი ბრძოლის დროს.

ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობის საფუძველი იყო შარი (ჯაჭვი), რომელშიც ჯარები თანაბარზომიერად იყვნენ განაწილებულნი. მისი ძლიერი მხარე იყო მოწინააღმდეგეზე ერთდროული დარტყმის შესაძლებლობა, თუმცა ამ დარტყმას არ ჰქონდა საკმარისი ძალა. ეშელონირებული შარების ტალღებმა გაზარდეს საბრძოლო წყობის სიღრმე და გარღვევის ძალა, მაგრამ ტალღების სიხშირე ცოცხალი ძალის დანაკარგებსაც ზრდიდა.

ყველაზე მანევრული და ნაკლებად ზარალიანი აღმოჩნდა ჯგუფური საბრძოლო წყობა, როდესაც ბრძოლა წარმოებდა ცალკეული ჯგუფებით – ათეულებით. მისი გაჩენა დაკავშირებულია მსუბუქი ტყვამფრქვევების, მსუბუქი ზარბაზნების, ნაღმსატყორცნებისა და ტანკების გამოყენებასთან.

ამრიგად, ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა პერმანენტულად იცვლებოდა: მსროლელთა შარებიდან შარების ტალღებამდე (1915-1916 წწ.) და შემდეგ საბრძოლო ჯგუფებამდე (1917-1918 წწ.).

ომის დასასრულისათვის დივიზია უტევდა 2,5-3 კილომეტრიან ფრონტზე, ბატალიონი – 500-600 მეტრზე. ბატალიონის, პოლკის, დივიზიისა და კორპუსის საბრძოლო წყობა, როგორც წესი, ორი ეშელონისაგან შედგებოდა. მეორე ეშელონი გამოიყენებოდა პირველი ეშელონის გასაძლიერებლად ან შესაცვლელად.

საერთო-საჯარისო ბრძოლა გახდა ჯარების ძველი (ქვეითობა, არტილერია, კავალერია) და ახალი (ტანკები, ავიაცია) გვარეობების თანამოქმედება.

ქართული ჯარი 1918-1921 წლებში

რუსეთის სახელმწიფოს დაშლისა და მისი შემადგენლობიდან ამიერკავკასიის ფაქტობრივი გამოყოფის შემდეგ (1917 წლის ნოემბერი), მთელი აქტუალობით დაისვა ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხი. ამიერკავკასია, როგორც რუსეთის შემადგენელი ნაწილი, პირველ მსოფლიო ომში თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა, და გამოვიდა, რომ რევოლუციის შედეგად რუსეთის არმიის დაშლის გამო, საზავო ხელშეკრულების დადებამდე, თურქეთის ფრონტი³⁸ ამიერკავკასიის ეროვნულ ნაწილებს უნდა გაემაგრებინათ. აზერბაიჯანელმა მუსავათისტებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და მონათესავე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაზე და ამიტომ ფრონტი ფაქტობრივად ეკავათ სასწრაფოდ ჩამოყალიბებულ ქართულ (12000 კაცი) და სომხურ (17000 კაცი) კორპუსებს.

ეს მცირერიცხოვანი ძალები, ცხადია, ვერ შეძლებდნენ თურქეთის არმიის დიდი ხნით შეჩერებას. თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ და 1918 წ. თებერვალში აიღეს არზინჯანი, მარტში – ტრაპიზონი და არზრუმი, აპრილში – ბათუმი და ყარსი. ინტერვენტების შეჩერება ქართველებმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე მოახერხეს (1918 წლის აპრილი), სომხებმა – ერევნის მისადგომებთან (1918 წლის მაისი).

1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასიამ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც იმავე წლის 26-28 მაისს დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუვერენულ რესპუბლიკებად. ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მფარველობის თხოვნით მიმართა გერმანიას. ქვეყანაში გერმანული ჯარები შემოვიდნენ (20-25 ათასი კაცი), რომლებიც აქ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე იმყოფებოდნენ. გერმანელი სამხედრო სპეციალისტების დახმარებით დაიწყო რეგულარული ქართული ჯარის ჩამოყალიბება, რომლის ბირთვი თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ნაწილებმა შეადგინეს.

რეგულარული ჯარის პარალელურად იქმნებოდა საქართველოში ყველაზე გავლენიანი – სოციალ-დემოკრატიული – პარტიის შეიარაღებული ფორმირება – სახალხო გვარდია, რომელიც მალე აგრეთვე სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციად გადაიქცა. იგი შედგებოდა მუდმივი ქვედანაყოფებისა და სარეზერვო ბატალიონებისაგან, თავისი არტილერიით, ჯავშანმატარებლებით, საინჟინრო ნაწილით და სხვ.

სახალხო გვარდია იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავის სახლებში და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწყობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრთნისა და ომის დროს. გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს, მის ოჯახს მთავრობისაგან გარკვეული დახმარება ეძლეოდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ გვარდიის ოფიცრები და ინსტრუქტორები, ვინაიდან, რიგითი გვარდიელებისაგან განსხვავებით, ეს მათი ძირითადი სამსახური იყო.

1918 წ. ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი საკანონმდებლო აქტები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ქვეყანაში სამხედრო მშენებლობა. ეს იყო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციის თაობაზე, დებულებები საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შესახებ, სპეციალური კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ.

განისაზღვრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შევიდოდა ორი ქვეითი დივიზია, ერთი ცხენოსანი ბრიგადა, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადა, ერთი მესანგრეთა ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ჯავშანმატარებელთა ჯგუფი, ერთი საავიაციო გუნდი და სანაპირო (სასაზღვრო) ჯარი.

პირველი რესპუბლიკის დროს ქართული ჯარის ჩამოყალიბების საქმეში მთავარი პრობლემა არასაკმარისი დაფინანსება იყო. ხელისუფლება, მართალია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თანხები გამოეყო შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკური დეფიციტურობის პირობებში ეს არ ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ სამხედრო მშენებლობის სრული პროგრამა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ განხორციელდა.

გარკვეული პრობლემები მოიტანა აგრეთვე არმიისაგან განცალკევებული სახალხო გვარდიის არსებობამ. თავისთავად, ამ ტიპის ტერიტორიული სამხედრო ფორმირებები სავსებით გამართლებულია. ისინი შინაგანი ჯარის ფუნქციებს ასრულებენ და ამავე დროს წარმოადგენენ რეგულარული შეიარაღებული ძალების რეზერვს (მაგალითად, ნაციონალური გვარდია ამერიკის შეერთებულ შტატებში). მაგრამ საქართველოში სახალხო გვარდიის პარტიული ნიშნით შექმნა მიზანშეწონილი არ იყო, ვინაიდან ამან შეიარაღებულ ძალებში - არმიასა და გვარდიას შორის - გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია. ითვლებოდა, რომ მთავრობა გვარდიისადმი მეტ ზრუნვას იჩენდა. საერთოდ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტია - სოციალ-დემოკრატები, ეჭვის თვალით უყურებდნენ ძველ ოფიცერებს, გასაკუთრებით თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს, რომელთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა მარქსისტულ იდეოლოგიას. ამიტომ იყო, რომ ბევრი გამოცდილი სამხედრო სპეციალისტი არ იქნა გამოყენებული ქართული ჯარის მშენებლობის პროცესში.

უეჭველია, რომ სამხედრო მშენებლობის საქმეში გარკვეული ხელის შემშლელი ფაქტორი იყო, აგრეთვე, ქართული სამხედრო ორგანიზაციის განვითარებაში საუკუნოვანი პაუზის შედეგები, რამაც გაქრობის პირას მიიყვანა ეროვნული სამხედრო კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგი ოფიცერთა კორპუსი, რომელსაც რუსეთის არმიაში და პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე ჰქონდა წრობა მიღებული. ასეთი კადრების მეცადინეობის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ღირსეული ცვლა იზრდებოდა. ეს კარგად გამოჩნდა 1921 წ. რუსეთ-საქართველოს ომში, რომელშიც გმირული ბრძოლით სახელი მოიხვეჭეს თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა.

რას წარმოადგენდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალები 1921 წლისათვის?

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეადგენდნენ: 1) რეგულარული არმია და სანაპირო ჯარი; 2) საზღვაო ფლოტი და 3) სახალხო გვარდია.

არმია და ფლოტი სამხედრო სამინისტროს ემორჩილებოდნენ, სახალხო გვარდია - გვარდიის მთავარ შტაბს. შეიარაღებული ძალების ამ ორი ჯგუფის ერთიანი სარდლობის ქვეშ გაერთიანება ხდებოდა მხოლოდ ომის დროს, როდესაც ინიშნებოდა მთავარსარდალი.

საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს არმია მშვიდობიან დროს შედგებოდა სამი ქვეითი ბრიგადის (თითოში 4 ქვეითი ბატალიონი³⁹, 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი⁴⁰ და მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონი); ერთი ცალკეული ცხენოსანი ბრიგადისა (2 ცხენოსანი პოლკი და 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი) და ცალკეული ქართულ-მუსლიმანური დივიზიონისაგან. საარმიო არტილერია ითვლიდა ხუთ მსუბუქ და ერთ მძიმე არტილერიის დივიზიონს. მათგან ოთხი მსუბუქი არტილერიის დივიზიონი, როგორც აღინიშნა, ცხენოსანი და ქვეითი ბრიგადების შემადგენლობაში იყო, ხოლო ერთი მსუბუქი და მძიმე დივიზიონები კი უშუალოდ ემორჩილებოდნენ სამხედრო სამინისტროს.

რეგულარულ არმიას ჰყავდა აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკური ჯარები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა: მესანგრეთა ბატალიონი; რადიოტელეგრაფის ასეული; ავტოჯავშნოსანი რაზმი; სატანკო დივიზიონი; საავტომობილო ასეული; 6 ჯავშანმატარებელი და საავიაციო გუნდი.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ემორჩილებოდა აგრეთვე სანაპირო ჯარი, შემდგარი 7 პოლკისაგან (თითოში 354 ან 461 კაცი, მათგან 24 ოფიცერი) და ორი საყარაულო ბატალიონი.

ომის შემთხვევაში რეზერვისტების გაწვევით ხდებოდა ბრიგადების დივიზიებით, ხოლო ბატალიონების პოლკებათ გადაქცევა (გაშლა). პოლკის საშტატო შემადგენლობა იყო 2225 ჯარისკაცი და ოფიცერი.

საქართველოს საზღვაო ფლოტში შედიოდა კონტრადმოსანი "პატარა კახი", 4 ხის კორპუსიანი გამანადგურებელი, 4 ნაღმოსანი კატარღა და 10 სხვადასხვა დანიშნულების ხომალდი. გარდა ამისა, სანაპირო ჯარს 22 ორთქლის კატარღა ჰყავდა.

სახალხო გვარდიის ნაწილები, როგორც ზემოთ ითქვა, შედგებოდნენ მუდმივი და სარეზერვო ქვედანაყოფებისაგან. კერძოდ, ქვეითი ჯარი შედგებოდა ერთი სრული საშტატო შემადგენლობის ბატალიონისა და 23 კადრირებული ბატალიონისაგან, რომლებიც ომის დროს რეზერვისტებით ივსებოდნენ. კავალერია წარმოდგენილი იყო ერთი ცხენოსანი პოლკით. გვარდიას გააჩნდა აგრეთვე საარტილერიო ბრიგადა და ტექნიკური ნაწილები.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ რამოდენიმე სამხედრო-სასწავლო დაწესებულება: 1) თბილისის სამხედრო სკოლა ქვეითი ჯარის, კავალერიის, არტილერიისა და საინჟინრო ჯარების ოფიცრების მოსამზადებლად; იქვე იყო უნტერ-ოფიცერთა სკოლა; 2) ავტოსკოლა; 3) მძღოლების სკოლა; 4) სახალხო გვარდიის სამხედრო სასწავლებელი. გარდა ამისა, თბილისის პოლიტექნიკუმთან დაგეგმილი იყო 1921 წ. სამხედრო-საინჟინრო განყოფილების გახსნა საფორტიფიკაციო-სამშენებლო, საავიაციო და კავშირგაბმულობის განყოფილებებით.

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ითვლებოდა, რომ ჯარის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ქვეყანას მობილიზაციის შედეგად შეეძლო დაეყენებინა თოფქვეშ 1921 წლის დასაწყისისათვის უდრიდა 65–80 ათას კაცს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს თავიდანვე მოუხდათ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების წარმოება აფხაზეთში, სოჩა-ტუაფსეს სექტორში, სომხეთის საზღვარზე, ლიახვის ზემო წელზე, სამხრეთ საქართველოში, წითელ ხიდთან, მაგრამ ყველაზე მძიმე გამოცდა მათთვის, რომლის დაძლევაც ვერ მოხერხდა, აღმოჩნდა 1921 წლის ომი საბჭოთა რუსეთთან.

რუსეთში ბოლშევიკებმა 1920 წლისათვის გაანადგურეს კონტრრევოლუციის მთავარი ძალები და იმპერიის ყოფილი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას შეუდგნენ. მათ იმავე წელს ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ამრიგად, 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით, უკვე საბჭოთა რესპუბლიკების რკალში იყო მოქცეული, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ემეზობლებოდა ჩვენს ქვეყანას ქემალისტური თურქეთი⁴¹.

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკებს ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალური მუშაობის ნებართვა მისცა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს ჰირდებოდა ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისათვის ამიერკავკასიის უკანასკნელი რესპუბლიკის გასაბჭოების მიზნით.

1921 წ. 12 თებერვალს, სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში ბოლშევიკებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი "აჯანყებულთა" დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ.

მთავარ დარტყმას თბილისის მიმართულებით აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებიდან ახორციელებდა მე-11 საბჭოთა არმია (40,2 ათასი ზიშტი და ხმალი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშანმატარებელი, 8 ტანკი და ჯავშნოსანი მანქანა, 50 თვითმფრინავი). დამხმარე დარტყმები განახორციელეს საბჭოთა მე-9 არმიის 31-ე მსროლელმა დივიზიამ (სოხუმის მიმართულებით) და ჩრდილო კავკასიიდან თერგის ჯგუფის ჯარებმა (კობისა და ქუთაისის მიმართულებით).

საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა მოწინააღმდეგის დაზვერვის ცნობით 50000 ჯარისკაცი და ოფიცერი იყო (აქედან 15000 კაცი სახალხო გვარდიაში, რომელიც ბრძოლისუნარიანობით ჩამოუვარდებოდა რეგულარულ არმიას).

თებერვლის თოვლიან დღეებში თბილისის სამხრეთ მისადგომებთან ცხარე ბრძოლები გაიმართა. წითლებმა შეტევა მოიტანეს ტაბახმელა-კოჯრის მონაკვეთზე, მაგრამ ქართული ნაწილების კონტრიერიშმა ისინი უკუაგდო (18-20 თებერვალი). 23 თებერვალს რუსებმა დამატებითი ძალებით განაახლეს შეტევა, მაგრამ ამჯერად უკვე შემოვლითი გზებით – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – დაემუქრნენ საქართველოს დედაქალაქს. 24 თებერვლის საღამოს თბილისი უკვე სამი მხრიდან იყო ალყაშემორტყმული და ჩანდა, რომ რკალი მალე მთლიანად შეიკვროდა. ქართულ სარდლობას რეზერვები აღარ ჰყავდა მდგომარეობის გამოსასწორებლად; სამოხილიზაციო გეგმა არასაკმარისი სისწრაფით სრულდებოდა, ხოლო ახლად გაშლილ ნაწილებს არ ყოფნიდათ აღჭურვილობა. ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ. ღამით მთავრობამ და ჯარმა ქალაქი დატოვეს, 25 თებერვალს დღისით კი თბილისში წითელი არმია შემოვიდა.

ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საერთო-სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ქემალისტურმა მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არდაჰანის (არტანის) დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, ხოლო ქალაქში დარჩენილმა ქართულმა ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ქალაქი შეინარჩუნეს. ეს იყო პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი წარმატება. თურქების უკანდახევის შემდეგ ბათუმში რუსები შევიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში უკვე ბოლშევიკური დროშა ფრიალებდა. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არდაჰანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთს გადაეცა.

ნ ა წ ი ლ ი IV

უახლესი დრო

სამხედრო ტენდენციები პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში სამხედრო თეორეტიკოსები ცდილობდნენ ყოველმხრივ გაეაზრებინათ დაგროვილი საბრძოლო

გამოცდილება, გამოემუშავებინათ სტრატეგიული ფრონტის გარღვევის ეფექტური ფორმები და ხერხები. სამხედრო ტექნიკის არნახული განვითარება და შეიარაღებული ბრძოლის ახალი საშუალებების გაჩენა (ავიაცია, ტანკები და სხვ.), სამხედრო თეორეტიკოსებს თითქოს ამ პრობლემის გადაწყვეტის გასაღებს აძლევდა. ასე, მაგალითად, ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსი გენერალი ჯონ ფულერი (1878-1966), ამტკიცებდა, რომ ომის მოგება 99 პროცენტით დამოკიდებულია იარაღზე, ყველა დანარჩენი ფაქტორი – სტრატეგია, ხელმძღვანელობა, სიმამაცე, დისციპლინა და სხვ. – შესაძლებლობების მხოლოდ 1 პროცენტს იძლევიანო. იტალიელი გენერალი ჯულიო დუე (1869-1930) თვლიდა, რომ წინ ვერაფერი აღუდგებოდა ძლიერ ბომბდამშენ ავიაციას. მისი აზრით, ყოველდღიური საჰაერო დარტყმები სამრეწველო-ეკონომიკურ ცენტრებზე, დაანგრევდნენ მოწინააღმდეგის ფრონტს და აიძულებდნენ მას იარაღი დაეყარა. გერმანელი გენერალი ჰაინც ვილჰელმ გუდერიანი (1888-1953) კი, ანუ როგორც მას უწოდებდნენ – ”შეჯავშნული დივიზიების მამა”, მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი ფრონტის გარღვევა შეიძლებოდა მასირებული სატანკო დარტყმებით.

თუმცა ეს შეხედულებები მთლიანად მიღებული არ იქნა, მათ გარკვეული გავლენა მოახდინეს სტრატეგიული მოქმედებების ხერხებისა და ფორმების გამომუშავებაზე მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელობას, გამომდინარე პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებიდან, სურდა თავიდან აეცილებინა ხანგრძლივი ბრძოლა ორ ფრონტზე. გერმანიაში იმედებს ამყარებდნენ ელვისებური ომის, ანუ ბლიცკრიგის, იდეის რეალიზაციაზე, რაც გულისხმობდა მთავარ მიმართულებებზე მძლავრ სტრატეგიულ შეტევებს სატანკო და მოტორიზებული ჯარების მასირებული გამოყენებითა და საავიაციო დარტყმებით. გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსების აზრით, მოულოდნელად დაწყებულ და მაღალ ტემპებში განვითარებულ ასეთ შეტევას პირველივე დღეებში უნდა შეენგრია მოწინააღმდეგის თავდაცვითი ხაზი და მოესპო მისი ორგანიზებული წინააღმდეგობა. ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი იგეგმებოდა, როგორც ერთი სწრაფი კამპანია.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ (1939 წლის სექტემბერი) გერმანიის შეიარაღებული ძალები ითვლიდნენ 4,6 მილიონ ადამიანს, აქედან სახმელეთო ჯარებში იყო 2,7 მილიონი. სატანკო და მოტორიზებული შენაერთების ხვედრითი წილი 26%-ს შეადგენდა. მათ შეიარაღებაზე იყო 3195 ტანკი. სამხედრო-საჰაერო ძალებში 4,1 ათასი თვითმფრინავი იყო. უპირატესობა ეძლეოდა ბომბდამშენებს. გამანადგურებელთა ხვედრითი წონა უფრო დაბალი იყო ვიდრე სხვა ქვეყნებში.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებს 107 საბრძოლო ხომალდი ჰყავდა, მათგან 86 – უახლესი. მშენებლობის სტადიაში იყო კიდევ 35 საბრძოლო ხომალდი.

საფრანგეთში, გერმანიისაგან განსხვავებით, გაბატონებული იყო პოზიციური თავდაცვის უპირატესობის დოქტრინა. გერმანელთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად აქ, სასაზღვრო რაიონებში, 1929-1940 წწ. შენდებოდა ხანგამძლე გამაგრებული სისტემა – მაჟინოს ხაზი⁴². ფრანგები თვლიდნენ, რომ მომავალ ომში განმეორდებოდა პირველი მსოფლიო ომის დროინდელი პოზიციური ფორმები და 30-იანი წლების ბოლოსათვის სტრატეგიული თავდაცვის შესაძლებლობები აღემატებოდნენ შეტევითი მოქმედებების შესაძლებლობებს. მაჟინოს ხაზი წარმოადგენდა 400 კმ სიგრძის (შვეიცარიის საზღვრიდან ბელგიამდე) და 6–8 კმ სიღრმის გამაგრებულ ზოლს, რომელიც ითვლიდა დაახლოებით 5600 ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობას. მისი მუდმივი გარნიზონი, რომელიც 200 ათასი კაცისაგან შედგებოდა, ომის შემთხვევაში კიდევ რამდენიმე სავსე არმიით უნდა გაძლიერებულიყო. მაჟინოს ხაზის აგებაზე სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯა და ამიტომ საფრანგეთის სარდლობა არასაკმარის ყურადღებას აქცევდა არმიის აღჭურვას იარაღისა და ტექნიკის ახალი სახეობებით.

პროგრესული სამხედრო მოღვაწეების შეხედულებებმა მოტორიზებული დამრტყმელი არმიისა და დამოუკიდებელი სატანკო შენაერთების შექმნის შესახებ, მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში 2 674 ათასი ადამიანი იყო (სახმელეთო არმიაში – 2 438 ათასი, სამხედრო-საჰაერო ძალებში – 110 ათასი, სამხედრო-საზღვაო ფლოტში – 126 ათასი). საფრანგეთს ჰყავდა 3100 ტანკი, 3335 თვითმფრინავი და 200-ზე მეტი საბრძოლო ხომალდი.

არც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ემზადებოდნენ დიდი ომისათვის საბრძოლო მოქმედებათა სახმელეთო ასპარეზზე. ამ ქვეყნებში არსებული ოფიციალური თეორიებით მომავალი ომი ხანგრძლივი და გამომფიტავი იქნებოდა. მასში გადამწყვეტ როლს შეასრულებდნენ მძლავრი სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კოლონიების რესურსების გამოყენებასა და მოწინააღმდეგის სანაპიროების ბლოკადას. სამხედრო-საჰაერო ძალები განიხილებოდა როგორც სტრატეგიული საშუალება მტრის ეკონომიკური ობიექტების გასანადგურებლად ხანგრძლივი ომის განმავლობაში. ბოლოს, როდესაც საზღვაო ბლოკადა და სისტემატური საჰაერო დარტყმები შეარყევდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს, შესაძლებლად ითვლებოდა შეზღუდული ოდენობის მექანიზებული სახმელეთო ძალების გადმოსხმა ევროპის კონტინენტზე გამარჯვების დასაგვირგვინებლად. აქედან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ინგლისსა და ამერიკაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ფლოტსა და ავიაციას, სახმელეთო ძალები კი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. პრაქტიკულად არ არსებობდა სატანკო ჯარები.

მეორე მსოფლიო ომის წინ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში 1 662 ათასი ადამიანი იყო, აქედან 1 261,2 ათასი სახმელეთო ჯარებში (რეზერვების ჩათვლით). ინგლისურ ფლოტში (373 საბრძოლო ხომალდი) 194,4 ათასი კაცი მსახურობდა. სამხედრო-საჰაერო ძალებში 1891 თვითმფრინავი იყო. ამასთან აღსანიშნავია, რომ ინგლისის არმიისა და ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი კოლონიური იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში იყო გაფანტული.

ამერიკის შეერთებული შტატების არმია 1939 წლის შემოდგომისათვის ითვლიდა 544,7 ათას ადამიანს. იგი შედგებოდა სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. საზღვაო ძალებში (300-ზე მეტი ხომალდი) 154,7 ათასი კაცი მსახურობდა. სამხედრო ავიაცია შედიოდა სახმელეთო ჯარებისა (1576 თვითმფრინავი) და ფლოტის (დაახლოებით 300 თვითმფრინავი) შემადგენლობაში.

იაპონიის შეიარაღებული ძალები ემზადებოდნენ როგორც სახმელეთო ოპერაციების წარმოებისათვის (საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ), ასევე ზღვაზე და ჰაერში საომრად (ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგ). ამიტომ იაპონიაში დიდი ყურადღება ექცეოდა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის განვითარებას. ჯარების მომზადებაში მთავარი ადგილი ეკავა შეტევის წარმოებას და მზადყოფნას ბრძოლა ეწარმოებინათ რთულ პირობებში, მათ შორის ისეთ ლანდშაფტში, რომელიც დამახასიათებელი არ იყო იაპონიის კუნძულებისათვის, მაგალითად, ჯუნგლებში.

იაპონიის სახმელეთო არმიაში 1 240 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი და 2000-ზე მეტი ტანკი იყო. სამხედრო-საჰაერო ძალებში (1000-ზე მეტი თვითმფრინავი) 44 ათასი კაცი მსახურობდა. სამხედრო-საზღვაო ფლოტში 228 საბრძოლო ხომალდი და 396 საგემბანო თვითმფრინავი იყო.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის იტალიურ სამხედრო დოქტრინაში მომავალი ომის შესახებ დალოდინების ტენდენციები იკვეთება. ამ შეხედულებებით იტალიას არ უნდა მიეღო მონაწილეობა ომის დასაწყისში, ხოლო როდესაც გერმანია გაანადგურებდა ინგლის-საფრანგეთის ძალებს, იტალიის არმიას სწრაფად უნდა ჩაეგდო ხელში საფრანგეთის მოსაზღვრე ოლქები, ბალკანეთის ნახევარკუნძული და, აგრეთვე, ინგლისის სამფლობელოები ხმელთაშუაზღვისპირეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში. ამ ამოცანების განსახორციელებლად იტალიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფლოტი და არმია ჰყავდა, მაგრამ

მათი საბრძოლო მომზადება და მორალური სული არ პასუხობდნენ ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნილებებს.

იტალიის შეიარაღებულ ძალებში 1 753 ათასი ადამიანი ირიცხებოდა. აქედან სახმელეთო ძალები შედგებოდა მეტროპოლიის არმიისა (450 ათასი კაცი) და კოლონიური ჯარებისაგან (223 ათასი). სამხედრო-საჰაერო ძალებში 2802 თვითმფრინავი იყო, სამხედრო-საზღვაო ფლოტში – 259 საბრძოლო ხომალდი. წყალზედა გემების რაოდენობით იტალიას მესამე ადგილი ეკავა ევროპაში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შემდეგ, წყალქვეშა ნავების მიხედვით კი პირველი ადგილი მსოფლიოში (105 ერთეული).

ომის დაწყების შემდეგ სამხედრო მოქმედებების პროცესში მეომარი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების რიცხოვნობივი შემადგენლობა და ტექნიკური აღჭურვილობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საბჭოთა სამხედრო დოქტრინა მომავალ ომს განიხილავდა როგორც ძირითადად კონტინენტური ხასიათის ბრძოლას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, რომელშიც გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინათ სახმელეთო ძალებს. შეტევა საბრძოლო მოქმედებების ძირითად სახედ ითვლებოდა. საბჭოთა სამხედრო თეორეტიკოსებმა 30-იანი წწ. შუა ხანებში შეიმუშავეს ე.წ. ღრმა ოპერაციის თეორია, რომლის არსი მდგომარეობდა მთავარი დარტყმის მიმართულებაზე ჭარბი ძალებით მოწინააღმდეგის ერთდროულ განადგურებაში მთელი მისი თავდაცვის სიღრმეში, რისთვისაც მასობრივად უნდა ყოფილიყო გამოყენებული არტილერიის, სატანკო და მექანიზებული ჯარების, ავიაციისა და საჰაერო-სადესანტო ჯარების საბრძოლო შესაძლებლობები.

1939 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა არმია, ანუ, როგორც იგი მაშინ იწოდებოდა, მუშურ-გლეხური წითელი არმია, ითვლიდა 1 943 ათას ადამიანს. 1941 წლის შუა ხანებისათვის კი, როდესაც საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში ჩაება, მისი შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი უკვე 5 მილიონს აღემატებოდა. აქედან სახმელეთო ჯარების ხვედრითი წილი იყო 80,6%, სამხედრო-საჰაერო ძალების – 8,6%, სამხედრო-საზღვაო ფლოტის – 7,3%, ხოლო ჰაერსაწინალო თავდაცვის – 3,3%.

ამრიგად, XX ს-ის 30-იან წლებში სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი სახელმწიფოებიდან გერმანია, იაპონია, იტალია და საბჭოთა კავშირი ემზადებოდნენ მეზობელ ქვეყნებში შეიარაღებული ინტერვენციისათვის, ანუ დაპყრობითი ომებისათვის, რაც ნათლად მოჩანს მათ სამხედრო დოქტრინებში, სადაც საბრძოლო მოქმედებების ძირითად სახედ მიჩნეულია შეტევა. უპირატესობა ეძლევა ხანმოკლე, მაგრამ გრიგალისებურ კამპანიას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, სამხედრო მშენებლობის პროცესში მთავარი ყურადღება ექცეოდა სატანკო, მექანიზებული და სადესანტო ჯარების შექმნას. სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებში პრიორიტეტი ენიჭებოდა დამრტყმელ ძალებს – ავიამზიდებს, სახაზო ხომალდებს, წყალქვეშა ნავებსა და ბომბდამშენ ავიაციას. რაც შეეხება ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, მათი სამხედრო დოქტრინები ძირითადად თავდაცვით ხასიათისაა (გამაგრებული ხაზები, საზღვაო კომუნიკაციების დაცვა და ა.შ.). მათ სამხედრო თეორეტიკოსებს მომავალი ომი ესახებოდათ როგორც ხანგრძლივი ჭიდილი ძალების სრულ გამოფიტვამდე, რაც ძლიერი ეკონომიკისა და რესურსებით მდიდარი კოლონიების მქონე ამ ქვეყნებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. ამიტომ ამ სახელმწიფოების არმიებში არასაკმარისი რაოდენობით იყო მობილური ჯავშან-სატანკო ნაწილები. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ საკმარისად მრავალრიცხოვანი სახმელეთო არმია მათგან, როგორც ვნახეთ, მხოლოდ საფრანგეთს ჰყავდა, მაგრამ ეს არმია გამიზნული იყო გამაგრებულ პოზიციებზე თავდაცვითი ბრძოლისათვის.

მეორე მსოფლიო ომი

XX ს-ის 30-იანი წწ. მეორე ნახევარში კაპიტალისტურ სამყაროში ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ბანაკი ჩამოყალიბდა. პირველი ბანაკის ლიდერები იყვნენ ფაშისტური სახელმწიფოები – გერმანია და იტალია, და აგრეთვე მილიტარისტული იაპონია. ამ ქვეყნების მმართველ წრეებს ამოცანად ჰქონდათ დასახული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება და მსოფლიო ბატონობის მიღწევა. გერმანიაში რევანშისტურ განწყობილებებს აღვივებდა პირველ მსოფლიო ომში განცდილი დამარცხება და ზავის დამამცირებელი შედეგები.

მეორე ბანაკს შეადგენდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ განიმტკიცეს თავისი პოზიციები და არ იყვნენ დაინტერესებულნი მსოფლიოში არსებული მდგომარეობის გლობალური შეცვლით. ამიტომ ამ სამი სახელმწიფოს კავშირი საერთო პოლიტიკურ ინტერესებზე იყო დაფუძნებული.

ბოლოს, მესამე ძალას იმ დროინდელ მსოფლიოში წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი, რომლის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სტალინით სათავეში, კომუნისტური იდეოლოგიით შენიღბული აგრესიული ზრახვები გააჩნდა თითქმის ყველა მეზობელი სახელმწიფოს მიმართ.

გერმანიის მიერ ომის გაჩაღებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკამ, ღიად არ დაპირისპირებოდნენ აგრესორს. ამით ისარგებლა გერმანიის სახელმწიფოს მეთაურმა ჰიტლერმა და 1938-1939 წლებში შეიერთა ავსტრია, მოახდინა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია, ლიტვას წაართვა მემელის (კლაიპედას) ოლქი. 1939 წელს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო თავდაუსხმელობის პაქტი. ამ ერთი შეხედვით მშვიდობისმყოფელ დოკუმენტს, გააჩნდა საიდუმლო დამატება, რომლის ძალით ჰიტლერსა და სტალინს უნდა გაენაწილებინათ პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები მათი დაპყრობის შემდეგ.

მეორე მსოფლიო ომი დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანული არმიის პოლონეთში შეჭრით. ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებსაც პოლონეთთან სამხედრო კავშირი ჰქონდათ დადებული, 3 სექტემბერს გერმანიას ომი გამოუცხადეს. ისტორიაში მოხდა მკვეთრი გარდატეხა მშვიდობიდან ომისაკენ. კაცობრიობის ცხოვრებაში უმძიმესი კრიტიკული პერიოდი დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომში გამოყოფენ ხუთ პერიოდს, რომლებიც განირჩევიან კამპანიებისა და ოპერაციების მასშტაბების, ძალთა რიცხოვნობის და ხარისხობრივი შემადგენლობის, მეომარი მხარეების გეგმათა ძირეული ცვლილებების მიხედვით.

პირველი პერიოდი (1939 წ. სექტემბერი – 1941 წ. ივნისი) – ომის დასაწყისი და გერმანიის ჯარების მიერ ევროპის რიგი ქვეყნების ოკუპაცია. პოლონეთის განადგურების შემდეგ, რომელსაც აღმოსავლეთიდან საბჭოთა არმიამ დაარტყა, ხოლო ინგლისელებმა და ფრანგებმა, ფაქტობრივად, არავითარი დახმარება არ გაუწიეს, გერმანელებმა მოახდინეს დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია (1940 წ. აპრილი-ივნისი), 1940 წლის მაისში კი ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის გავლით – საფრანგეთში შეიჭრნენ. ფრანგები მალე დანებდნენ (22 ივნისი) და საფრანგეთის დიდი ნაწილი ოკუპირებული იქნა. ბრიტანულმა საექსპედიციო კორპუსმა და ფრანგული არმიის ცალკეულმა ნაწილებმა მოახერხეს ინგლისში ევაკუაცია, მაგრამ მათი ტექნიკა კონტინენტზე დარჩა და გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში. ჰიტლერი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შესაჭრელად ემზადებოდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს სტრატეგიული ოპერაცია ვერ განხორციელდა. ინგლისის ცაში კი გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს ინგლისელი და გერმანელი მფრინავები.

1940 წლის ივნისში გერმანიის მხარეზე ომში ჩაება იტალია, რომლის ჯარებმა აფრიკაში ინგლისის მიერ კონტროლირებად ეგვიპტეს შეუტეს. იტალიელთა დასახმარებლად ჰიტლერმა

ლიბიაში სატანკო კორპუსი გაგზავნა, რომლის მომარაგება სულ უფრო ძნელდებოდა ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის საბრძოლო ხომალდებისა და ავიაციის მოქმედების გამო. მათთან ბრძოლაში იტალიის ფლოტმა სერიოზული ზარალი განიცადა.

1941 წლის აპრილში ფაშისტური ბლოკის ჯარებმა მოახდინეს იუგოსლავიისა და საბერძნეთის ოკუპაცია, მაისში კი დაიკავეს კუნძული კრეტა. აღსანიშნავია, რომ კრეტას დაპყრობაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს გერმანიის საჰაერო-სადესანტო ჯარებმა (ეს იყო ისტორიაში პირველი მსხვილი საჰაერო-სადესანტო ოპერაცია), მაგრამ კუნძულის ინგლისურ-ბერძნულ გარნიზონთან ბრძოლაში პარაშუტისტებმა დიდი ზარალი განიცადეს.

მეორე პერიოდი (1941 წ. ივნისი – 1942 წ. ნოემბერი) – გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, ომის მასშტაბების გაზრდა, ბლიცკრიგის დოქტრინის კრაზი და ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობით. 1941 წლის 22 ივნისს გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა სსრ კავშირს. გერმანიასთან ერთად საბჭოეთის წინააღმდეგ გამოილაშქრეს ფინეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და იტალიის ჯარებმა. შეჭრის არმია საერთო ჯამში ითვლიდა 4 მილიონზე მეტ ჯარისკაცსა და ოფიცერს, მათგან დაახლოებით 3,5 მილიონი იყო გერმანელი.

ბოლშევიკებს საზღვრისპირა რაიონებში თავმოყრილი ჰყავდათ მრავალრიცხოვანი საჯარისო დაჯგუფებები (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წითელი არმია 5 მილიონზე მეტ ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა), მატერიალური ტექნიკა, საბრძოლო მასალები. არსებობს სერიოზული მონაცემები ვიფიქროთ, რომ სტალინი მოკლე ხანში თვითონ აპირებდა ომის დაწყებას გერმანიისა და მისი მოკავშირეების - რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ. ამითი აიხსნება საბჭოთა ჯარების უპრეცედენტო კონცენტრაცია დასავლეთის საზღვრებს გასწვრივ. ამიტომ ეს დაჯგუფებები ისე აღმოჩნდნენ გერმანელთა პირველი დარტყმის ქვეშ, რომ ვერ მოასწრეს თავდაცვისათვის გაშლა და სასტიკად დამარცხდნენ. გერმანელებმა ხელთ იგდეს ასობით ათასი ტყვე, ათასობით ქვემეხი და ტანკი, აეროდრომებზევე გაანადგურეს საბჭოთა თვითმფრინავების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ასეთი წარმატებების მიუხედავად გერმანიამ ომის სტრატეგიული მიზნები ვერ განახორციელა. რაც უფრო ღრმად შედიოდნენ გერმანელები საბჭოთა კავშირის უკიდვანო სივრცეებში, მით უფრო ძნელდებოდა წითელ არმიასთან ბრძოლა. დადგა რუსული ზამთარი, რომლისთვისაც გერმანული არმია მზად არ იყო. 1941/42 წლის ზამთარში გერმანელებმა მოსკოვთან სერიოზული დამარცხება განიცადეს. ეს მათი პირველი დიდი დამარცხება იყო მეორე მსოფლიო ომში. ამავე დროს იგი მოასწავებდა ბლიცკრიგის კრაზს.

ამერიკა 1941 წლის ბოლომდე ომში ოფიციალურად არ მონაწილეობდა, მაგრამ ღიად ეხმარებოდა დიდ ბრიტანეთს. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ ინგლისის და ამერიკის მთავრობებმა საბჭოთა კავშირს თავისი მხარდაჭერა გამოუცხადეს. ეს ძალიან აღიზიანებდა ჰიტლერს, მაგრამ პირველი დარტყმა ამერიკას იაპონიამ მიაყენა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე იაპონიას ოკუპირებული ჰქონდა კორეა და ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – მანჯურია. იაპონური ჯარები უფრო წინ მიიწევდნენ ჩინეთის სიღრმეში. ეს კეთდებოდა იაპონიის სახმელეთო სარდლობის მოთხოვნით, რომელსაც ხელს აძლევდა ომი კონტინენტზე. სულ სხვა აზრისანი იყვნენ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები, რომლებსაც უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდათ იმპერიის გაფართოვება სამხრეთის ზღვების მიმართულებით. მაგრამ იაპონიის სამხრეთისაკენ გავრცელების ტენდენციას, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები უშლიდა ხელს.

1941 წლის 12 დეკემბერს, დილით, იაპონური ავიამზიდებიდან⁴³ აჭრილმა თვითმფრინავებმა ომის გამოუცხადებლად მიიტანეს იერიში ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარ ბაზაზე – ფირლ-ჰარბორზე (ჰავაის კუნძულები), სადაც იმჟამად 70-მდე საბრძოლო ხომალდი იდგა. იაპონელებმა დაბომბეს ფირლ-ჰარბორი და ამერიკელებს დიდი ზარალი მიაყენეს (ჩაძირული ან

მძიმედ დაზიანებული იქნა 18 გემი, მათ შორის 8 სახაზო ხომალდი, ამერიკის 394 თვითმფრინავიდან განადგურებული იყო 188). წყნარ ოკეანეში დროებით იაპონია გაბატონდა. ამის შემდეგ ამერიკაც ჩაება ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ ომში. გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ინგლისს, ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, მიმართული საერთო მტრის წინააღმდეგ.

მესამე პერიოდი (1942 წ. ნოემბერი – 1943 წ. დეკემბერი) – ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში, ფაშისტური ბლოკის შემტევი სტრატეგიის კრაზი, იტალიის გამოსვლა ომიდან. მესამე პერიოდი იწყება სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების შეტევაზე გადასვლით, რის შედეგად ალყაში მოქცეული და განადგურებული იქნა გერმანელთა 330-ათასიანი დაჯგუფება (ტყვედ ჩავარდა 91 ათასი კაცი). სტრატეგიული ინიციატივა საბჭოთა არმიის ხელში გადავიდა. 1943 წლის ზაფხულში გერმანელებმა კიდევ ერთი მძიმე დამარცხება განიცადეს, ამჟამად კურსკთან. ზარალი ორივე მხარეს დიდი ჰქონდა: გერმანელებმა კურსკის ბრძოლაში დაკარგეს 500 ათასი კაცი, საბჭოელებმა – 850 ათასი, მაგრამ გერმანელთა შეზღუდული რესურსების გამო, დანაკლისი მათთვის უფრო მტკივნეული იყო.

ფაშისტური ბლოკი დამარცხებებს განიცდიდა სხვა ფრონტებზეც. კრაზით დასრულდა აფრიკის კამპანია: გერმანულ-იტალიური დივიზიები, რომლებსაც მოწინააღმდეგე მომარაგების ყველა გზა გადაუჭრა, მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებილი გახდნენ იარაღი დაეყარათ. ქ. თუნისის მახლობლად 1943 წლის 10-12 მაისს დასავლელ მოკავშირეებს ტყვედ ჩაბარდა 250 ათასი გერმანელი და იტალიელი ჯარისკაცი, მათივე სარდლებით. ფაშისტურ ბლოკს ხელიდან გამოეცალა უკიდურესი სამხრეთის ფორპოსტი – ჩრდილო აფრიკა. თავისი სამხედრო-პოლიტიკური შედეგებით ეს სტალინგრადის ტოლფასი მოვლენა იყო. ხმელთაშუა ზღვის აუზში ძალთა შეფარდება მკვეთრად გადაიხარა მოკავშირეთა მხარეზე, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა იტალიის დაცემა. მართლაც, 1943 წლის ზაფხულში, როდესაც ინგლისელები და ამერიკელები იტალიაში შეიჭრნენ, იქ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და იტალია ომს გამოეთიშა.

დიდი ცვლილებები მოხდა წყნარი ოკეანის აუზშიც, სადაც ამერიკელებმა აღიდგინეს თავისი ძლიერება. იაპონიის ფლოტმა რამოდენიმე სერიოზული დამარცხება განიცადა.

მეოთხე პერიოდი (1944 წ. იანვარი – 1945 წ. მაისი) – ფაშისტური ბლოკის დამარცხება, გერმანიის ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან, ინგლის-ამერიკის ჯარების შეჭრა ევროპის კონტინენტზე და მეორე ფრონტის გახსნა, ევროპის ოკუპირებული ქვეყნების განთავისუფლება და გერმანიის უპირობო კაპიტულაცია. პერიოდი დაიწყო საბჭოთა ჯარების შეტევით, რომლებმაც განდევნეს გერმანელები თავისი ტერიტორიიდან და ევროპის ქვეყნებში შეიჭრნენ. 1944 წლის 6 მაისს ინგლისელები და ამერიკელები გადასხდნენ ნორმანდიაში (საფრანგეთი), რითიც საფუძველი ჩაეყარა ევროპაში მეორე ფრონტს. გერმანიას ამ დროისათვის ჯერ კიდევ 10 მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავდა თოფქვეშ, მაგრამ ფრონტების დიდი სიგრძისა და ოკუპირებული ტერიტორიების დიდი ფართობის გამო ეს ძალები გაფანტული იყო მთელს ევროპაში.

1944/45 წლის ზამთარში გერმანელებმა ვერ შეძლეს დასავლეთის ფრონტზე ინგლისელ-ამერიკელების უკუგდება (ოპერაცია არდენებში⁴⁴), საბჭოელთა მძლავრი სტრატეგიული შეტევა კი აღმოსავლეთის ფრონტის მთელ სიგრძეზე (1945 წ. იანვარი-აპრილის პირველი ნახევარი) დაგვირგვინდა აქ მოქმედი გერმანული დაჯგუფებების დამარცხებითა და წითელი არმიის გასვლით ბერლინის მისადგომებთან. ამავე დროს, წყნარი ოკეანის სამხედრო მოქმედებების ასპარეზზე ამერიკელები უშუალოდ იაპონიის კუნძულებს მიუახლოვდნენ.

1945 წლის აპრილის მეორე ნახევარსა და მაისის დასაწყისში განადგურებული იქნა გერმანული არმიის უკანასკნელი დაჯგუფებები, წითელმა არმიამ აიღო ბერლინი (2 მაისი) და

მდ. ელბაზე შეხვდა დასავლელ მოკავშირეებს. ომი ევროპაში დასრულდა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციით (1945 წლის 8 მაისი).

მეხუთე პერიოდი (1945 წ. მაისი – სექტემბერი) დიაპონიის დამარცხება, აზიის ქვეყნების განთავისუფლება იაპონური ოკუპაციისაგან და მეორე მსოფლიო ომის დასასრული. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის ბედი, რომელიც მარტო დარჩა ანტიფაშისტური კოალიციის წინააღმდეგ, პრაქტიკულად, უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ იაპონელმა მილიტარისტებმა დანებებაზე უარი განაცხადეს და იაპონიის კუნძულების დაცვის სამზადისს შეუდგნენ. იაპონიაში დესანტის გადასხმა მოკავშირეებს, უეჭველია, დიდ ზარალს მოუტანდა, ამიტომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს იაპონიის წინააღმდეგ ახალშექმნილი ატომური იარაღი გამოეყენებინათ. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ქალაქებზე – ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ჩამოგდებული იქნა ორი ბირთვულმუხტიანი საავიაციო ბომბი, თითო 20 ათასი ტ ტროტილის ეკვივალენტური. ორივე ქალაქი განადგურებული იყო, დაიღუპა ასობით ათასი ადამიანი. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ამ საშინელი იარაღის გამოყენებით ამერიკელებმა დააჩქარეს იაპონიის კაპიტულაცია (1945 წლის 2 სექტემბერი). ამასთან, ისინი, უდავოდ, ცდილობდნენ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას საბჭოთა კავშირზე, რომელსაც გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ მსოფლიოში უძლიერესი სახმელეთო არმია ჰყავდა და მზად იყო გაეგრძელებინა შეტევა დასავლეთ ევროპის ხელში ჩაგდების მიზნით.

მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი სამხედრო კონფლიქტი იყო. მთლიანობაში ომში ჩაება 72 სახელმწიფო 1,7 მილიარდი მოსახლეობით, თუმცა ამ სახელმწიფოებიდან ზოგს მონაწილეობა არ მიუღია საბრძოლო მოქმედებებში. მეომარი ქვეყნების არმიებში მობილიზებული იყო 110 მილიონი კაცი. სამხედრო მოქმედებებმა მოიცვეს თითქმის მთელი ევროპა, აზიისა და აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილები, ატლანტის, წყნარი, ინდოეთისა და ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანეების აკვატორიები. მეორე მსოფლიო ომი ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომი იყო. მასში დაიღუპა 50 მილიონზე მეტი და დასახიჩრდა 28 მილიონი ადამიანი⁴⁵. დაღუპულთა 50% მშვიდობიან მოსახლეობაზე მოდის. პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა შეადგინეს 1384 მილიარდი დოლარი.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მეტწილად მხარეების სამხედრო ხელოვნებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პირველი მსოფლიო ომის დონეს. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მოძრავი საბრძოლო საშუალებების (ტანკები, თვითმფრინავები, ავტოტრანსპორტი და სხვ.) ფართო გამოყენებამ და, აგრეთვე, ქვეითთა მასობრივმა აღჭურვამ ავტომატური იარაღით შესაძლებელი გახადა პოზიციური ჩიხის გადალახვა, რომელიც დამახასიათებელი იყო პირველი მსოფლიო ომისათვის. მეორე მსოფლიო ომში დაპირისპირებული მხარეები იყენებდნენ შედარებით შეზღუდული სიძლიერისა და მოქმედების მცირე რადიუსის მქონე იარაღს. მხოლოდ ომის უკანასკნელ პერიოდებში იქნა გამოყენებული ფრთიანი და ბალისტიკური რაკეტები და ატომური ბომბები, რაც ძირეულ გადატრიალებას ნიშნავდა ჯარების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობასა და ომის წარმოების მეთოდებში.

რაკეტებს V-1 და V-2 იყენებდნენ გერმანული ჯარები 1944-1945 წწ. ინგლისის ქალაქების, პირველ რიგში ლონდონის, დანგრევისა და მოსახლეობის დემორალიზაციის მიზნით⁴⁶. თუმცა კონსტრუქციულად ეს რაკეტები არ იყო სრულყოფილი და მათი უმრავლესობა მიზანს ვერ აღწევდა, მათ მაინც დაანგრეს ინგლისში 30 ათასზე მეტი შენობა და მოკლეს 33 ათასი ადამიანი. ომის მსვლელობაზე რაკეტებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ და გერმანული სარდლობის მიერ დასახული ამოცანები ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, V-1 და V-2 რაკეტების შექმნამ და გამოყენებამ ნათლად წარმოაჩინა შორსმოქმედი რაკეტების დიდი პოტენციური შესაძლებლობები.

გაცილებით უფრო გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იაპონიის ატომურ დაბომბვას, რის შედეგადაც 500 ათასამდე ადამიანი დაზარალდა.

მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ გააბათილა 30-იანი წლების არმიებში დოქტრინის სახით მიღებული არაერთი თეორია. კერძოდ, გამოცდილებას ვერ გაუძლეს მეღვისებურინ ომისა და ბრძოლის მხოლოდ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე წარმოების გეგმებმა. ასევე არ გამართლდა ომში გამარჯვების იმედები მიუდგომელ გამაგრებულ ხაზებზე დაყრდნობითა და მცირე მექანიზებული არმიების მეშვეობით. სწორი არ აღმოჩნდა შეიარაღებული ძალების ცალკეული სახეობების (ავიაცია, სამხედრო ფლოტი) ან გვარეობების (ტანკები) მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება.

ომის მესამე პერიოდამდე გერმანული არმია ყველაზე ძლიერი იყო დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებულ ძალებს შორის. პოლონეთში, საფრანგეთში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჩატარებული მისი ოპერაციები გამოირჩეოდნენ ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ფართო გამოყენებით, ავიაციის მასირებული მხარდაჭერის ქვეშ. ტანკების საერთო რაოდენობით ინგლისელები და ფრანგები არ ჩამორჩებოდნენ გერმანელებს, მაგრამ მათი ტანკები ფრონტის მთელ სიგრძეზე იყო დაქსაქსული, ქვეითი ჯარების მხარდაჭერის მიზნით, როგორც ეს ხდებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს. გერმანელებმა კი თავის ტანკებს მექანიზებულ კორპუსებში მოუყარეს თავი, რაც საშუალებას იძლეოდა ჯავშანსატანკო ძალების მთელი მასა მთავარი დარტყმის მიმართულებაზე ყოფილიყო გამოყენებული ("სატანკო სოლების" სახით).

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ამ ტაქტიკამ პირველ ხანებში შედეგი გამოიღო, მაგრამ, მთლიანობაში, დასავლეთში მიღებული საბრძოლო გამოცდილების მექანიკურმა გადატანამ აღმოსავლეთის სამხედრო ასპარეზზე, სადაც სხვა ტერიტორიული მასშტაბები, ბუნებრივი გარემო და სოციალურ-პოლიტიკური სისტემა იყო, არ გაამართლა. დროებით თავდაცვაზე გადასული საბჭოთა ჯარები, ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების სამრეწველო-ეკონომიკურ პოტენციალზე დაყრდნობით, განუწყვეტლივ ზრდიდნენ წინააღმდეგობის ეფექტურობას⁴⁷ და საბოლოო ჯამში არა თუ შეაჩერეს მტრის შეტევა, არამედ 1943 წ. კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რომელიც მალე საერთო შეტევაში გადაიზარდა და დაგვირგვინდა გერმანიის მთავარი ძალების სრული დამარცხებით.

ამერიკისა და ინგლისის შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომში სახმელეთო ოპერაციების სფეროში შედარებით ნაკლები გამოცდილება დააგროვეს ვიდრე გერმანელებმა და საბჭოელებმა. სამაგიეროდ, ფაშისტური კოალიციის განადგურებაში მათი როლი გადამწყვეტი იყო სამხედრო მოქმედებათა საზღვაო ასპარეზზე. ინგლისელებმა და ამერიკელებმა უნიკალური გამოცდილება მიიღეს აგრეთვე კომბინირებული სადესანტო ოპერაციების მომზადება-განხორციელებაში სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, ავიაციისა და საჰაერო დესანტების მონაწილეობით. თავისი გრანდიოზულობით განსაკუთრებით აღსანიშნავია ნორმანდიის სადესანტო ოპერაცია (1944 წ. ივნისი-ივლისი). დესანტის ძალები ითვლიდნენ 2,9 მილიონ კაცს, 6 ათას ტანკსა და თვითმავალ საარტილერიო დანადგარს, 15 ათას ქვემეხსა და ნაღმსატყორცს. დესანტირებას უზრუნველყოფდა დაახლოებით 7 ათასი გემი, 11 ათასი საბრძოლო და 2,3 ათასი სატრანსპორტო თვითმფრინავი, 2,6 ათასი პლანერი. მიუხედავად ოპერაციაში მონაწილე უზარმაზარი ძალებისა, მიღწეული იქნა მოულოდნელობა და მოუმზადებელ სანაპიროზე გადმოსხდომის პროცესში ფლოტის, ავიაციისა და სახმელეთო ჯარების შეთანხმებული მოქმედება.

სამხედრო ხელოვნებამ მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა ტაქტიკის დარგშიც. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ჯარების ტექნიკური აღჭურვის მაღალმა დონემ და, ცხადია, სამხედრო მოქმედებების პროცესში საბრძოლო გამოცდილების დაგროვებამ.

თანამედროვე ეტაპი

1945 წლის შემდეგ მსოფლიოში ახალი პოლიტიკური რეალობები ჩამოყალიბდა. ფაშისტური ბლოკის დამარცხების შედეგად ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში, სადაც საბჭოთა ჯარები იყვნენ შესული, ძალაუფლება ხელთ იგდეს კომუნისტებმა. ჩამოყალიბდა ე.წ. სოციალისტური ბანაკი, მილიარდიანი მოსახლეობით, რომლის ლიდერი იყო საბჭოთა კავშირი. 1949 წლის 23 სექტემბერს საბჭოთა კავშირმა პირველად გამოცადა თავისი ატომური იარაღი, რითიც ბოლო მოეღო ამერიკელთა მონოპოლიას შეიარაღების ამ დარგში. მსოფლიო ამ ორ ზესახელმწიფოს შორის ბირთვული ომის საშიშროების წინაშე დადგა, რასაც შეეძლო გამოეწვია კაცობრიობის სრული მოსპობა. ამერიკა-საბჭოთა კავშირის კონფრონტაციას, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩართული იყო აგრეთვე მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა, "ცივი ომი" ეწოდა. იგი თითქმის საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა (1991 წ.).

ისტორიული თვალსაზრისით, ამ პერიოდში ზესახელმწიფოებს შორის პირველობისათვის ბრძოლაზე უფრო საინტერესოა ტექნოლოგიური მიღწევები. ბირთვული ენერგიის დამორჩილებამ კაცობრიობას საშუალება მისცა დაეწყო კოსმოსის ათვისება. 1957 წ. საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა, 1961 წელს კი პირველმა განახორციელა კოსმოსში ადამიანის გაფრენა. ამერიკელებმა საპასუხოდ 1969 წ. და შემდეგ წლებში გადასხეს კოსმოსური ექსპედიციები მთვარის ზედაპირზე.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებას, აღმოჩენებს ავტომატიზაციაში და კომპიუტერიზაციას, რამაც კაცობრიობას არნახული შესაძლებლობები მოუტანა. სამწუხაროდ, "ცივი ომის" პირობებში და შემდეგაც, მეცნიერების ეს მიღწევები მნიშვნელოვანწილად სამხედრო ტექნიკის განვითარებისათვის იქნა გამოყენებული.

ბირთვული იარაღის გაჩენა-განვითარებით მსოფლიო სამხედრო კონცეფციების, დოქტრინებისა და სტრატეგიების შეცვლის პრობლემების წინაშე დადგა. შეიარაღება ისტორიაში პირველად გახდა სტრატეგიის განმსაზღვრავი, მაშინ როდესაც ადრე იგი მხოლოდ მის დანამატს წარმოადგენდა. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენით სტრატეგიული შეხედულებების გადასინჯვა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო ძალის მნიშვნელობაზე, შეხედულებათა ევოლუცია მისი გამოყენების საზღვრებსა და ფორმებზე, ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სტრატეგიაში. კერძოდ, სანამ ამერიკელები ატომურ მონოპოლიას ფლობდნენ, და კიდევ რამოდენიმე წელიწადი მას შემდეგ, რაც საბჭოელებმა განახორციელეს ბირთვული იარაღის პირველი გამოცდა, მაგრამ არ ჰქონდათ ამ იარაღის მიზნამდე მიტანის საიმედო საშუალებები, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებული იყო "მასირებული შურისგების" დოქტრინა, ანუ შესაძლო ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მისი ქალაქების მასირებული დაბომბვა ატომური იარაღით.

1957 წ. საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ ცხადყო, რომ საბჭოეთს გააჩნია ისეთი რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ ტვირთების მიტანა კონტინენტთშორის მანძილებზე. ამ ფაქტმა გააქარწყლა მითი ფართომასშტაბიან ომში შეერთებული შტატების უვნებლად გადარჩენის შესახებ, რასაც ეყრდნობოდა "მასირებული შურისგების" სტრატეგია. დაიწყო სამხედრო ძალის გამოყენების ახალი ფორმების ძებნა.

1961 წ. ამერიკის სამხედრო პოლიტიკის ოფიციალურ კურსად აღიარებული იქნა "მოქნილი რეაგირების" სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო საყოველთაო ბირთვული, არამედ შეზღუდული მასშტაბის ომების წარმოებასაც დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებებით. მისი ავტორები თვლიდნენ, რომ "შეზღუდული" ომების წარმოება სამხედრო მოქმედებათა შორეულ ასპარეზებზე ააცილებს ბირთვულ დარტყმებს შეერთებული შტატების

ტერიტორიას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს სხვადასხვა დონის კონფლიქტების სამხედრო გადაწყვეტას.

ყველაზე სერიოზული გამოცდა "შეზღუდული" და ლოკალური ომების თეორიამ ვიეტნამის ომში (1964-1973 წწ.) განიცადა. მისი მსვლელობის პროცესში აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ეტაპზე ჩვეულებრივი იარაღით სამხედრო კონფლიქტების გადაწყვეტა სრული ტექნიკური უპირატესობის პირობებშიც კი შეუძლებელი ყოფილა. ჰენრი კისინჯერმა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა 70-იან წლებში, ამ ფაქტს "თანამედროვეობის პარადოქსი" უწოდა. 1979-1989 წლებში ამ პარადოქსს საბჭოთა არმია გადაეყარა ავღანეთში.

1974 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად იყო მიღებული "შეზღუდული" ბირთვული ომის კონცეფცია. სტრატეგიული დაგეგმარების სპეციალისტთა განმარტებით, შეზღუდვები ბირთვული იარაღის გამოყენებაში, პირველ რიგში, უნდა ეხებოდეს მის კალიბრს, ანუ სიმძლავრეს, და არჩეული სამიზნის ხასიათს. ითვლება, რომ "შეზღუდულ ბირთვულ ომში" შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ტაქტიკური ბირთვული იარაღი და მხოლოდ ბრძოლის ველზე არსებული ობიექტების წინააღმდეგ. მაგრამ მოწინააღმდეგის მიერ ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევაში საპასუხოდ შეიძლება ამოქმედებული იქნას სტრატეგიული ბირთვული იარაღის მთელი არსენალი.

სანამ "ბირთვული კლუბი" მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ხუთი უძლიერესი სახელმწიფოთი (ამერიკა, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი) შემოიფარგლებოდა, საერთაშორისო კონტროლი ამ იარაღზე უფრო შესაძლებელი იყო, მაგრამ ბირთვული ტექნოლოგიის გავრცელებამ XX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში გაზარდა "კლუბის" წევრთა რაოდენობა, რაც ზრდის ატომური იარაღის გამოყენების ალბათობას ლოკალურ ომებში. მაგალითად, ჯერ კიდევ 1973 წლის ოქტომბრის ომის დროს ისრაელსა და არაბული ქვეყნების კოალიციას შორის, ისრაელმა მიწისქვეშა საიდუმლო გვირაბში 78 საათის განმავლობაში 13 ატომური ბომბი ააწყო და მზად იყო მათი გამოყენებისათვის, თუ მდგომარეობა ფრონტებზე მისი ჯარების სასარგებლოდ არ შეიცვლებოდა.

შეიარაღებული ბრძოლის განსხვავებულმა პირობებმა ძირფესვიანად შეცვალეს არა მხოლოდ სტრატეგია, არამედ ჯარების ოპერატიული გამოყენების ფორმებიც. ეს ცვლილებები მიმდინარეობდა ომის ახალი საშუალებების დაგროვებასა და ჩვეულებრივი შეიარაღების სრულყოფასთან ერთად.

რაკეტულ-ბირთვული ომის დროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებათა ოპერაციებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ენიჭება დარტყმებს მოწინააღმდეგის ბირთვული საშუალებების განადგურების, მისი ჯარების დაჯგუფებათა დამარცხებისა და ძალთა შეფარდების თავის სასარგებლოდ შეცვლის მიზნით.

სახმელეთო ჯარების მოქმედების ძირითად სახედ კვლავ შეტევა ითვლება. ოპერატიული გაერთიანებების შეტევით ოპერაციებში მთავარი როლი ენიჭება ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ სარაკეტო ჯარებს, ბირთვული იარაღით აღჭურვილ ავიაციასა და, აგრეთვე, სატანკო, მოტომსროლელ და საჰაერო-სადესანტო ჯარებს.

სამხედრო თეორეტიკოსების აზრით, სატანკო ჯარები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მდგრადობით ბირთვული იარაღის მიმართ, გამოიყენებიან პირველ ემელონში მთავარ მიმართულებებზე.

მეორე მსოფლიო ომთან შედარებით უფრო ხშირად ექნება ადგილი საჰაერო დესანტების გამოყენებას, რაც განაპირობებს საჰაერო-სადესანტო ოპერაციების მომზადებისა და განხორციელების თეორიათა განვითარებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარება ჰპოვა საჰაერო-სახმელეთო ოპერაციის კონცეფციამ. მისი არსი მდგომარეობს მოწინააღმდეგისათვის ერთდროული დარტყმების მიყენებაში მისი წყობის მთელ სიღრმეზე. ამასთან პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება

ექცევა ახალი იარაღის შესაძლებლობათა რეალიზაციას (შორსმოქმედი მაღალი სიზუსტის საშუალებები, რომელთაც მცირე ზომის მოძრავი სამიზნეების განადგურება შეუძლიათ, სადაზვერვო-დამრტყმელი კომპლექსები) და, აგრეთვე, სახმელეთო ჯარების გაზრდილი მობილურობის გამოყენებას, საარმიო ავიაციისა და საჰაერო დესანტების ფართო მხარდაჭერით. ითვლება, რომ ევროპის თეატრზე ბრიგადის საბრძოლო ზემოქმედების ზონის სიღრმე უდრის 15 კმ-ს, დივიზიის – 70 კმ-ს, კორპუსის – 150 კმ-ს, არმიის – 300 კმ-ს.

მეორე მსოფლიო ომთან შედარებით დიდად არ გაზრდილა შეტევის ხაზის სიგანე, მაგრამ ჯარების მობილურობისა და დამრტყმელი ძალის გაზრდის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა შეტევის ტემპები და სიღრმე.

ძირფესვიანად შეიცვალა შეხედულებები სახმელეთო ჯარების თავდაცვითი ოპერაციების ხასიათზე. თავდაცვის ორგანიზება ხდება ბირთვული იარაღის გამოყენებისა და საჰაერო-სახმელეთო შეტევითი ოპერაციის ხასიათის გათვალისწინებით.

მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან ზარალის შემცირების მიზნით მიღებულია ძალებისა და საბრძოლო საშუალებების უფრო მეტი, ვიდრე ადრე, განწერტება (დაშორიშორება) ფრონტზე და განსაკუთრებით სიღრმეში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჯარების ოპერატიული დაწყობის ფორმას.

თანამედროვე თავდაცვითი ოპერაციის დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე მისი მაღალი აქტიურობა. საკვანძო პოზიციების მტკიცე დაცვასთან ერთად სულ უფრო დიდი როლი ენიჭება მანევრს, კონტრდარტყმებსა და კონტრიერიშებს.

ბირთვული იარაღის ფაქტორი უკვე მეექვსე ათეული წელია კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებისაგან იცავს, ვინაიდან ბირთვული არსენალის სრული ამოქმედება – პლანეტარული მასშტაბის კატასტროფა იქნება, რომელმაც ადვილი შესაძლებელია შეიწიროს ჩვენი ცივილიზაცია, მაგრამ დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ლოკალური ომები ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უკვე 200-მდე ლოკალური ომი და სამხედრო კონფლიქტი მოხდა, რომლებმაც ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. ამ ომების უმრავლესობა ამერიკა-საბჭოთა კავშირის (დასავლეთ-აღმოსავლეთის) კონფრონტაციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც 80-იანი წლების ბოლომდე განსაზღვრავდა პოლიტიკურ სიტუაციას მსოფლიოში. ასე, მაგალითად, იაპონიის კაპიტულაციიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ჩინეთში დაიწყო სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი (1946-1949 წწ.), რომლის შედეგად კომუნისტებმა დაამხეს ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობა (ნაციონალისტებმა ამერიკელთა დახმარებით შეინარჩუნეს მხოლოდ კუნძული ტაივანი). მსოფლიოს ამ ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამყარება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დიდი გამარჯვება იყო, რამაც მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება აზიაში.

ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი XX ს-ის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანესი ლოკალური ომები და სამხედრო კონფლიქტები.

კორეის ომი (1950-1953 წწ.). კორეის ნახევარკუნძულის იაპონური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ (1945 წ.) აქ ორი სახელმწიფო ჩამოყალიბდა: კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ქვეყნის ჩრდილო ნაწილში, რომელიც საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ იყო, და კორეის რესპუბლიკა სამხრეთში, რომლის მთავრობას პროამერიკული კურსი ჰქონდა.

1950 წლის 25 ივნისს საბჭოელთა დახმარებით მომზადებული ჩრდილო კორეის ჯარები მოულოდნელად შეიჭრნენ სამხრეთ კორეაში მისი შემოერთების მიზნით. სამხრეთელთა შედარებით სუსტმა არმიამ კომუნისტებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მალე

ქვეყნის დიდი ნაწილი დათმო ქალაქ პუსანის რაიონის გარდა, რომელიც ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს. კორეის რესპუბლიკა კომუნისტური ოკუპაციისაგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იხსნა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების გავლენით საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა დახმარება აღმოეჩინათ აგრესიის მსხვერპლისათვის. ამ მიმართვას არაერთი კაპიტალისტური სახელმწიფო გამოეხმაურა, რომელთაგან თხუთმეტმა კორეაში გაეროს დროშის ქვეშ თავისი სამხედრო კონტინგენტები გაგზავნა. კიდევ ხუთმა სახელმწიფომ სამხრეთ კორეას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი, რომლის სახმელეთო ჯარები, სამხედრო ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს ოპერაციაში კორეის ნახევარკუნძულზე. გაეროს ჯარებმა მალე გააძევეს ჩრდილოელები სამხრეთ კორეიდან. ამ კონტრშეტევის ყველაზე საინტერესო მომენტი ინჩონის (ნავსადგური კორეის დასავლეთ სანაპიროზე) სადესანტო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო პუსანის დამცველთა მდგომარეობის შემსუბუქება და კომუნისტებისათვის უკანდასახევი გზების გადაჭრა. ოპერაცია დაიწყო 1950 წლის 15 სექტემბერს. მასში მონაწილეობდა ორი ამერიკული დივიზია, ინგლისელი "კომანდოსების" რაზმი და სამხრეთკორეელი საზღვაო ქვეითები, სულ 45 000 კაცი (სხვა მონაცემებით: 70 000). დესანტის გადასხმას უზრუნველყოფდნენ საზღვაო ძალები (260 სხვადასხვა კლასის ხომალდი) და 400 თვითმფრინავი. 45-წუთიანი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ დესანტის პირველი ემელონი (ამერიკელი და სამხრეთკორეელი საზღვაო ქვეითები) ნაპირზე გადავიდა, დაიკავა ნავსადგური და გზა გაუხსნა დესანტის მეორე და მესამე ემელონებს, რომლებმაც გადაჭრეს ავტოსტრადა, რკინიგზა და მიაღწენ სამხრეთ კორეის დედაქალაქს - სეულს. ამავე დროს შეტევაზე გადავიდნენ კოალიციის მთავარი ძალები პუსანის რაიონიდან, უკუაგდეს კომუნისტები, შეიჭრნენ ჩრდილო კორეაში და ხელთ იგდეს მისი ძირითადი ნაწილი, ქალაქ ფხენიანის ჩათვლით. ჩრდილოელთა ძალებს სრული განადგურება დაემუქრა, ამიტომ მათ გადასარჩენად კორეაში დაიწყო კომუნისტური ჩინეთის ჯარების ინტერვენცია, რომლებსაც ოფიციალურად მოხალისეთა სტატუსი ჰქონდათ⁴⁸. მრავალრიცხოვანმა ჩინელმა "მოხალისეებმა" და კორეელმა კომუნისტებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის შეჩერება და კვლავ ძველი საზღვრის რაიონში გასვლა. ამ პოზიციებზე 1953 წლის 27 ივლისს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელმაც ფაქტობრივად დააკანონა კორეაში ორი განსხვავებული პოლიტიკური წყობის მქონე სახელმწიფოს არსებობა.

კორეის ომი, როგორც ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. მსოფლიო ომების შემდეგ იგი ყველაზე სისხლისმღვრელი ომი იყო XX ს-ში. დაიღუპა დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი (მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით). ჩინელმა "მოხალისეებმა" ბრძოლებში 960 ათასი კაცი დაკარგეს.

სამხედრო თვალსაზრისით კორეის ომი აღსანიშნავია იმითი, რომ აქ გამოყენებული იქნა რიგი ტექნიკური სიახლეები. მაგალითად, პირველად კორეის ცაში გაიმართა საჰაერო ბრძოლები რეაქტიულ თვითმფრინავებს შორის (ამერიკული F-86 "სეიბრი"⁴⁹ დაუპირისპირდა საბჭოთა МиГ-15-ს⁵⁰); თავისი სიტყვა თქვეს აგრეთვე საბრძოლო შვეულმფრენებმა.

ისრაელის ომები არაბულ ქვეყნებთან (1948-1949, 1956, 1967, 1973 წწ.). გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (1947 წ.) პალესტინაში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ იყო, უნდა შექმნილიყო ორი სახელმწიფო – ებრაული და არაბული. ამან არაბების პროტესტი გამოიწვია, მით უმეტეს, რომ ამ გადაწყვეტილებით, პალესტინის ტერიტორიის ნახევარზე მეტი (14 ათასი კვ.კმ.) უნდა შესულიყო ებრაული სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაშინ როდესაც პალესტინაში იმხანად 1327 ათასი არაბი და 608 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ამიტომ, გამოცხადდა თუ არა ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის

– ჩამოყალიბება, მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყო არაბულმა ქვეყნებმა – ეგვიპტემ, ტრანსიორდანამ, ერაყმა, სირიამ, ლიბანმა და სხვ. ეს იყო ისრაელის პირველი ომი არაბების წინააღმდეგ (1948-1949 წწ.). ოგი დასრულდა ებრაელების გამარჯვებით, რომლებმაც ბრძოლის პროცესში ხელთ იგდეს პალესტინის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის იმ მიწების ნახევარზე მეტი, რომლებიც არაბული სახელმწიფოსათვის იყო განკუთვნილი. პალესტინის დანარჩენი ნაწილები დაიკავეს ტრანსიორდანამ და ეგვიპტემ, ასე, რომ პალესტინაში არაბული სახელმწიფო არ შექმნილა⁵¹.

1956 წლის ოქტომბერში ისრაელი, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად თავს დაესხა ეგვიპტეს. ისრაელის ჯარებმა, რომელთა პირველ ეშელონს ჯავშანსატანკო ნაწილები შეადგენდნენ, ხელთ იგდეს სინის ნახევარკუნძული და მიუახლოვდნენ სუეცის არხს. არხის ზონაში ინგლისელებმა და ფრანგებმა გადმოსხეს დესანტი. ეგვიპტის ტერიტორია ინტერვენტებმა რამდენიმე თვის შემდეგ დატოვეს გაეროს მოთხოვნისა და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის მხრიდან სამხედრო დამუქრების გამო. მათი გასვლის შემდეგ ეგვიპტელებისა და ებრაელების პოზიციებს შორის, 1949-1956 წწ. ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, გაეროს სამშვიდობო ჯარები ჩადგნენ. 1956 წლის კამპანია ისტორიაში შევიდა სუეცის ომის სახელწოდებით.

ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი, რომელიც არაბული სამყაროს ლიდერად ითვლებოდა, ემზადებოდა რევანშისათვის. საბჭოთა კავშირის დახმარებით მან ერთი შეხედვით ძლიერი არმია ჩამოაყალიბა, რომელიც 1967 წლისათვის ითვლიდა 300 000 ჯარისკაცსა და ოფიცერს, 1200 ტანკს, 500 საბრძოლო თვითმფრინავს, 90 საბრძოლო ხომალდს. მასთან ერთად ომის დაწყებისათვის მზად იყვნენ სირია და იორდანია (ორივეს ერთად ჰყავდა 100 000 ჯარისკაცი და ოფიცერი, 750 ტანკი, 130 თვითმფრინავი და 28 საბრძოლო ხომალდი). გარდა ამისა, მოკავშირეებს პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას აღუთქვამდნენ სხვა არაბული ქვეყნებიც.

ვინაიდან ეგვიპტის, სირიისა და იორდანის ჯარები ისრაელის არმიას რაოდენობრივად აღემატებოდნენ (პირადი შემადგენლობით – თითქმის 2-ჯერ, არტილერიით – 2,5-ჯერ, ტანკებითა და თვითმფრინავებით – დაახლოებით 1,5-ჯერ) ნასერი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. მისი მოთხოვნით გაერომ გაიყვანა სამშვიდობო ჯარები სინის ნახევარკუნძულიდან და ეგვიპტელებმა ისრაელის წინააღმდეგ აშკარა სამტრო მოქმედებები დაიწყეს: ბლოკადაში მოაქციეს მისი ნავსადგური აილათი, რომლითაც ისრაელი ინდოეთის ოკეანის აუზში გადის.

ისრაელში ესმოდათ, რომ არაბების მიზანი ისრაელის სრული მოსპობა იყო, ამიტომ, ინიციატივის ხელში ჩაგდების მიზნით გადაწყდა პირველებს განეხორციელებინათ დარტყმა. 1967 წლის 5 ივნისს დილაადრიან ისრაელის თვითმფრინავებმა მოულოდნელი მასირებული დარტყმები მიაყენეს ეგვიპტის აეროდრომებს და, ფაქტობრივად, მიწაზევე მოსპეს ნასერის ავიაცია. მოგვიანებით განადგურებული იქნა სირიისა და იორდანის სამხედრო-საჰაერო ძალები.

ჰაერში გაბატონების შემდეგ ისრაელის ჯარები სინის ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ. მათ საკმაოდ ადვილად გატეხეს ეგვიპტელთა წინააღმდეგობა, რომელთა სარდლობამ გამოამჟღავნა სრული უუნარობა და დაბალი პროფესიონალიზმი, და სამი დღის შემდეგ მიაღწიეს სუეცის არხს. კიდევ ერთი დღე დაჭირდა ისრაელის არმიას სინის ნახევარკუნძულის სრული ოკუპაციისათვის. ტყვედ ჩავარდა მრავალი ეგვიპტელი სამხედრო მოსამსახურე.

სინის კამპანიის პარალელურად გააფთრებული ბრძოლები გაიმართა იორდანისა და სირიის მიმართულებებზე. ებრაელებმა აქაც რამოდენიმე დღეში მიაღწიეს გადამწვეტ უპირატესობას. იორდანის ჯარებმა დათმეს აღმოსავლეთ პალესტინა, სირიელებმა კი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გოლანის მაღლობები.

10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭოს მოწოდებით ცეცხლი შეწყვეტილი იქნა ყველა ფრონტზე. ამიტომ ამ ომს, რომელმაც ისრაელს დიდი სამხედრო-პოლიტიკური წარმატება მოუტანა, ექვსდღიანი ომი ეწოდა.

ისრაელმა ექვსდღიან ომში დაკარგა 800 მოკლული, დაახლოებით 200 ტანკი და 100-მდე თვითმფრინავი. არაბებმა – 40 ათასამდე მოკლული და ტყვე, 900 ტანკი და 360 საბრძოლო თვითმფრინავი.

მთავარი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ისრაელის არმიის ასეთი სწრაფი და შთამბეჭდავი გამარჯვება რიცხოვრივად გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეზე იყო: 1) არაბთა ჯარების დაბალი საბრძოლო მომზადება და მორალური სული; 2) ისრაელის მიერ ინიციატივის ხელში ჩაგდება და პირველი დარტყმის მიყენება.

1956 წლის კამპანიისაგან განსხვავებით ებრაელებმა ამჯერად აღარ დატოვეს ოკუპირებული ტერიტორიები, რასაც იმითი ხსნიდნენ, რომ ეს მიწები მათ ჭირდებოდათ ბუფერული ზონების შესაქმნელად, ისრაელის შემდგომი უსაფრთხოებისათვის. მაგრამ, არაბული სახელმწიფოების რეგულარულ არმიებზე იოლი გამარჯვების შემდეგ, ისრაელი წააწყდა პალესტინელი არაბების წინააღმდეგობას, რისი დამლევაც, პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. ახლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1,5 მილიონი პალესტინელი ცხოვრობდა, კიდევ რამოდენიმე ასეული ათასი პალესტინელი იყო განთავსებული ლტოლვილთა ბანაკებში იორდანისა და ლიბანის ტერიტორიებზე. ეს მასა "პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის" (შეიქმნა 1964 წ.) შევსების უშრეტ წყაროს წარმოადგენდა, რომელიც პარტიზანულ-ტერორისტული მეთოდებით აგრძელებდა ბრძოლას ისრაელის წინააღმდეგ.

ეგვიპტის ახალი პრეზიდენტი ანვარ სადათი პალესტინის პრობლემის პოლიტიკური მოგვარების მომხრე იყო, მაგრამ ტერიტორიების დათმობა არ სურდა. ამიტომ რამდენიმე წლის უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ მან ჩათვალა, რომ მხოლოდ ახალი ომით შეიძლებოდა სიტუაციის ჩიხიდან გამოყვანა.

ეგვიპტემ და სირიამ კვლავ საბჭოთა კავშირის დახმარებით აღიდგინეს სამხედრო პოტენციალი და 1973 წლის შემოდგომაზე უკვე მზად იყვნენ აქტიური მოქმედებებისათვის. კერძოდ, ეგვიპტის შეიარაღებული ძალები მობილიზაციის შემდეგ ითვლიდნენ 833 000 კაცს, 2200 ტანკს, 690 თვითმფრინავს, 190 შვეულმფრენსა და 100 საბრძოლო ხომალდს. სირიისა – 332 000 კაცს, 1350 ტანკს, 321 საბრძოლო თვითმფრინავს და 28 ხომალდს. გარდა ამისა, სირიის ფრონტზე ზოგი სხვა არაბული სახელმწიფოს ჯარებიც მოქმედებდა. მათ შორის, ერაყის გაძლიერებული სატანკო დივიზია (20 000 კაცი, 300 ტანკი, 300 ჯავშანტანკსპორტიორი), იორდანის, საუდის არაბეთისა და მაროკოს ჯავშანსატანკო და მექანიზებული ბრიგადები და სხვ.).

ისრაელს მობილიზაციის შემდეგ ჰყავდა 415 000 ჯარისკაცი და ოფიცერი, 1700 ტანკი, 690 თვითმფრინავი, 84 შვეულმფრენი და 49 საბრძოლო ხომალდი.

ამრიგად, ეგვიპტისა და სირიის შეიარაღებული ძალები ისრაელის არმიას აღემატებოდნენ: ცოცხალი ძალით – 2,5-ჯერ, ტანკებით – 2-ჯერ, თვითმფრინავებით – 1,5-ჯერ.

1973 წლის 6 ოქტომბერს, იუდაისტური დღესასწაულის, იომ-ქიფურის, დღეს⁵² ეგვიპტელთა ავიაციამ დაბომბა ისრაელის აეროდრომები სინის ნახევარკუნძულზე და იერიში მიიტანა სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ებრაელთა პოზიციებზე – "ბარ-ლევის ხაზზე". ამავე დროს სირიის ჯარებმა ერთსაათიანი საავიაციო და საარტილერიო მომზადების შემდეგ გოლანის მაღლობებს შეუტიეს და რამოდენიმე კილომეტრით წინ წაიწიეს.

თუმცა ისრაელის სარდლობას გააჩნდა ცნობები არაბთა საომარ სამზადისზე, 6 ოქტომბრის შეტევა მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. ბარ-ლევის ხაზის გარნიზონმა ვერ შეძლო მოწინავე პოზიციების შენარჩუნება. შეტევაზე გადასულმა ეგვიპტელებმა რადენიმე ადგილას გადალახეს არხი და მის აღმოსავლეთ ნაპირზე 10–12 კმ-ის სიღრმის ორი საარმიო პლაცდარმი შექმნეს.

ისრაელის თვითმფრინავები, რომლებიც ცდილობდნენ არხის ფორსირების ჩაშლას, მოგერიებულნი იქნენ საბჭოთა წარმოების საზენიტო რაკეტებით. გარდა ამისა, ეგვიპტელებმა 7 ოქტომბერს ღამით, მოწინააღმდეგის დაჯგუფების ზურგში შვეულმფრენებით სამი სადესანტო ბატალიონი გადასხეს, რათა ხელთ ეგდოთ სტრატეგიული სიმაღლეები ისრაელიდან გადმოსროლილი რეზერვების შესაჩერებლად.

პირველი წარუმატებლობის შემდეგ ისრაელის ჯარებმა მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება და ინიციატივის ხელში ჩაგდება. შვეულმფრენებით გადასხმული დესანტი განადგურებული და დატყვევებული იქნა, შეჩერებული იყო შეტევაზე გადასული ეგვიპტის ჯარებიც. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულეს ტანკსაწინაღო რეაქტიული ჭურვებით შეიარაღებულმა შვეულმფრენებმა. მაგალითად, 14 ოქტომბერს 18-მა ასეთმა შვეულმფრენმა მოსპო შეტევაზე გადასული ეგვიპტური ბრიგადის ტანკების ნახევარზე მეტი. 16 ოქტომბერს ისრაელის ჯარები დიდი მწარე ტბის რაიონში კვლავ გაიჭრნენ სუეცის არხთან, გადალახეს იგი, და შემდეგი დღეების განმავლობაში იმდენად გააფართოვეს პლაცდარმი, რომ გარემოცვაში მოაქციეს არხის აღმოსავლეთ ნაპირზე დარჩენილი ეგვიპტის მე-3 არმია. მძიმე მდგომარეობა შეექმნა ფრონტის ჩრდილო მონაკვეთზე მოქმედ მე-2 არმიასაც. ეს უკვე ნამდვილი გარდატეხა იყო ომის მსვლელობაში. 25 ოქტომბერს გაეროს ჩარევით ეგვიპტე-ისრაელის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტა მოხდა.

ორი დღით ადრე შეწყდა ცეცხლი სირია-ისრაელის ფრონტზეც. ისრაელის ჯარებმა აქაც შეძლეს არაბების უკუგდება და დამასკის მისადგომებთან გავიდნენ.

სამხედრო სპეციალისტები, რომლებმაც ყურადღებით შეისწავლეს 1973 წლის ოქტომბრის ომი, აღნიშნავენ, რომ იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ახლო აღმოსავლეთის წინა სამი ომისაგან. მათი დასკვნით 1956 წლის ომი იყო "ტანკების ომი", 1967 წლის ომი – "საჰაერო ომი", 1973 წლის ომი კი ბრძოლის ახალი საშუალებების – ჰაერსაწინაღო და ტანკსაწინაღო რაკეტების, მართვადი რეაქტიული ჭურვების – ომი. სპეციალისტების გამოთვლით, ისრაელის ავიაციის დანაკარგების 50%-ზე მეტი, ხოლო ტანკების 70%-მდე, ჰერსაწინაღო და ტანკსაწინაღო რაკეტებით იყო გამოწვეული. ეს ახალი მოვლენა იყო სამხედრო საქმეში, ვინაიდან მანამდე ტანკებს მეტწილად ანადგურებდნენ ჩვეულებრივი ტანკსაწინაღო საშუალებებით (ტანკსაწინაღო არტილერია და მოწინააღმდეგის ტანკები), ხოლო თვითმფრინავებს – საჰაერო ბრძოლებში.

1973 წლის ომი ყველაზე დაძაბული იყო ისრაელ-არაბულ ომებში. სხვადასხვა მონაცემებით ისრაელმა ამ ომში დაკარგა 2412-4000 მოკლული და 3900-12 000 დაჭრილი, არაბებმა დაკარგეს 7600-21 000 მოკლული და 8000-25 000 დაჭრილი.

1974 წელს ეგვიპტის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა საბჭოთა სამხედრო დახმარებაზე, რომელიც მოსკოვის პოლიტიკური გავლენის ბერკეტს წარმოადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების შუამდგომლობით ისრაელთან მიღწეული იყო სამშვიდობო შეთანხმება, რომლის შედეგად ისრაელმა დათმო ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილი (სინის ნახევარკუნძული და გარკვეული ტერიტორია სირიაში). მიუხედავად ამისა, პალესტინა მთლიანად ისრაელის კონტროლის ქვეშ დარჩა, რაც პალესტინელი არაბების პარტიზანული მოძრაობის გაგრძელების მთავარი მიზეზია, რომელსაც 80-90-იანი წლებიდან მასობრივი სახალხო გამოსვლებიც დაერთო.

ვიეტნამის ომი (1964-1973 წწ.). ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყანა – ვიეტნამი 1954 წლიდან ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ჩრდილო ნაწილს კომუნისტები მართავდნენ, სამხრეთში კი ამერიკის მოკავშირე მთავრობა იყო. სადემარკაციო ხაზი მათ შორის გადიოდა მე-17 პარალელზე. კომუნისტები ცდილობდნენ სამხრეთ ვიეტნამის ხელში ჩაგდებასაც. იქ მოქმედმა კომუნისტურმა ძალებმა (მათი ორგანიზაცია ცნობილი გახდა ვიეტკონგის სახელით) 1957 წლიდან პარტიზანული ბრძოლა დაიწყეს სამხრეთის ბურჟუაზიული მთავრობის

დამხობის მიზნით. ვიეტკონგის რაზმები უკვე 1961 წლის დასასრულისათვის აკონტროლებდნენ სამხრეთ ვიეტნამის სასოფლო რაიონების მნიშვნელოვან ნაწილს.

ამერიკელებმა 1960 წლიდან სამხრეთის ანტიკომუნისტურ მთავრობას სამხედრო დახმარება გაუზარდეს, ვიეტნამში მიავლინეს ათასობით თავისი სამხედრო მრჩეველი და სპეციალისტი. მიუხედავად ამისა, ვიეტკონგელები და ჩრდილო ვიეტნამის რეგულარული ნაწილები კვლავ წარმატებით ოპერაციებს ახორციელებდნენ სამხრეთის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ, თავს ესხმოდნენ ამერიკელებსაც. ამის პასუხად, ამერიკის პრეზიდენტმა ჯონსონმა თავის ავიაციას უბრძანა ჩრდილო ვიეტნამში გარკვეული პუნქტების დაბომბვა (1964 წ.), საიდანაც ვიეტკონგი იღებდა დახმარებას, ხოლო როდესაც ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო (ამერიკული დაბომბვების პასუხად საბჭოთა კავშირმა ვიეტნამელი კომუნისტები რეაქტიული გამანადგურებლებით (МиГ-17)⁵³ და საზენიტო რაკეტებით შეაიარაღა⁵⁴), დაიწყო სამხრეთ ვიეტნამში ამერიკული სახმელეთო შენაერთების ზრდა. 1965 წლისათვის ვიეტნამში 155 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი იმყოფებოდა, 1966 წელს – 385,3 ათასი, 1967 წელს – 485,8 ათასი. ამერიკელები სრულმასშტაბიან ომში ჩაბმულები აღმოჩნდნენ ვიეტნამელი კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას საბჭოთა კავშირიდან და ჩინეთიდან იღებდნენ. ეს იყო შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და არაპოპულარული ომი. 1969 წლისათვის ამერიკულმა კონტინგენტმა ვიეტნამში 543 ათასს გადააჭარბა. გარდა ამისა, სამხრეთ ვიეტნამის სამთავრობო არმია ნახევარ მილიონ ადამიანს ითვლიდა. კიდევ 62 ათასი ჯარისკაცი გააგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის მოკავშირე ქვეყნებმა წყნარი ოკეანის აუზიდან – ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ, სამხრეთ კორეამ, ტაილანდმა, ფილიპინებმა. სახმელეთო ძალებს მხარს უჭერდა ამერიკის მე-7 სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სტრატეგიული ავიაცია.

ძალთა ასეთი დაჯგუფების შექმნამ ამერიკულ სარდლობას საშუალება მისცა ფართო მასშტაბის შეტევითი და სადამსჯელო ოპერაციები დაეწყო. ვიეტკონგი (250-300 ათასი მებრძოლი, დამხმარე რაზმებთან ერთად – 1 მილიონზე მეტი) და ჩრდილო ვიეტნამის რეგულარული არმია დიდ ზარალს განიცდიდნენ. ამასთან ამერიკელები ძლიერად ბომბავდნენ სამხედრო ობიექტებს ჩრდილო ვიეტნამში და ე.წ. ”ხო ში მინის”⁵⁵ ბილიკს”, კომუნისტების სტრატეგიულ არტერიას, რომელიც ლაოსისა და კამბოჯის ჯუნგლებზე გავლით ერთმანეთთან აკავშირებდა ვიეტნამის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს. ამ გზით ხდებოდა ვიეტკონგისათვის ჩრდილოეთიდან იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდება და მისი რაზმების შევსება ახალი ძალებით.

ხო ში მინმა და ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარსარდალმა, გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა, ხანგრძლივი პარტიზანული ომის სტრატეგია შეიმუშავეს. გენერალმა ზიაპმა, რომელიც თავის დროზე წარმატებით იბრძოდა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ, პარტიზანული ომი მეცნიერებად აქცია. ამერიკელებს ინდოჩინეთის ჯუნგლებში მრავალი სასტიკი ბრძოლის გადატანა მოუხდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმართულა იმ ფორმით, როგორც ამას ოფიციალური სამხედრო ხელოვნება ასწავლიდა.

ვიეტნამის ომი პირველი დიდი სამხედრო კონფლიქტი იყო, რომელიც ფართოდ შუქდებოდა ტელევიზიით. მილიონობით ამერიკელი ყოველ საღამოს ტელეეკრანზე უყურებდა კადრებს ოკეანის გაღმა წარმოებული ბატალიებიდან და საზოგადოებაში, პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, თანდათანობით ომის საწინააღმდეგო განწყობილებები ძლიერდებოდა.

ანტისაომარი ტენდენციები ამერიკულ საზოგადოებაში მას შემდეგ უფრო მეტად გაიზარდა, რაც გამომჟღავნდა ამერიკელი სამხედროების მიერ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკის ფაქტები. (მაგალითად, 1968 წლის მარტში გახმაურდა ამბავი სოფელ მი-ლაის მკვიდრი 200 გლეხის მოკვლის შესახებ.) ამერიკის წინა ომებისაგან

განსხვავებით, შინ დაბრუნებულ ამერიკელ ჯარისკაცებს თანამემამულეები სულ უფრო და უფრო მეტი გალიზიანებით ხვდებოდნენ. ომისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას ზრდიდა ის ფაქტიც, რომ მასში ძირითადად მონაწილეობდნენ ახალწვეულები (ამერიკას ოფიციალურად არ გამოუცხადებია ომი და, ამიტომ, არ ხდებოდა რეზერვისტების გაწვევა).

ყოველივე ზემოთქმული, გაჭიანურებული ომით გამოწვეულ იმედგაცრუებასთან ერთად, ვიეტნამში მყოფი საექსპედიციო არმიის მორალური ხრწნის მიზეზი გახდა, რაც გამოიხატებოდა ნარკომანიისა და კორუფციის ზრდით, ცალკეულ შემთხვევებში კი ჯარისკაცების მიერ საძულველი ოფიცრებისა და სერჟანტების მკვლელობის ფაქტებით. პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაცია იძულებული გახდა 1971 წლის ბოლოსათვის ამერიკული კონტინგენტი ინდოჩინეთში 160 000 კაცამდე შეემცირებინა და კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო ოპერაციების ძირითადი სიმძიმე სამხრეთ ვიეტნამის არმიისათვის დაეკისრებინა.

კომუნისტებმა კარგად გამოიყენეს "ვიეტნამიზაციის" პოლიტიკის შედეგები და 1972 წლის მარტში ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთის სამთავრობო ჯარებმა 1972 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე ამერიკული ავიაციის მხარდაჭერით მოახერხეს უკან დაებრუნებინათ გაზაფხულზე კომუნისტების მიერ ხელში ჩაგდებული ტერიტორიების ნაწილი, ამერიკელები განუხრელად ამცირებდნენ თავისი ჯარების რაოდენობას და 1973 წ. მარტში ვიეტნამი უკანასკნელმა ამერიკულმა სამხედრო დანაყოფებმა დატოვეს. ასეთი იყო ვიეტნამში ამერიკული ჩარევის ფინალი.

კომუნისტებმა მალე ახალი სტრატეგიული შეტევა დაიწყეს სამხრეთის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ (ოპერაცია "ხოშიმინი"), გატეხეს მათი წინააღმდეგობა და 1975 წლის 30 აპრილს სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქში, საიგონში, შევიდნენ. ვიეტნამი ერთიანი სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. ის სამხრეთვიეტნამელები, რომლებიც ანტიკომუნისტურ მთავრობას უჭერდნენ მხარს და საზღვარგარეთ გაქცევა ვერ მოასწრეს, კომუნისტების მიერ "გამოსწორების" მიზნით სასოფლო რაიონებში იყვნენ დეპორტირებულნი.

ამერიკული წყაროებით 1961-1973 წწ. ვიეტნამში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების დროს დაიღუპა 2 მილიონზე მეტი ადამიანი (მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით). ომში მონაწილეობა მიიღო 2,5 მილიონმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელთაგან დაიღუპა 56 000 და დაიჭრა – 304 000.

ომის მსვლელობაში ორივე მხრემ მიიღო შეიარაღებული ძალების სახეობებისა და ჯარების გვარეობების საბრძოლო გამოყენების გამოცდილება ინდოჩინეთის თეატრზე. კომუნისტების სტრატეგიას საფუძვლად ედო "სოლების" იდეა. მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია არ წარმოადგენდა მთლიან მასივს, არამედ წააგავდა სოლისებურ რაიონებს, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამს იზოლირებულ ნაწილებად ყოფდნენ. "სოლების" სტრატეგია მოწინააღმდეგეს აიძულებდა დაექსაქსა თავისი ძალები და ემოქმედა მისთვის არახელსაყრელ პირობებში.

საბრძოლო მოქმედებათა ტაქტიკური ხერხები სამხედრო ვითარებასა და ადგილის ხასიათზე იყო დამოკიდებული. აქ არ იყო ერთიანი ფრონტები, საბრძოლო მოქმედებები კერისებულ ხასიათს ატარებდნენ. ჯარებს, როგორც წესი, არ ჰქონიათ მუდმივი საბრძოლო შეხება. ჰაერში, ზღვაზე და საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებებში ამერიკელთა აბსოლუტური უპირატესობის გამო კომუნისტური სარდლობა ბრძოლის პარტიზანულ ხერხებს მიმართავდა. კონტროლირებად რაიონებზე დაყრდნობით, რომლებიც ღრმად იყვნენ შეჭრილი ამერიკულ-საიგონური ჯარების ხელში მყოფ ზონებში, ვიეტკონგელები პოლკიდან დივიზიამდე ძალებით სისტემატურად თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგის ობიექტებს და, ამოცანის შესრულების შემდეგ, თავს აფარებდნენ წინასწარ მომზადებულ ბაზებს მთებსა და ჯუნგლებში, ოპერაციის ჩატარების ადგილიდან ხშირად ათობით და ასობით კილომეტრის მოშორებით. ასეთი ტაქტიკა ამერიკელებს აიძულებდა საყრდენ პუნქტებში მსხვილი გარნიზონები ჰყოლოდათ,

რიცხოვნობით ბატალიონიდან პოლკამდე. ვიეტკონგელები ხშირად მიმართავდნენ აგრეთვე დივერსიებს, ჩასაფრებებს და ა.შ.

სამხედრო მოქმედებათა თეატრის განსაკუთრებული ხასიათი და მოწინააღმდეგის პარტიზანული ტაქტიკა ამერიკელთა სამხედრო ხელოვნებაზეც ახდენდა გავლენას. ვიეტნამში არ ჩატარებულა "კლასიკური" ოპერაციები სავსე არმიებისა და, მით უმეტეს, არმიათა ჯგუფის ტიპის გაერთიანებების მონაწილეობით, როგორც ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომსა და კორეის ომში.

თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ამერიკული სარდლობა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობას იყენებდა. სამხედრო მოქმედებები ვითარდებოდა ე.წ. "ზეთის ლაქების სტრატეგიის" მიხედვით, რაც გულისხმობდა ზღვისპირა ბაზების გარშემო მდებარე ტერიტორიების ხელში ჩაგდებასა და თანდათანობით გაფართოვებას, მათი გაერთიანებისა და კომუნისტური ძალების მოქმედებათა პარალიზების მიზნით.

ამერიკული და სამხრეთ ვიეტნამური სამთავრობო ჯარების მოქმედების მთავარი ხერხი იყო შეტევა, რომელსაც წინ უძღოდა ავიაციის, ფლოტისა და არტილერიის ძალებით განხორციელებული მძლავრი დარტყმები. თავდაცვას მიმართავდნენ სამხედრო-საზღვაო ბაზების, სამხედრო-სამრეწველო რაიონებისა და ობიექტების, აეროდრომებისა და საგზაო კვანძების შესანარჩუნებლად. ჯარების საბრძოლო წყობა ერთი-ორი ემელონისაგან შედგებოდა. პირველ ემელონში სამხრეთ ვიეტნამის სამთავრობო ჯარები დგებოდნენ, მეორეში – ამერიკელები.

ამერიკის შეიარაღებული ძალების ძირითად ნაწილს ვიეტნამში სახმელეთო ჯარები წარმოადგენდნენ, ძირითადად, ქვეითი და საჰაერო-სადესანტო დივიზიები. ომის მსვლელობაში ამერიკელებმა პირველად გამოცადეს, აგრეთვე, აერომობილური დივიზია, რომელშიც შედიოდა სამი საპარაშუტო-სადესანტო და ექვსი ქვეითი (აერომობილური) ბატალიონი, 105-მმ ჰაუბიცების სამი დივიზიონი, საარმიო ავიაციის (შვეულმფრენების) ჯგუფი და სხვა სპეციალური ნაწილები და ქვედანაყოფები. აერომობილური დივიზიის პირადი შემადგენლობის რაოდენობა 16 000 კაცს აღემატებოდა. დივიზიაში იყო 428 შვეულმფრენი.

ამერიკის სახმელეთო ჯარების მოქმედებებისათვის ვიეტნამის ომის დროს დამახასიათებელი იყო შვეულმფრენების მასობრივი გამოყენება; ძალიან ფართოდ გამოიყენებოდა სავსე არტილერია; ჯავშანსატანკო ჯარები კი გამოიყენებოდნენ შეზღუდულად.

ამერიკელები ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე ქიმიურ იარაღს, დეფოლიანტებსა და ჰერბიციდებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის მწვანე საფარის მოსასპობად, რათა გაენადგურებინათ ვიეტკონგელთა სასურსათო ბაზა და გაენიღებინათ მათი ფარული ბანაკები. შხამქიმიკატების მოქმედება განიცადა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის თითქმის 50%-მა და კამბოჯისა და ლაოსის ზოგმა რაიონმა. რაც შეეხება ნაპალმის ტიპის საწვავ ნარევებს, მათი მოქმედება ნოტიო ტროპიკების პირობებში ეფექტური არ ყოფილა.

ომი ავღანეთში (1979-1988 წწ.). ავღანეთი მუსლიმური სახელმწიფოა შუა აღმოსავლეთში, მრავალეროვანი მოსახლეობით. გაბატონებული ეთნოსი – ავღანელები, ანუ ფუშთუნები, მოსახლეობის 55%-ს შეადგენენ. გარდა ამისა ავღანეთში ცხოვრობენ ტაჯიკები (მოსახლეობის 20%), უზბეკები (9%), ხაზარელები (9%) და სხვ. აზიის სიღრმეში მდებარე ავღანეთი ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი (დაახლოებით 90%) წერა-კითხვის უცოდინარია.

1973 წელს ავღანეთში სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილი იქნა მონარქიული წყობილება და გამოცხადდა რესპუბლიკა, მაგრამ ამას ავღანელი ხალხისათვის სიკეთე არ მოუტანია. პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის გამწვავდა ბრძოლა პირველობისათვის, რასაც

მოჰყვა ახალი გადატრიალება 1978 წლის აპრილში და ძალაუფლება ხელთ იგდო ე.წ. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნურ მუჰამედ თარაქიმ. რესპუბლიკის ადრინდელი მეთაური – დაუდი – მოჰკლეს. თარაქის რეჟიმი, როგორც მემარცხენე, საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით სარგებლობდა, მაგრამ ახალი გადატრიალების შედეგად 1979 წლის სექტემბერში თარაქი მოკლული იქნა და ავღანეთის სათავეში მოვიდა მმართველი სახალხო-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფრთის ლიდერი – ამინი. სისხლიანმა გადატრიალებებმა მკვეთრად დამაბეს ვითარება ავღანეთში, მითუმეტეს, რომ სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ, რომელიც პატრიარქალურ და ნახევრადფეოდალურ ავღანეთში სწრაფი ტემპებით ცდილობდა სოციალიზმის აშენებას, ნამდვილი ტერორი გააჩაღა მემამულეების, ბურჟუაზიისა და მუსლიმური სამღვდელოების წინააღმდეგ. პასუხად, ავღანეთის რიგ რაიონებში დაიწყო გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ, აჯანყებები მოხდა ჰერათში, ყანდაჰარში, ჯალალაბადსა და სხვა ქალაქებში. რეჟიმის ბევრი მოწინააღმდეგე პაკისტანსა და ირანში გადაიხვეწა, სადაც შეუდგა შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბებას. 1978 წლის ივნისში რამოდენიმე ემიგრანტული დაჯგუფების გაერთიანებით ჩამოყალიბდა ავღანეთის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ სურდა ავღანეთის გაშვება თავისი გავლენის სფეროდან. ამასთან, მოსკოვი არც ამინს ენდობოდა, და ამიტომ ავღანეთში 1979 წლის დეკემბერში ახალი გადატრიალება იქნა მოწყობილი: საბჭოთა სპეცსამსახურების საბრძოლო ჯგუფებმა ამინის სასახლე იერიშით აიღეს (ოპერაციის კოდური სახელწოდება იყო "შტურმ-333"), თვითონ ამინი კი მოჰკლეს⁵⁶. ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურად დასმული იქნა ბაბრაქ ქარმალი, რომლის დასაცავად საბჭოთა კავშირმა ავღანეთში თავისი ჯარების ე.წ. "შეზღუდული კონტინგენტი" შეიყვანა, რომელიც 100 ათას კაცს ითვლიდა.

ავღანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად ქარმალისა და მისი რეჟიმის დამცველი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ აღდგა. საბჭოთა ხელმძღვანელობას არ გაუთვალისწინებია რა შედეგს მოიტანდა ღია ინტერვენცია ავღანეთში. მოსკოვმა არად ჩააგდო ისტორიული გამოცდილება, რომელიც უჩვენებს, რომ ავღანელები მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ხალხია. XVIII ს-ში ისინი მედგრად იბრძოდნენ ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, XIX-XX ს-ის დასაწყისში კი ინგლისელი კოლონიზატორების შეტევები მოიგერიეს.

მასობრივი პროტესტის ერთ-ერთი ფორმა გახდა ავღანეთიდან მოსახლეობის გადახვეწა მეზობელ ირანსა და პაკისტანში. 1982 წლისათვის ამ ქვეყნებში უკვე 3 მილიონზე მეტმა ავღანელმა ლტოლვილმა მოიყარა თავი (ავღანეთის მოსახლეობის 20%), რომელთაგან 2,5 მილიონი ჩრდილო პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარე 225 ლტოლვილთა ბანაკში ცხოვრობდა. ლტოლვილთა ბანაკებში კონცენტრირებული ახალგაზრდობა გახდა ძირითადი წყარო შეიარაღებული რაზმების დასაკომპლექტებლად, რომლებიც ავღანეთში ბრუნდებოდნენ საბჭოთა ჯარებთან საბრძოლველად. ამ რაზმების მომზადება-აღჭურვის საქმეში ავღანურ ოპოზიციას დიდ დახმარებას უწევდნენ პაკისტანი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი და ზოგიერთი სხვა ისლამური სახელმწიფო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ავღანეთის ტერიტორიაზე შეჭრილი ოპოზიციის რაზმები მოქმედებდნენ პარტიზანული ტაქტიკით: მოულოდნელად თავს ესხმოდნენ მცირე გარნიზონებს, საჯარისო კოლონებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, აზიანებდნენ კავშირგაბმულობის ხაზებს, ანგრევდნენ ხიდებსა და გზებს, დევნიდნენ და სპობდნენ სახალხო-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებსა და მათ მხარდამჭერებს. ქარმალის სამთავრობო ძალოვანი სტრუქტურები (არმია, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების ჯარები) უძლურნი იყვნენ პარტიზანების წინაშე,

ამიტომ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების ესკალაციაში ჩათრეული აღმოჩნდა საბჭოთა სამხედრო კონტინგენტი. ავღანეთი საბჭოთა კავშირისათვის თავისებურ "ვიეტნამად" იქცა, რომელიც 9 წლის განმავლობაში გაიარა 500 ათასმა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურემ (არაოფიციალური ცნობებით - 1 მილიონმა).

ხანგრძლივი ომის პირობებში ავღანეთის განმათავისუფლებელ ძალებში გამოიკვეთა რამოდენიმე ნიჭიერი "საველე მეთაური" და სამხედრო ორგანიზატორი. კერძოდ, "ავღანეთის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის" სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფუშთუნი ჰიქმათიარი, "ფანჯშერის ლომად" წოდებული ტაჯიკი აჰმადშაჰ მასუდი⁵⁷ და სხვ. საინტერესო პიროვნება იყო ავღანეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები ყირგიზების თავკაცი, მოხუცი რაჰმანყულ ხანი, რომელიც ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ებრძოდა კომუნისტებს შუა აზიაში, და ამჯერადაც წაუძღვა მათ წინააღმდეგ თავის მეომრებს.

ავღანელი პარტიზანები მოქმედებდნენ ცალკეულ ჯგუფებად, რიცხვით 30-40-დან 500-1000 კაცამდე. საბრძოლო მოქმედებების ხასიათსა და მეთოდებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები. პარტიზანულ ტაქტიკას ხელს უწყობდა მწელადმისადგომი მთებისა და ხეობების სიმრავლე. მართალია, ავღანეთის მთების დიდი ნაწილი უტყეოა, რაც საბჭოთა საჰაერო დაზვერვას საშუალებას აძლევდა შედარებით ადვილად აღმოეჩინა პარტიზანთა ჯგუფები, მაგრამ იგივე მთები ზღუდავდნენ მათ წინააღმდეგ რეგულარული ჯარების გამოყენების საშუალებას.

პარტიზანთა ბრძოლის ტაქტიკა სხვადასხვანაირი იყო. მათი მოქმედების ძირითადი ხერხები იყო ჩასაფრება, მოულოდნელი ცეცხლოვანი დარტყმები მოწინააღმდეგის ფალანგებსა და ზურგში, გარშემორტყმის იმიტაცია პანიკის შექმნის მიზნით... პარტიზანების საყვარელი იარაღი იყო შორსსასროლი შაშხანა ოპტიკური სამიზნით, რომელიც მთებში ავტომატზე უფრო ეფექტურია. ჩასაფრებული ავღანელები, როგორც წესი, კოლონიდან გაატარებდნენ ხოლმე დაზვერვას, ტანკებს, ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, ჯავშანტრანსპორტიორებს და დამიზნებით ცეცხლს უხსნიდნენ ავტომანქანებს, რომლებზეც ჯარისკაცები ისხდნენ, რათა მთავარი ძალებისაგან მოეწყვიტათ ცალკეული ქვედანაყოფები და გაენადგურებინათ ისინი. ასეთი ჩასაფრებები ხდებოდა ხიდებთან, ხეობებში, სერპანტინებზე, იქ სადაც ტრანსპორტი იძულებულია სიჩქარეს მოუკლოს. ბრძოლის დროს მეომრები თავს აფარებდნენ გამოქვაბულებს, კლდეებს, ქვის კედლებს. სპეციალური ჯგუფები ახორციელებდნენ ტერიტორიის დანადმვას.

ავღანელ პარტიზანებთან ბრძოლა განსაკუთრებით გამწვანდა 1986-1987 წლებიდან, როდესაც მათ ამერიკისგან "სტინგერები" მიიღეს⁵⁸. ამის შემდეგ საბჭოთა ავიაციის დაუსჯელ ფრენას ავღანეთის ცაში ბოლო მოეღო, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა საერთო ოპერატიულ-ტაქტიკური ვითარება.

ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში უკვე დაწყებული იყო ე.წ. გარდაქმნა და ქვეყანაში შექმნილი როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სიტუაცია ავღანეთის გაჭიანურებული ომი შეწყვეტას მოითხოვდა. 1988 წელს ავღანეთიდან დაიწყო საბჭოთა ჯარების გაყვანის პროცესი, რომელიც დასრულდა 1989 წლის 15 თებერვალს.

ავღანეთის ომი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი იყო XX ს-ის მეორე ნახევრის ლოკალურ ომებში. ოფიციალური მონაცემებით ავღანეთში მოკლული იყო დაახლოებით 14 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი (არაოფიციალური მონაცემებით – 50 ათასი), დასახიჩრდა – 100 ათასი. ავღანეთმა მარტო მოკლულთა და ჭრილობებისაგან და ავადმყოფობებით გარდაცვლილთა სახით ერთ მილიონი ადამიანი დაკარგა.

ომი ფოლკლენდის კუნძულებისათვის ინგლისსა და არგენტინას შორის (1982წ.). ატლანტის ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, არგენტინის სანაპიროდან დაახლოებით 650

კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს დიდი ბრიტანეთის სამფლობელო – ფოლკლენდის კუნძულები. ეს არქიპელაგი შედგება ორი დიდი (დასავლეთ და აღმოსავლეთ ფოლკლენდები) და 200-მდე პატარა კუნძულისაგან. მათი საერთო ფართობია 12,2 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა – 2121 კაცი (1991 წ.), ადმინისტრაციული ცენტრია პორტ-სტენლი (აღმოსავლეთ ფოლკლენდზე).

არგენტინა, რომელიც ტერიტორიულად ყველაზე ახლოს იმყოფება ფოლკლენდის კუნძულებთან (არგენტინაში მათ მალუინის კუნძულებს ეძახიან) არ ცნობს ინგლისის უფლებებს ამ არქიპელაგზე. ტერიტორიული კამათი სათავეს იღებს 1833 წლიდან, როდესაც ინგლისელებმა კუნძულებიდან განდევნეს არგენტინელი მოახალშენეები და არქიპელაგი თავის კოლონიად გამოაცხადეს.

არგენტინის მმართველი სამხედრო ხუნტის არაპოპულარობამ ქვეყნის მოსახლეობაში 1980-იანი წწ. დასაწყისში აიძულა ხუნტის თავი – გენერალი გალტიერი – განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია ფოლკლენდის კუნძულების ხელში ჩასაგდებად. ეს, მისი ვარაუდით, არგენტინული საზოგადოების ყურადღებას ჩამოაცილებდა შიდა პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს. არქიპელაგი დიდი ბრიტანეთიდან 8000 მილით (დაახლოებით 15 000 კმ) არის დაცილებული, რაც, გალტიერის აზრით, ინგლისელებს ხელს შეუშლიდა საპასუხოდ რაიმე სერიოზული სამხედრო აქციის ჩატარებაში.

1982 წლის 2 აპრილს არგენტინის საზღვაო ქვეითთა და სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფები (2000 კაცამდე) კუნძულებზე გადასხდნენ და სწრაფად განაიარაღეს ბრიტანელთა 80-კაციანი გარნიზონი. ორი დღის შემდეგ არგენტინელებმა ხელთ იგდეს, აგრეთვე, ფოლკლენდებიდან 1120 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დაუსახლებელი კუნძული სამხრეთ ჯორჯია, რომელზეც 22 ინგლისელი საზღვაო ქვეითი იმყოფებოდა.

გაერომ არგენტინა აგრესორად გამოაცხადა და მოთხოვა მას ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანა. არგენტინის ხელისუფლებამ ჯარების გაყვანაზე უარი განაცხადა, მაგრამ ლონდონს შესთავაზა მოლაპარაკებების დაწყება. ინგლისელებმა უარყვეს ყოველგვარი მოლაპარაკება, სანამ კუნძულებზე არგენტინელი ჯარისკაცები იმყოფებოდნენ და უკვე 5 აპრილს 30 ხომალდისაგან შემდგარი სპეციალური დანიშნულების ჯგუფი ფოლკლენდების მიმართულებით დაიძრა. ამაღლების კუნძულთან (Alcornoque Island) ატლანტის ოკეანეში (6300 კილომეტრი ფოლკლენდების ჩრდილო-აღმოსავლეთით) ამ ჯგუფს გიბრალტარიდან გამოსული 8 ხომალდი შეუერთდა. შემდეგ ჩამოყალიბებული იყო და სამხრეთ ატლანტიკაში გაიგზავნა გემების კიდევ ორი ეშელონი. მთლიანად ფოლკლენდების რაიონში გადასროლილი იქნა 50-მდე საბრძოლო და 40-ზე მეტი დამხმარე ხომალდი. ამაღლების კუნძული ფოლკლენდების განმათავისუფლებელი ოპერაციის უმნიშვნელოვანესი შუალედური ბაზა გახდა, რომელზეც გადიოდა სპეციალური ძალებისათვის განკუთვნილი ათასობით ტონა ტვირთი. აქედანვე მოქმედებდა ინგლისის შორეული ავიაცია (ბომბდამშენები "ვულკანი") და საჰაერო დაზვერვა (საბაზო-საპატრულო თვითმფრინავები "ნიმროდ-Mლ.2").

დასავლეთის პრესაში აღნიშნავდნენ მიზეზებს, რამაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა აიძულა სამხედრო მოქმედებები დაეწყო ატლანტის ოკეანის შორეულ რაიონში. გარდა სახელმწიფო პრესტიჟისა, აქ იყო რიგი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მომენტები. კერძოდ, ფოლკლენდის კუნძულების ფლობა ბრიტანეთს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს გარკვეული გავლენა ლათინურ ამერიკაში და აკონტროლოს მაგელანისა და დრეიკის სრუტეებით გამავალი საზღვაო კომუნიკაციები. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილ სამხრეთ ატლანტიკაში ნედლეულის დიდი მარაგი ივარაუდება. მაგალითად, არსებობს მონაცემები, რომ ფოლკლენდებსა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტს შორის შეიძლება ნავთობის მდიდარი საბადოები იყოს.

1982 წლის 25 აპრილს უმნიშვნელო შეტაკების შემდეგ ინგლისის ჯარებმა უკან დაიბრუნეს კუნძული სამხრეთ ჯორჯია. ეს იყო არა მარტო ფსიქოლოგიური გამარჯვება, არამედ მნიშვნელოვანი ტაქტიკური წარმატებაც, ვინაიდან ამითი ბრიტანეთმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა ძალების გაშლის რაიონი. 28 აპრილს ოფიციალურად შევიდა ძალაში ფოლკლენდის კუნძულების ბლოკადა: ნებისმიერი არგენტინული ხომალდი, რომელიც აღმოჩნდებოდა 200-მილიან ზონაში არქიპელაგის გარშემო, ინგლისელთა მიერ განიხილებოდა როგორც აგრესორი და მას შესაბამისად მოექცეოდნენ.

სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სამხრეთ ატლანტიკაში ბრიტანული სარდლობის მიერ საექსპედიციო ძალების საკმაოდ მოკლე დროში გაშლამ, არგენტინელებს შესაძლებლობა არ მისცა კარგად გამაგრებულიყვნენ კუნძულებზე და მთლიანად განეხორციელებინათ მატერიკიდან აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადმოზიდვა.

1-3 მაისს ინგლისურმა ბომბდამშენებმა ამაღლების კუნძულიდან და "ჰარიერის" ტიპის შვეული აფრენისა და დაჯდომის თვითმფრინავებმა საზღვაო დაჯგუფებაში შემავალი მსუბუქი ავიამზიდებიდან – "ჰერმესი" და "ინვინსიბლი", განახორციელეს დარტყმები არგენტინელთა სამხედრო ობიექტებზე, 2 მაისს კი ინგლისურმა ატომურმა წყალქვეშა ნავმა – "ქონქერორმა" ორი მართული ტორპედით ჩაძირა არგენტინის უდიდესი საბრძოლო ხომალდი - კრეისერი "ხენერალ ბელგრანო". დაიღუპა 368 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ატომური წყალქვეშა ნავის საბრძოლო გამოყენების პირველი შემთხვევა ისტორიაში. ამის შემდეგ არგენტინული წყალზედა ხომალდები სამხედრო მოქმედებების ზონას გაერიდნენ და ბაზებში დაბრუნდნენ, რამაც ინგლისელებს გაუადვილა კუნძულების ბლოკადაში მოქცევა. ბრძოლამ ძირითადად ჰაერში გადაინაცვლა.

არგენტინის საბრძოლო ავიაცია (ფრანგული წარმოების "მირაჟები" და "სუპერ-ეტანდარები", ამერიკული "სქაიჰოკები", საფრანგეთ-ისრაელის "დაგერები") გაშმაგებით უტევდა ინგლისის გემებს. 4 მაისს არგენტინულმა "სუპერ-ეტანდერმა"⁵⁹ 37 კილომეტრის მანძილიდან ხომალდსაწინაო რაკეტით გაანადგურა უახლესი საესკადრო ნაღმოსანი "შეფილდი". შემდეგი დღეების განმავლობაში არგენტინელმა პილოტებმა ჩაძირეს კიდევ სამი ინგლისური საბრძოლო ხომალდი (ერთი საესკადრო ნაღმოსანი და ორი ფრეგატი) და ტრანსპორტი "ეთლენთიქ ქონვეია", რომელიც შვეულმფრენებით იყო დატვირთული. ორი დიდი სადესანტო გემი მძიმედ იქნა დაზიანებული. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, ინგლისელებმა 21 მაისს მოახერხეს კუნძულ აღმოსავლეთ ფოლკლენდზე დესანტის გადასხმა (3000 საზღვაო ქვეითი). 24 მაისისათვის კუნძულზე უკვე 5000 ბრიტანელი ჯარისკაცი იმყოფებოდა, რომლებმაც დაიწყეს შეტევა პორტ-სტენლის მიმართულებით. ამავე დროს ცაში, არქიპელაგის თავზე, გრძელდებოდა საჰაერო ბრძოლები. არგენტინული ავიაცია მძიმე ზარალს განიცდიდა ინგლისური "სი-ჰარიერებისა" და "მიწა-ჰაერის" ("ხომალდი-ჰაერის") კლასის რაკეტებისაგან. ფოლკლენდების კონფლიქტის დროს "ჰარიერებმა" ასე სრულყოფილად პირველად გამოავლინეს თავისი ფენომენალური მანევრული თვისებები და ჰაერში დაკიდების შესაძლებლობა⁶⁰.

არგენტინელმა მფრინავებმა პირადი მამაცობა და პროფესიონალური მომზადების კარგი დონე გამოავლინეს, მაგრამ არგენტინელებს მოქმედება უხდებოდათ მატერიკზე მდებარე აეროდრომებიდან, საბრძოლო რადიუსის ზღვარზე, რაც ხელს უშლიდა მათ საჰაერო ბრძოლებში, უზღუდავდა მიზნებზე შესვლის სიხშირესა და ბომბდატვირთვის მასას.

11-12 ივნისს კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პორტ-სტენლის მისადგომებთან ცხარე ბრძოლა გაიმართა. მისი მონაწილე ქვეითები შეიარაღებულნი იყვნენ ავტომატური შაშხანებით, ხიშტებით, ყუმბარასატყორცნებითა და მსუბუქი ტყვიამფრქვევებით. ვითარება საოცრად განსხვავდებოდა "კომპიუტერულ-მექანიზებული" ომისაგან, რომლისთვისაც ამზადდებდნენ ბრიტანულ არმიას ევროპაში.

14 ივნისს არგენტინელები დანებდნენ და ინგლისელები პორტ-სტენლიში შევიდნენ. ფოლკლენდების არგენტინელი სამხედრო გუბერნატორი – გენერალი მენენდესი ჩაბარდა გენერალ მოორს.

სამხედრო მოქმედებებში დიდმა ბრიტანეთმა მოკლულთა სახით დაკარგა 255 კაცი, 6 საბრძოლო ხომალდი და 34 თვითმფრინავი და შვეულმფრენი; არგენტინამ – 700-ზე მეტი მოკლული, 3 საბრძოლო და 2 დამხმარე ხომალდი და 86 თვითმფრინავი და შვეულმფრენი.

ომში დამარცხებამ გენერალი გალტიერი და მისი მთავრობა აიძულა გადამდგარიყო. დიდ ბრიტანეთში კი ეროვნული სიამაყის გრძნობებმა იფეთქა. სამხედრო გამარჯვებამ განამტკიცა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი და მეტი პოპულარობა შესძინა მის პრემიერ-მინისტრს – მარგარეტ თეთჩერს.

ამრიგად, ბრიტანელებმა სწრაფად და წარმატებით განახორციელეს რთული ოპერაცია პლანეტის შორეულ რაიონში. ომმა შესანიშნავად გამოცადა თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, მაგრამ ძირითადი დასკვნა მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ომის მოგებაში მთავარ როლს კვლავ კარგად მომზადებული და მამაცი ჯარისკაცები, მეზღვაურები და მფრინავები ასრულებენ.

ქუვეითის ომი (ომი სპარსეთის უბეში) (1991 წ.). ერაყის პრეზიდენტ-დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა, ირანთან ხანგრძლივი (1980-1988 წწ.) და, მთლიანობაში, უმედეგო ომის შემდეგ, ყურადღების ცენტრი პატარა სამხრეთ მეზობელზე – ქუვეითზე გადაიტანა. 1990 წლის აპრილ-ივლისში იგი პოლიტიკურ დაწოლას ახორციელებდა ქუვეითის სამთავროზე სამი ძირითადი პრობლემის გადასაჭრელად: 1) სადამ ჰუსეინს სურდა ქუვეითის კუთვნილი კუნძულების – ბუბიანისა და ვარბას გაკონტროლება, რომლებიც ერაყიდან სპარსეთის უბეში გასასვლელს კეტავენ; 2) იგი მოითხოვდა ქუვეითს გადაესინჯა ხელშეკრულება იმ სესხის შესახებ, რომელიც ერაყმა აიღო მისგან ირანთან ომის პერიოდში, და, ამავე დროს, უარი ეთქვა ნავთობის საბადოებზე, რომლებიც ერაყ-ქუვეითს შორის არსებულ სადავო ტერიტორიებზე იყო; 3) სადამი უკმაყოფილო იყო ქუვეითის მაღალპროდუქტიანი ნავთობმოპოვების მრეწველობით, რომელიც ხელს უშლიდა ნავთობის გაძვირებას საერთაშორისო ბაზარზე.

სადამ ჰუსეინს ნათქვამი ჰქონდა, რომ ამ კამათში იგი არ გამოიყენებდა ძალისმიერ მეთოდებს, მაგრამ 1990 წლის 2 აგვისტოს მისი ჯარები მოულოდნელად შეიჭრნენ ქუვეითში და 48 საათის განმავლობაში მოახდინეს პატარა ქვეყნის ოკუპაცია, რომელიც სადამმა ერაყის ახალ პროვინციად გამოაცხადა.

საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ერაყის აგრესია მკვეთრად უარყოფითად შეაფასა. მით უმეტეს, რომ იგი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების და, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს შეეხო, რომელთა ეკონომიკა ბევრად იყო დამოკიდებული სპარსეთის უბის ნავთობზე. ამერიკამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და იაპონიამ უკვე 3-4 აგვისტოს დააწესეს სანქციები ერაყთან ვაჭრობაზე, აგრესია დაგმეს საბჭოთა კავშირმა და არაბულ ლიგაში შემავალი სახელმწიფოების ნახევარზე მეტმა (26-დან 14-მა). გაეროს უსაფრთხოების საბჭომ მოითხოვა ქუვეითიდან ერაყის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მახლობელ აღმოსავლეთში განლაგებულ ამერიკულ ჯარებს უბრძანა დაეცვათ საუდის არაბეთის ტერიტორია, თუკი ერაყის არმია ამ სახელმწიფოს საზღვარსაც დაარღვევდა (ოპერაცია "ფარი უდაბნოში"). საუდიში თავისი სამხედრო ქვედანაყოფები გააგზავნეს აგრეთვე ეგვიპტემ, სირიამ, მაროკომ, ბაჰრეინმა, ომანმა, კატარმა, და არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა. მრავალეროვანი სახმელეთო დაჯგუფების უზრუნველყოფას ზღვიდან და ჰაერიდან ამერიკისა და ინგლისის ძალები ახორციელებდნენ.

მალე ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებულ ქუვეითში მიმდინარეობს მასობრივი ძარცვა, ნავთობმრეწველობის ინფრასტრუქტურის განადგურება, უხეშად ირღვევა ადამიანის

უფლებები. გარდა ამისა, სადამმა მძევლებად აიყვანა ქუვეითსა და ერაყში ჩარჩენილი უცხოელები და გამოაცხადა, რომ ისინი "ცოცხალი ფარის" სახით იქნებოდნენ განთავსებულნი ერაყის სასიცოცხლო ობიექტებზე, თუკი მათ საპაერო დარტყმები დაემუქრებოდა.

მაგრამ ამ ნაბიჯმა უფრო მეტად შეუწყო ხელი სადამ ჰუსეინის რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციას. განუხრელად მიმდინარეობდა ანტიერაყული კოალიციის ძალების ზრდა სპარსეთის უბის რაიონში. საფრანგეთმა იქ უცხოელი ლეგიონერებისა⁶¹ და საზღვაო ქვეითებისაგან შემდგარი მსუბუქი დივიზია გაგზავნა, ინგლისმა – ჯავშანსატანკო ბრიგადა. ჩამოვიდნენ სამხედრო კონტინგენტები იტალიიდან, კანადიდან, ბელგიიდან, პაკისტანიდან, ბანგლადეშიდან, ნიგერიიდან, სენეგალიდან. ჩეხოსლოვაკიამ არაბეთში ქიმიური დაზვერვის ქვედანაყოფი მიავლინა, ბევრმა ქვეყანამ გააგზავნა სამედიცინო დახმარება.

გაერთიანებული ძალების სარდლად დაინიშნა ამერიკელი გენერალი ნორმან შვარცკოფი, რომელსაც პარტნიორობას უწევდა საუდიელი პრინცი ხალიდ იბნ-სულთანი. კოალიციური დაჯგუფების გაშლის შემდეგ საუდის არაბეთს ერაყის აგრესია უკვე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ საჭირო იყო ოკუპაციისაგან ქუვეითის განთავისუფლება. გაერომ ერაყს წაუყენა ულტიმატუმი ქუვეითიდან 1991 წლის 15 იანვრამდე ჯარების უპირობო გაყვანის შესახებ. უარის შემთხვევაში ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ზომები იქნებოდა მიღებული.

სადამ ჰუსეინს ქუვეითსა და სამხრეთ-დასავლეთ ერაყში 42 დივიზია ჰყავდა გაშლილი 4200 საბჭოური წარმოების ტანკით (T-55, T-62, T-72), 150 შვეულმფრენი და 550 საბრძოლო თვითმფრინავი (მათ შორის საბჭოური МИГ-25, МИГ-27, МИГ-29 და ფრანგული "მირაჟები"). ერაყის არტილერიის დიდი ნაწილი შედგებოდა სამხრეთაფრიკული 155-მილიმეტრიანი ქვემეხებისაგან. საერთო ჯამში ერაყის ჯარების დაჯგუფება ითვლიდა 550 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. ეს ძალები პრაქტიკულად ქვიშაში იყო ჩაფლული. 65 კმ სიგანის ფრონტზე ბუდდოზერებით გაკეთებული იყო 12 მეტრის სიმაღლის ქვიშის კედლები. მათში გაყვანილი იყო ნავთობსადენები საწვავის მისაწოდებლად და გათხრილი იყო კომუნიკაციები. მრავალ კილომეტრზე გრძელდებოდა 500 000 ნაღმით დანადგური ტერიტორია. ერაყელთა საბრძოლო ჯგუფები ქვიშის სანგრებში ისხდნენ, ოთხივე კუთხით დაყენებული მძიმე ტყვიამფრქვევებით. ტანკები ღრმად იყო ჩაფლული ქვიშაში, თუმცა დატოვებული ჰქონდათ ცეცხლის წარმოების ფართო სექტორი. ქუვეითის ზღვისპირა ზოლს გაძლიერებული შენაერთები იცავდნენ შესაძლო დესანტის საწინააღმდეგოდ. ამ ზოლს უკან, ერაყ-ქუვეითის საზღვართან, სადამ ჰუსეინის გვარდიის რჩეული ნაწილები იდგნენ.

კოალიციის ჯარებს, სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში, გადამწყვეტი გამარჯვების მოსაპოვებლად მეტი გაძლიერება ჰქირდებოდათ, განსაკუთრებით ჯავშანსატანკო ძალების მხრივ. ამიტომ გერმანიიდან დამატებით გადმოსროლილი იქნა მე-7 ამერიკული კორპუსი 1500 ტანკით და კიდევ ერთი ინგლისური ჯავშანსატანკო ბრიგადა. ამრიგად, ულტიმატუმის ვადის გასვლისათვის მოკავშირეთა განკარგულებაში იმყოფებოდა 490 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი (მათ შორის 350 ათასი ამერიკელი), 3400 ტანკი, 650 შვეულმფრენი და 850 საბრძოლო თვითმფრინავი. არაბეთის ზღვასა და სპარსეთის უბეში გაეროს ეგიდით მოქმედებისათვის მზად იყო ხომალდების მძლავრი დაჯგუფება 6 ავიაბაზიდან.

გენერალ შვარცკოფის ვარაუდით, სამხედრო ოპერაცია თებერვლის ბოლოსათვის უნდა დასრულებულიყო, ვინაიდან 25 მარტს იწყებოდა მუსლიმთა მარხვა – რამადანი, რომლის დროს კოალიციის არაბული ნაწილი, შესაძლოა, ომისგან თავს შეიკავებდა. რამადანის შემდეგ კი იწყებოდა წლის ცხელი პერიოდი, რომლის დროსაც უკვე ბრძოლა გაუჭირდებოდათ ამერიკელ და ევროპელ ჯარისკაცებს. ამიტომ, როგორც კი გაეროს ულტიმატუმის ვადა ამოიწურა, ხოლო ქუვეითი დაცლილი არ იქნა ერაყის ჯარებისაგან, დაიწყო სამხედრო მოქმედებები. ოპერაცია "ფარი უდაბნოში" გადაიზარდა ოპერაციაში "გრიგალი უდაბნოში".

ერაყის წინააღმდეგ დაწყებული შეტევის პირველი პრიორიტეტი იყო ჰაერში ბატონობის მოპოვება. ამიტომ, 1991 წლის 17 იანვარს დილის 3 საათზე ადგილობრივი დროით ამერიკულმა ავიაციამ (მოიერიშე ბომბდამშენები "ნაითჰოქი"⁶²) და ფრთიანმა რაკეტებმა ("ტომაჰავკი"⁶³) განახორციელეს დარტყმები ერაყის ჰაერსაწინალო სისტემის ობიექტებზე – საკომანდო, საკონტროლო და საკომუნიკაციო ცენტრებზე. ამავე დროს ინგლისის თვითმფრინავებმა "ტორნადო" GR.1⁶⁴ იერიში მიიტანეს ერაყის ავიაბაზებზე. ამის პარალელურად კოალიციის სხვა გამანადგურებლები ჰაერში აჭრილ ერაყის თვითმფრინავებზე ნადირობდნენ. საჰაერო ბრძოლების პირველი დღე-ღამის განმავლობაში ერაყელმა მფრინავებმა 100 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს, კოალიციის მფრინავებმა (ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, საუდიელები) – 2000. შემდეგ დღეებში ერაყელთა აქტიურობამ ჰაერში მკვეთრად იკლო, ვინაიდან მათი ავიაცია ყოველდღე დიდ დანაკლისს განიცდიდა. 150-მდე ერაყის თვითმფრინავი თვითგადარჩენის მიზნით მეზობელ ირანში გადაფრინდა, მაგრამ იქ ინტერნირებული იქნა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

კოალიციის საჰაერო შეტევას სხვა პრიორიტეტული მიზნებიც ჰქონდა. მთავრობის შენობები, ენერგომომარაგების ცენტრები, ზურგის უზრუნველყოფის ხაზები, ქიმიური და ბირთვული იარაღის წარმოების ცენტრები – ყველაფერი ეს გამანადგურებელ დარტყმებს განიცდიდა. ომის პირველი დღე-ღამის შემდეგ კოალიციის პილოტებისათვის უმნიშვნელოვანესი სამიზნე გახდა ერაყის "მიწა-მიწა" კლასის ბალისტიკური სარაკეტო დანადგარები.

ერაყს საკმაო რაოდენობით ჰქონდა საბჭოური წარმოების ბალისტიკური რაკეტები – "სკადები" და, აგრეთვე, მათი საკუთარი წარმოების ვარიანტი. ომის მეორე დღეს სადამ ჰუსეინმა ბრძანება გასცა ამ რაკეტებით დაეწყოთ ისრაელის ქალაქების დაბომბვა, თუმცა ისრაელი არ მონაწილეობდა ომში. ისრაელის პირველი რეაქცია იყო საპასუხო საჰაერო დარტყმების მიყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში კოალიციის არაბი წევრები შესაძლოა ომიდან გამოსულიყვნენ, რათა არ აღმოჩენილიყვნენ ალიანსში ისრაელთან, თავის ტრადიციულ მტერთან. ამიტომ ამერიკელმა დიპლომატებმა დიდი მეცადინეობა გასწიეს, რომ ისრაელს უარი ეთქვა საპასუხო სამხედრო აქციაზე.

19 იანვარს ერაყმა "სკადებით" ორი იერიში განახორციელა საუდის არაბეთზე, მაგრამ ერაყის რაკეტები ამერიკელებმა ჰაერშივე გაანადგურეს "მიწა-ჰაერის" კლასის გზაგადამჭრელი რაკეტებით (საზენიტო რაკეტული კომპლექსი – "პეტრიოტი")⁶⁵.

მოკავშირეთა ავიაციამ დაიწყო "სკადებზე" ნადირობა, თუმცა მობილური სარაკეტო დანადგარების აღმოჩენა ადვილი არ იყო. მათ სასტარტო მზადყოფნაში მოყვანას მხოლოდ 25 წუთი ჭირდებოდა, გასროლის შემდეგ კი ისინი სწრაფად იცვლიდნენ პოზიციებს და სხვა ადგილზე გადადიოდნენ.

მთლიანობაში ერაყმა დაახლოებით 95 რაკეტის გაშვება მოახერხა ისრაელისა და საუდის არაბეთის წინააღმდეგ. მათი ნაწილი "პეტრიოტებით" იქნა ჩამოგდებული. ყველაზე მძიმე შედეგი მოიტანა რაკეტული დაბომბვის ბოლო დღეს, 25 თებერვალს, გაშვებულმა "სკადმა", რომელიც დაუსხლტა საზენიტო რაკეტას, ამ უკანასკნელის კომპიუტერულ სისტემაში გაპარული შეცდომის გამო, და დაეცა ამერიკულ ყაზარმას, სადაც დაიღუპა 29 და დაიჭრა 100 ადამიანი.

თანდათანობით მოკავშირეთა საჰაერო შეტევის მთავარი ობიექტი გახდა ქუვეითის ტერიტორიაზე განლაგებული ერაყის ჯარების დაჯგუფება. ამერიკულ თვითმფრინავებს, მათ შორის სტრატეგიულ ბომბდამშენებს B-52⁶⁶, სისტემატური იერიშები მიჰქონდათ ერაყელთა გამაგრებულ პოზიციებზე, რათა მათი დანგრევით შეემცირებინათ მოსალოდნელი მსხვერპლი კოალიციის სახმელეთო ძალებში.

მოკავშირეთა სარდლობამ მტრის ზურგში საგანგებო დავალებების შესასრულებლად საიდუმლოდ გადაისროლა ამერიკისა და ინგლისის სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფები.

მათი ძირითადი მიზანი იყო უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება საჰაერო დარტყმების მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად. ამ ჯგუფებს სამხედრო ობიექტების აღმომჩენი პორტატული ლაზერული დანადგარები ჰქონდათ, რომლებიც შესახედავად გახსნილ ქოლგას წააგავდა. გასანადგურებელი ობიექტის ამორჩევის შემდეგ, მასზე ახლომდებარე შენობიდან ან სხვა დაფარული ადგილიდან აღნიშნულ დანადგარს მიმართავდნენ. ლაზერის უხილავი სხივი აირეკლებოდა ცისკენ, სადაც მას "იჭერდა" ბომბდამშენის ელექტრონული აპარატურა და ამ სხივის მეშვეობით მიზნისაკენ გზავნიდა ბომბებსა და რაკეტებს.

დიდ როლს ასრულებდნენ სპეციალური დანიშნულების სამხედრო-საზღვაო ძალებიც: ერაყზე საჰაერო შეტევაში მონაწილეობას იღებდნენ საზღვაო ბაზირების თვითმფრინავები და ფრთიანი რაკეტები; ამერიკულმა სახაზო ხომალდებმა⁶⁷ – "მისურიმ", "ვისკონსინმა" და "ნიუ-ჯერსიმ" თავისი 406 მილიმეტრიანი ქვემეხებით დიდი ზიანი მიაყენეს მოწინააღმდეგის სანაპირო სიმაგრეთა კომპლექსს; საზღვაო ავიაცია და შვეულმფრენები უტევდნენ და ანადგურებდნენ ერაყელთა მსუბუქ სამხედრო ხომალდებს.

ომში 17000 ამერიკელი საზღვაო ქვეითი მონაწილეობდა. საბრძოლო მოქმედებების მეორე კვირას მათ რამდენიმე დესანტი გადასხეს ქუვეითის სანაპიროზე, რომლის მიზანი იყო ერაყელთა შეცდომაში შეყვანა მთავარი დარტყმის მიმართულებასთან დაკავშირებით. მთავარ დარტყმას კი შვარცოფი დასავლეთით, საუდია-ერაყის საზღვარზე ამზადებდა, სადაც სახმელეთო ოპერაციის დაწყებამდე 16 დღით ადრე საიდუმლოდ გადაისროლა ამერიკული, ინგლისური და ფრანგული კონტინგენტების ძირითადი ძალები (150 ათასი კაცი). გარდა ამის, ამერიკული საზღვაო ქვეითთა დივიზიები და კოალიციის არაბული ნაწილები ქუვეითში უნდა შეჭრილიყვნენ.

ერაყელებს შეუმჩნეველი დარჩათ მოწინააღმდეგის ეს მანევრი, რადგან მათი ყურადღება მიჯაჭვული იყო ამერიკელთა საზღვაო-სადესანტო ოპერაციებზე, საჰაერო დაზვერვას კი ვერ აწარმოებდნენ ცაში მტრის ავიაციის აბსოლუტური ბატონობის გამო.

პირველი სერიოზული სახმელეთო შეტაკებები მოხდა 29-31 იანვარს, როდესაც ერაყელთა გაძლიერებულმა პატრულებმა 4 ადგილას გადაკვეთეს საზღვარი და საუდის არაბეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ერაყელებზე შეტევა მიიტანეს ჯერ ამერიკულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა, შემდეგ კი მათ საუდიელთა ეროვნულმა გვარდიამ დაარტყა და მძიმე ზარალით უკუაგდო.

მოკავშირეთა სახმელეთო ოპერაციის დაწყებას წინ უძღოდა ერთ კვირიანი საარტილერიო ცეცხლი ერაყის მოწინავე პოზიციებზე, რასაც შვარცოფის აზრით, კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა უნდა შეეტანა მოწინააღმდეგის რიგებში.

სახმელეთო ოპერაციის მთავარი ფაზა დაიწყო 1991 წლის 24 თებერვალს. კოალიციის ჯარები ქუვეითისა და ერაყის ტერიტორიებზე შეიჭრნენ. ერაყის არმია მათ სუსტ წინააღმდეგობას უწევდა, ვინაიდან მთლიანად დემორალიზებული იყო წინა დღეების მასირებული საჰაერო და საარტილერიო დარტყმებისაგან. ამერიკისა და ინგლისის ჯავშანსატანკო შენაერთებმა 25-26 თებერვალს დაამარცხეს სადამ ჰუსეინის ჯარების ელიტური ნაწილი – რესპუბლიკური გვარდია (125 ათასი კაცი), რის შემდეგ ერაყელთა ორგანიზებულ წინააღმდეგობას ბოლო მიეღო. თავის გადარჩენის მიზნით ერაყელები ჩრდილოეთისკენ გარბოდნენ. გაქცეულთა კოლონებს დევნიდა და ანადგურებდა მოკავშირეთა ავიაცია. სახმელეთო ოპერაცია განხორციელდა ზუსტად შემუშავებული გეგმის მიხედვით: კოალიციის მონაწილე არაბთა ჯარები, რომელთა შორის იყო ქუვეითის კონტინგენტიც, ტრიუმფით შევიდნენ ქ. ელ-ქუვეითში, მოკავშირეთა უკიდურესად დასავლეთ ფლანგზე მყოფმა ფრანგებმა აიღეს ფორტი ას-სალმანი სამხრეთ ერაყში და შვარცოფის ბრძანებით შეჩერდნენ თავდაცვითი პოზიციების დასაკავებლად მოკავშირეთა მთავარი ძალების დასავლეთიდან უზრუნველყოფის მიზნით, წინ გაჭრილმა ამერიკელებმა კი მდინარე ევფრატს მიაღწიეს და მიიწევდნენ ნავსადგურ ბასრასკენ.

28 თებერვალს ამერიკის პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა მსოფლიოს აუწყა მოკავშირეთა ძალების პრაქტიკული გამარჯვების შესახებ.

ერაყის არმიამ მძიმე დამარცხება განიცადა. მოკლული იყო 30–50 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჭრილი – 50 ათასზე მეტი, ტყვედ ჩავარდა 60 ათასი კაცი. საბრძოლო მოქმედებათა ზონაში ერაყელთა მთელი მძიმე ტექნიკა განადგურებული იყო ან მოწინააღმდეგეებს ჩაუვარდა ხელთ. ასეთ ზარალთან შედარებით კოალიციის დანაკლისი სრულიად უმნიშვნელო ჩანს. მაგალითად, 100-საათიანი სახმელეთო ოპერაციის დროს დაიღუპა 95, დაიჭრა 368 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 20 ამერიკელი. მთლიანობაში კი 43 დღის საბოლოო შედეგებით მოკავშირეებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს, შესაბამისად, 149 და 513 ადამიანი.

საბრძოლო დანაკარგების ასეთი შეფარდება – ერაყელთა დაბალი ბრძოლისუნარიანობისა და კრიზისული მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის მაჩვენებელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი არმია ცოცხალი ძალის, ტანკებისა და ლუღიანი არტილერიის რაოდენობით რამდენადმე სჭარბობდა მოწინააღმდეგეს, ეკავა გამაგრებული პოზიციები და აწარმოებდა მოგერიებით ბრძოლას.

ერაყში შეჭრილ მოკავშირეებს თვალწინ გადაეშალათ ნგრევის საშინელი სურათი, რაც მათი ავიაციისა და რაკეტების ნამოქმედარი იყო. პრეზიდენტმა ბუშმა, რომელსაც ესმოდა, რომ სისხლის ღვრის შემდგომი გაგრძელება მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს კოალიციის წინააღმდეგ შეატრიალებდა, შეტევის შეჩერება ბრძანა.

1991 წლის 3 მარტს შვარცოფი და პრინცი ხალიდი, კოალიციის სხვა სარდლებთან ერთად, ერაყის წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებმაც ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ მოკავშირეების ყველა მოთხოვნა მიიღეს.

ქუვეითის ომმა ნათლად აჩვენა სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე. კომპიუტერიზებული სისტემებით აღჭურვილი ფრთიანი რაკეტა "ტომჰავეი" ასობით კილომეტრის მანძილიდან აღმოაჩენდა და ხვდებოდა წერტილოვან მიზანს. ზოგ რაკეტას ვიდუკამერა ჰქონდა ჩადგმული და მათ მიერ გადაღებულ განუმეორებელ კადრებს მთელი მსოფლიო უყურებდა ტელევიზიით. სიახლე იყო საზენიტო რაკეტული კომპლექსი "პეტრიოტი", ისევე როგორც უახლესი ტანკები – ამერიკული M1 "აბრამსი" და ინგლისური "ჩელენჯერი". მაღალტექნოლოგიური იარაღის გამოყენების გამო ომმა "ქირურგიული" ხასიათი მიიღო, თუმცა იგი ისეთივე სასტიკი და სისხლიანი დარჩა, როგორც ადრე იყო. ამასთან გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეცდომებისაგან მთლიანდ დაზღვეული არც კომპიუტერიზებული სისტემები არიან.

ომის მეორე შედეგი ის არის, შეერთებული შტატები ამ ომიდან ერთადერთ ზესახელმწიფოდ გამოვიდა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

დასკვნა

ისტორიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ომების ხასიათი და მასშტაბი იცვლებოდა საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური პირობების შეცვლასთან ერთად. უძველესი სახელმწიფოების შედარებით მცირერიცხოვანი, ცუდად ორგანიზებული და მარტივი იარაღით აღჭურვილი ჯარების ხანმოკლე შეტაკებებიდან, ომები თანდათანობით გადაიქცნენ მრავალმილიონიანი არმიების ხანგრძლივ, უზარმაზარ ფართობებზე მიმდინარე სასტიკ ბრძოლებად მრავალნაირი სამხედრო ტექნიკის გამოყენებით.

ომების ხასიათისა და მასშტაბების ცვლასთან ერთად იცვლებოდა მათი წარმოების ხერხებიც. გადამწყვეტ გავლენას სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე ახდენდნენ ბრძოლის საშუალებები, ანუ ადამიანები, საჭურველი და საბრძოლო ტექნიკა, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულები იყვნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილებაზე, სამრეწველო წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეზე.

საუკუნეთა მანძილზე სამხედრო ხელოვნებაში ადგილი ჰქონდა, როგორც რაოდენობით, ასევე ხარისხობრივ ცვლილებებს, რევოლუციურ ნახტომებს, მაგრამ ჭეშმარიტად ღრმა რევოლუციური გადატრიალება, რომლებმაც სამხედრო საქმის ყველა სფერო მოიცვეს, მხოლოდ სამი იყო. პირველი ასეთი რევოლუცია მოხდა დენტისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებასთან დაკავშირებით; მეორე დაკავშირებულია მანქანური საბრძოლო ტექნიკისა და ავტომატური იარაღის ფართო დანერგვასთან; მესამე – რაკეტულ-ბირთვული შეიარაღებისა და ომის სხვა უახლესი საშუალებების გაჩენასთან.

შენიშვნები

1. სამხედრო ხელოვნება – სამხედრო მოქმედებების მომზადებისა და გაძლიერების თეორია ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. სამხედრო ხელოვნების თეორია – სამხედრო მეცნიერების ნაწილია. სამხედრო ხელოვნება შეიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრატეგიასა და ტაქტიკას (ზოგი სახელმწიფოს სამხედრო თეორია გამოყოფს აგრეთვე შუალედურ ოპერატიულ ხელოვნებას, რომელიც ომებში გამოიკვეთა XIX ს-ის შუა ხანებიდან). სამხედრო ხელოვნებას განაპირობებს წარმოების განვითარების დონე, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი, იგი დამოკიდებულია ქვეყნის ისტორიულ და ეროვნულ თავისებურებებზე, გეოგრაფიულ პირობებზე და სხვ.
2. სამხედრო მეცნიერება – ცოდნის სისტემა ომების მომზადებისა და წარმოების შესახებ. იკვლევს შესაძლო ომების ხასიათს, მათი წარმოების ხერხებს, შეიმუშავებს შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან და ომის მომზადებასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებსა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს, განსაზღვრავს სამხედრო ხელოვნების პრინციპებს, ჯარების დაჯგუფების ყოველმხრივი უზრუნველყოფის საკითხებს, შეიარაღებული ბრძოლის არსებული საშუალებების გაუმჯობესებისა და ახალი საშუალებების შექმნის პრობლემებს. თანამედროვე სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილებია: სამხედრო ხელოვნების თეორია; შეიარაღებული ძალების მშენებლობის თეორია; სამხედრო ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების ზურგის თეორია; სამხედრო სწავლებისა და აღზრდის თეორია და სხვ. სამხედრო მეცნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალურ დარგებთან.
3. შუამდინარეთის (მესოპოტამიის) უძველესი კულტურული ოლქი იყო შუმერი (თანამედროვე ერაყის სამხრეთ ნაწილში). ძვ. წ. III ათასწლეულში იგი დაყოფილი იყო ქალაქ-სახელმწიფოებად, რომლებიც პერმანენტულ ომებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან და მეზობელ ტომებთან. შუმერთა ლაშქარი ქვეითი მეომრებისაგან შედგებოდა. მათ ჰყავდათ აგრეთვე ოთხთვალა საბრძოლო ეტლები, რომლებშიც ჯორები იყო შებმული.

ცხენს თავდაპირველად არც ეგვიპტელები იყენებდნენ სამხედრო საქმეში. ეგვიპტის შეიარაღებული ორგანიზაცია წარმოადგენდა ქვეით მილიციას, რომელიც აღჭურვილი იყო მშვილდ-ისრებით, ნაჯახებითა და მოკლე შუბებით. ადრეულ პერიოდში იხმარებოდა ბუმერანგიც. თავდაცვის ძირითადი საშუალება იყო ფარი. მდ. ნილოსზე, ხმელთაშუა და წითელ ზღვებში ეგვიპტელებს საბრძოლო ხომალდები ჰყავდათ. ძველი ეგვიპტის პოლიტიკური ძლიერების მწვერვალი იყო ძვ. წ. XVI-XV სს. იმდროინდელი ეგვიპტის მმართველები - ფარაონები – დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო ძალებს. ლაშქრის მთავარი დამრტყმელი ძალა ამ პერიოდში უკვე იყო ცხენებზემხდელი მსუბუქი საბრძოლო ეტლები, რომლებიც ეგვიპტელებმა აზიელი ტომებისაგან გადაიღეს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეომართა აღჭურვილობაც, რომელსაც დაემატა მოდერნიზებული მშვილდი, ბრინჯაოს მახვილი, მუზარადი, ლითონის ფირფიტებით გაძლიერებული ტყავის ჯავშანი

და სხვ. ფარაონთა ლაშქარი, შემდგარი ეგვიპტის სამხედრო კასტის წარმომადგენლებისა და უცხოელი დაქირავებულებისაგან, დაყოფილი იყო რამოდენიმე კორპუსად, რომლებიც, თავის მხრივ, დიდ და მცირე რაზმებად იყოფოდნენ.

4. სპარტა – სახელმწიფო ძველ საბერძნეთში ძვ. წ. VIII–I სს-ში. გაბატონებულ ზედაფენას სპარტაში წარმოადგენდნენ სრულუფლებიანი მოქალაქეები – სპარტიატები, რომლებიც ძირითადად სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებულნი და ცხოვრობდნენ მიწაზე მიმაგრებული სახელმწიფო მონების, ილოტების, ექსპლუატაციის ხარჯზე. ვაჭრობა-ხელოსნობას სპარტაში მისდევდნენ პირადად თავისუფალი, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული პერიეკები. სპარტიატის ცხოვრების მთავარი არსი – ომი და ომისათვის სამზადისი იყო. ბიჭები 7-დან 20 წლამდე სამხედრო სწავლებას გადიოდნენ სახელმწიფო ინტერნატებში. შემდეგ ჩაირიცხებოდნენ საჯარისო ქვედანაყოფებში და სიბერემდე დროის დიდ ნაწილს თავისი თანამებრძოლების გვერდით ატარებდნენ, ასე, რომ საკუთარი ოჯახებისათვის შედარებით ცოტა დრო რჩებოდათ. მძიმედ აღჭურვილი სპარტიატები სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაციის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. დამხმარე როლი ჰქონდა პერიეკებისა და ილოტების მილიციას. სპარტის არმია გამოირჩეოდა დისციპლინითა და სიმტკიცით. სამხედრო ძლიერების წყალობით სპარტელებმა ძვ. წ. V ს-ის ბოლოს საბერძნეთში ჰეგემონობას მიაღწიეს, რომელიც შეინარჩუნეს თითქმის 40 წლის განმავლობაში.
5. ძველი სპარსეთის სამეფო (ძვ.წ. 558–330 წწ.) წარმოადგენს ისტორიაში პირველ სახელმწიფოს, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორიის გამო თავისუფლად შეიძლება ეწოდოს “მსოფლიო იმპერია”. იგი გადაჭიმული იყო ინდოეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე და თურანის დაბლობიდან ნილოსის ჭორომებამდე. ეს ვრცელი ტერიტორია სპარსეთის მეფეებმა ომებით დაიმორჩილეს. მათი არმია შედგებოდა მუდმივი ჯარისა და მრავალრიცხოვანი მილიციისაგან. არმიის ბირთვს წარმოადგენდა ირანის ოლქებიდან (სპარსეთი, მიდია, ბაქტრია) გამოსული მხედრობა, მაგრამ სპარსეთის მეფეთა ლაშქარში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აგრეთვე იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების (მათ შორის ქართველური ტომების) წარმომადგენლები და ბერძენთა დაქირავებული რაზმები. ირანელთა მთავარი იარაღი იყო მშვილდ-ისარი. შუბსა და მოკლე მახვილს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამრიგად, სპარსეთის არმიის მთავარ ძალას წარმოადგენდა ცხენოსან და ქვეით მოისართა რაზმები. შეტევისას დიდი როლი ენიჭებოდა აგრეთვე ცელებით აღჭურვილ საბრძოლო ეტლებსა და სპილოებს, რომლებიც ინდოეთიდან გამოჰყავდათ.
6. ასურეთი – მონათმფლობელური სახელმწიფო (ძვ. წ. XX–VII სს.), რომლის ცენტრი მდებარეობდა ჩრდილო მესოპოტამიაში, დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. ასურეთი განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარსა და VII ს-ის პირველ ნახევარში. მისი მეფეები სისტემატურად ლაშქრობდნენ მეზობელი ხალხების წინააღმდეგ და მრავალი ქვეყანა დაიმორჩილეს. არმია – ასურეთის სახელმწიფო აპარატის მთავარი რგოლი იყო. მისი უმნიშვნელოვანესი გვარეობა იყო ქვეითი ჯარი (200 ქვეით მეომარზე მოდიოდა 10 მხედარი და 1 საბრძოლო ეტილი). არმიაში იყვნენ აგრეთვე სპეციალური სამშენებლო რაზმები გზების, ხიდების, ბანაკების მოსაწყობად. კავალერიის როლი გაძლიერდა ძვ. წ. VIII ს-დან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ასურეთის არმიის მანევრულობა. ასურელებმა პირველებმა მოახდინეს ფართო მასშტაბით ბრინჯაოდან რკინის იარაღზე გადასვლა. უკვე ძვ. წ. 1100 წლისათვის მათი არმიის საბრძოლო იარაღი, ეტლები და დამცავი აღჭურვილობა თითქმის მთლიანად რკინისაგან მზადდებოდა.
7. მაკედონია – სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ძვ. წ. V–II სს-ში. განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. IV ს-ში. ალექსანდრემ, მაკედონიის სახელგანთქმულმა მეფემ, ძვ. წ. 334–324 წწ. სპარსეთის სამეფო დაიპყრო. მისი არმია, რომელიც თავის დროზე, უდავოდ, საუკეთესო იყო მსოფლიოში, სპარსეთზე ლაშქრობის დასაწყისში ითვლიდა 5000 ცხენოსანსა და 30 000 ქვეითს. გარდა ამისა, მეფემ მაკედონიის დასაცავად, ზურგში, 14-ათასიანი კორპუსი დატოვა.
8. რომის სახელმწიფო წარმოიშვა იტალიის ტერიტორიაზე ძვ. წ. VIII ს-ში. რომაულ არმიას ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებში და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში. რომელიც მეთაურები და ჯარისკაცები გამოირჩეოდნენ მომზადების მაღალი დონით და დისციპლინით. მათ თავისი დროისათვის საუკეთესო იარაღი ჰქონდათ. დაპყრობითი ომებით რომმა შეჰქმნა უზარმაზარი იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო შოტლანდიის მთიანეთიდან არაბეთის უდაბნოებამდე. რომის იმპერია დაეცა ახ.წ. V ს-ში.

9. ურარტუ - ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო (ძვ. წ. IX-VI სს.), რომლის ცენტრი მდებარეობდა დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ურარტუს მეფეებს ხანგრძლივი ომები ჰქონდათ ასურეთთან და სამხრეთ კავკასიის ტომებთან (მათ შორის ქართველთა წინაპრებთან).
10. კართაგენი – სახელმწიფო დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ცენტრით აფრიკის სანაპიროზე (ძვ. წ. VII-II სს). 264-146 წლებს შორის სამჯერ ეომა რომს და სამჯერვე დამარცხდა. ეს ომები ისტორიაში შესულია პუნიკური ომების სახელით, ვინაიდან კართაგენელებს რომაელები "პუნებს" უწოდებდნენ. კართაგენის არმია ძირითადად დაქირავებული მეომრებისაგან შედგებოდა.
11. ბეოტია – ისტორიული ოლქი შუა საბერძნეთში.
12. ფლანგის მარჯვენა გვერდი ყველაზე დაუცველად ითვლებოდა და, ამიტომ, მიღებული იყო იქ ყველაზე მედგარი და გამოცდილი მეომრების დაყენება. აქედან იღებს სათავეს გამოთქმა: "მარჯვენაფლანგელი".
13. ბიზანტიის, ანუ აღმოსავლეთ რომის, იმპერია – სახელმწიფო (IV-XV სს.), რომელიც ჩამოყალიბდა რომის იმპერიის დაშლის შედეგად. დედაქალაქი - კონსტანტინოპოლი (თანამედროვე სტამბული). მაქსიმალური ძლიერების ხანაში (VI ს.) იმპერია მოიცავდა ხმელთაშუა ზღვისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნების დიდ ნაწილს, შემდეგ კი საგრძნობლად შემცირდა. ბიზანტიის შეიარაღებული ძალები შედგებოდა დაქირავებული უცხოელებისა და იმპერიის პროვინციებში მოკრეფილი რაზმებისაგან. დაქირავებულ მეომართა შორის ბევრი კავკასიელი იყო (ქართველი, სომეხი, აფხაზი, ოსი და სხვ.).
14. დადასტურებულია გრიუნვალდის ბრძოლიდან 1410 წ., სადაც პოლონეთის და ლიტვის გაერთიანებულმა ძალებმა (სულ 32 000 ცხენოსანი და ქვეითი) გაანადგურეს გერმანული ტევტონთა ორდენის არმია (27 000, ძირითადად ცხენოსნები). ქვემეხები ორივე მხარეს ჰქონდა, მაგრამ ბრძოლის მსვლელობაზე მათ გავლენა არ მოუხდენიათ.
15. ფლანდრია – ისტორიული ოლქი დასავლეთ ევროპაში. დღეს მისი დიდი ნაწილი ბელგიის შემადგენლობაში შედის, მცირე ნაწილი კი – საფრანგეთისა და ნიდერლანდის. XII-XV სს-ში ფლანდრია ევროპაში ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მხარე იყო, რამაც გამოიწვია მისი ქალაქების გაძლიერება.
16. ქ. პავიასთან (იტალიაში) 1525 წ. "საღვთო რომის იმპერიის" იმპერატორის კარლოს V-ის ჯარებმა (17 000 ქვეითი და 25 00 ცხენოსანი; გარდა ამისა, 5 000 კაცი ალყაშემორტყმულ პავიაში) დაამარცხეს საფრანგეთის მეფის ფრანცისკო I-ის არმია (20 000 ქვეითი, 7 000 ცხენოსანი).
17. ნორმანები ("ჩრდილოეთის ადამიანები") – ასე ეძახდნენ დასავლეთში სკანდინავიის ხალხებს (დანელები, ნორვეგიელები, შვედები), რომლებიც VIII-XI სს-ში ყაჩაღურ თავდასხმებს აწყოზდნენ ევროპის ქვეყნებზე. ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთში (კერძოდ, საქართველოშიც) მათ "ვარანგებს" უწოდებდნენ, თვით სკანდინავიაში კი შორეულ ლაშქრობაში წასულებს ეძახდნენ "ვიკინგებს". ნორმანები მამაცი მეომრები და ზღვაოსნები იყვნენ. IX-X სს-ში მათი ცალკეული ბელადები თავისი რაზმებით იმორჩილებდნენ აღმოსავლურ სლავურ ტომებს – რუსების წინაპრებს, და იქიდან ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობდნენ.
18. ნიუპორტთან (ბელგიაში) XVI-XVII სს-ის ესპანეთ-ჰოლანდიის ომების დროს მორიც ორანელმა 15-ათასიანი არმიით დაამარცხა ნიდერლანდის ესპანური ნაწილის გამგებელი ერცჰერცოგი ალბერტი, რომელსაც 11,5 ათასი კაცი ჰყავდა.
19. ოცდაათწლიანი ომი პირველი საერთოევროპული ომი იყო სახელმწიფოთა ორ დიდ კოალიციას შორის ევროპაში პირველობისათვის. მასში მონაწილეობდნენ გერმანული სამეფო-სამთავროები, ესპანეთი, დანია, შვედეთი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები. სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდნენ ძირითადად ცენტრალურ ევროპაში. ოცდაათწლიანმა ომმა დიდი გავლენა მოახდინა ევროპული არმიების ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე.
20. კარტეგი (ფინდები) – ზარბაზნის ჭურვი ღია ადგილზე ცოცხალი ძალის მოსასპობად, რომლის მომაკვდინებელ ელემენტებს წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვანი სფერული ტყვიები. გამოიყენებოდა XIX ს-მდე.
21. ყივჩაყები თურქული მოდგმის მეომარი ხალხი იყო. XII – XIII სს-ის დასაწყისში მათი დაცალკეებული ტომები ცხოვრობდნენ ევრაზიის სტეპებში ალთაიდან დუნაის შესართავამდე. დაქირავებულების და სამხედრო კოლონისტების სახით ყივჩაყები ხშირად მსახურობდნენ მეზობელი სახელმწიფოების ჯარებში. საქართველოში ისინი პირველად დავითმა გადმოიყვანა 1118-1119 წწ. მეფის გარდაცვალების შემდეგ ყივჩაყთა უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა.

22. ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის არმიებში მეთოფეთა რაოდენობა უკვე მნიშვნელოვნად აღემატებოდა შუბოსნებს. მაგ., ჰოლანდიის ჯარებში მორიც ორანელის დროს (XVI ს-ის ბოლო) ასეულში 45 შუბოსანზე მოდიოდა 74 მეთოფე.
23. დაკუთხვილი იარაღის პირველი ნიმუშები ევროპაში ჯერ კიდევ XVI ს-ში გაჩნდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში მათ ძირითადად სანადიროდ იყენებდნენ.
24. სამოქალაქო ომი შეერთებული შტატების ბურჟუაზიულ ჩრდილოეთსა და მონათმფლობელურ სამხრეთ ნაწილებს შორის. დაიწყო სამხრეთელთა ამბოხით (1861, აპრილი). პირველ პერიოდში სამხედრო უპირატესობა მემბოხეთა მხარეს იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში ომის ბედი გადაწყვიტა ჩრდილოეთ შტატების უფრო განვითარებულმა ეკონომიკამ და მოსახლეობის სიჭარბემ (ჩრდილოეთი სამოქალაქო ომის წინ იძლეოდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 75%-ს, აქ იყო რკინიგზების ორი მესამედი, ჩრდილოეთში ცხოვრობდა 22 მილიონი ადამიანი, ამბოხებულ სამხრეთ შტატებში კი – 9 მილიონი, რომელთაგან თითქმის 4 მილიონი იყო შავკანიანი მონა). 1864–1865 წწ. ჩრდილოელებმა გაანადგურეს სამხრეთელთა მთავარი ძალები და აიღეს მათი დედაქალაქი რიჩმონდი. ომში 600 ათას ადამიანზე მეტი დაიღუპა. ეს ციფრი მნიშვნელოვნად აღემატება ამერიკელთა ზარალს ნებისმიერ სხვა ომში, რომელშიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუღიათ მონაწილეობა.
25. პრუსია – სამეფო გერმანიაში (1701 წლიდან). 1871 წლისათვის პრუსიის ჰეგემონობით დასრულდა გერმანიის გაერთიანება. პრუსიის მეფე გერმანიის იმპერატორი გახდა.
26. ფრანგულიდან *Entente cordiale* – “გულითადი შეთანხმება”.
27. ომის დასაწყისში ანტანტისა და მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალები ითვლიდნენ, საერთო ჯამში, 11 057 ათას კაცს. აქედან, სამხედრო ოპერაციების დაწყებისათვის საბრძოლო ნაწილებში შედიოდა 6 180 ათასი კაცი. ცენტრალური სახელმწიფოების არმიებში ეს მაჩვენებლები უდრიდა, შესაბამისად, 6 182 ათასსა და 3 568 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს.
28. თვითმფრინავები სამხედრო მიზნებისათვის პირველად გამოიყენეს იტალიელებმა თურქეთთან ომში 1911-1912 წწ.
29. წყალქვეშა ნავის პირველი, შედარებით წარმატებული საბრძოლო გამოყენება მოხდა აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს. 1864 წელს სამხრეთელთა პატარა წყალქვეშა ნავმა “დევიდმა” (ეს იყო პრიმიტიული აპარატი, რომელიც მოძრაობდა ადამიანის კუნთების ენერგიით) ააფეთქა ჩრდილოელთა ფრეგატი, მაგრამ ჩაძირული გემის ქვეშ მოჰყვა და თვითონაც დაიღუპა თავის ეკიპაჟთან ერთად. პირველი წყალქვეშა ნავი, რომელიც კონსტრუქციით თანამედროვეს წააგავდა, ააშენეს ფრანგებმა 1888 წ.
30. ჩრდილოეთის ომი (1700-1721 წწ.) – შვედეთის ომი კოალიციის წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, დანია, საქსონია და პოლონეთი (ომის ბოლო ეტაპებზე შვედეთის წინააღმდეგ ომში ჩაება პრუსიაც). თავდაპირველად შვედეთის მეფემ კარლოს XII-მ ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა მოწინააღმდეგენი, მაგრამ რუსეთის მეფე პეტრე I არ წყვეტდა სამხედრო მოქმედებებს. კარლოს XII შეიჭრა რუსეთის სიღრმეში, მაგრამ მოწყდა თავის მომარაგების ბაზებს, რის გამოც მძიმე მარცხი იწვნია პოლტავასთან 1709 წ. ამის შემდეგ ომში აშკარად იკვეთება რუსეთის უპირატესობა, რომელიც პეტრე I-ის რეფორმებმა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს. ნიშტადტის ზავით 1721 წ. შვედეთმა რუსეთს დაუთმო აღმოსავლეთ ბალტიისპირეთი.
31. ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის (1701-1714 წწ.) – ომის საბაზი გახდა საფრანგეთის მმართველი დინასტიის, ბურბონების, ცდა ხელთ ეგდოთ ესპანეთი და მისი კოლონიური სამფლობელოები. ამას წინააღმდეგ ძლიერი კოალიცია (ავსტრია, ინგლისი, ჰოლანდია, პორტუგალია, პრუსია და გერმანიისა და იტალიის რიგი წვრილი სახელმწიფოები). საბოლოო ანგარიშში ბურბონებმა შეინარჩუნეს ესპანეთის ტახტი, მაგრამ ესპანეთის სამფლობელოთა ნაწილი მათი მოწინააღმდეგეების ხელში გადავიდა. ომის შედეგად განსაკუთრებით გაძლიერდა ინგლისი, ხოლო საფრანგეთმა დაკარგა ევროპაში პოლიტიკური ჰეგემონობა.
32. შვიდწლიანი ომი (1756-1763 წწ.) – კოალიციური ომი ევროპის სახელმწიფოებს შორის. ერთ მხარეს იყვნენ ავსტრია, საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, საქსონია და შვედეთი, მეორე მხარეს - პრუსია, დიდი ბრიტანეთი და პორტუგალია. სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდნენ როგორც ევროპის კონტინენტზე, ასევე კოლონიებში და ზღვაზე. პრუსიამ ომის პირველ პერიოდში ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ შემდეგ რამოდენიმეჯერ დამარცხდა რუსებთან და ავსტრიელებთან

- მათი ძალების რიცხოვრივი უპირატესობის გამო. ომის შედეგად ინგლისმა ხელთ იგდო ვრცელი ტერიტორიები ჩრდილო ამერიკასა და ინდოეთში.
33. ნაპოლეონ I, ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821) – საფრანგეთის იმპერატორი 1804-1814 წწ. და 1815 წლის მარტიდან ივნისამდე. დიდი მხედართმთავარი. იყო საფრანგეთის არმიის ოფიცერი, შემდეგ გენერალი. 1799 წ. სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და 1804 წ. მიიღო იმპერატორის ტიტული. წარმატებული ომებით დაიმორჩილა ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი. 1812 წ. ილაშქრა რუსეთში და თუმცა მოსკოვამდე მივიდა, რუსული არმიის წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხა და იძულებული იყო მძიმე ზარალით უკან დაეხია. საბოლოოდ დაამარცხეს ინგლისელებმა და პრუსიელებმა ვატერლოოსთან ბრძოლაში 1815 წ. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ინგლისელთა ტყვეობაში გაატარა. 1799-1815 წწ. საფრანგეთის მიერ წარმოებული სისხლისმღვრელი ომები ისტორიაში შესულია ნაპოლეონის ომების სახელით. საფრანგეთმა ამ ომებში მოკლულებისა და ჭრილობებისაგან და ავადმყოფობებისაგან გარდაცვლილთა სახით დაკარგა 1,2 მილიონი ადამიანი, ევროპის დანარჩენმა ქვეყნებმა კი – 1,5 მილიონზე მეტი.
 34. ომი ავსტრიასა და პრუსიას შორის გერმანიაში პირველობისათვის. გადამწყვეტი ბრძოლა სადოვასთან (ჩეხეთში) დამთავრდა პრუსიელთა სრული გამარჯვებით. პრადის ზავით ავსტრიამ აღიარა პრუსიის პრიორიტეტი გერმანიის ახლებურ მოწყობაში.
 35. პრუსიის ომი საფრანგეთთან, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ჰეგემონობა კონტინენტურ ევროპაში და არ დაეშვა პრუსიის მეთაურობით გერმანიის გაერთიანება. პრუსიის ჯარებმა წვრილი გერმანული სახელმწიფოების მხარდაჭერით სასტიკად დაამარცხეს საფრანგეთის არმია, რასაც მოჰყვა რევოლუცია საფრანგეთში და იქ არსებული სახელმწიფო წყობილების დამხობა. საფრანგეთმა დაკარგა ორი პროვინცია – ლოტარინგია და ელზასი, რომლებიც პრუსიის მეთაურობით გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში შევიდნენ.
 36. რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905 წწ.) – იმპერიალისტური ომი რუსეთსა და იაპონიას შორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთსა და კორეაში ბატონობისათვის. აქტიური სამხედრო მოქმედებები წარმოებდა როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. რუსეთმა ზღვაზე და ხმელეთზეც მარცხი განიცადა. პორტსმუთის ზავით (1905 წ.) რუსეთმა იაპონიას დაუთმო კ. სახალინის სამხრეთი ნაწილი და აღიარა მისი უფლებები კორეაში და ჩინეთის მოსაზღვრე რეგიონებში.
 37. 1916 წ. დასავლეთის ფრონტზე (საფრანგეთში) განხორციელებული მარტო ორი ოპერაციის შედეგად, ვერდენთან და მდ. სომაზე, მოკლული და დაჭრილი იყო, საერთო ჯამში, შესაბამისად, 0,9 მილიონი და 1,3 მილიონზე მეტი ადამიანი.
 38. 1917 წ. ბოლოსათვის რუსეთ-თურქეთის ფრონტი გადიოდა ხაზზე: ტრაპიზონი-გუმუშჰანე-არზინჯანი-ვანის ტბის სამხრეთ სანაპირო-სპარსეთის საზღვარი.
 39. არმიის ქვეითი ბატალიონის საშტატო შემადგენლობა იყო 40 ოფიცერი, 617 ჯარისკაცი და 27 ზემსახური.
 40. მსუბუქი არტილერიის დივიზიონი შედგებოდა სამი 4-ქვემეხიანი ბატარეისაგან (ორი მსუბუქი საველე ბატარეა და ერთი სამთო).
 41. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ოსმალთა სულთნების დინასტიამ, რომელიც XIV ს-დან მართავდა თურქეთს, ყოველგვარი ძალა დაკარგა. ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ძალები (პირველ რიგში სამხედრო ინტელიგენცია), რომელთა ლიდერი იყო გენერალი მუსტაფა ქემალ-ფაშა (ათათურქი). მათ თურქეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს 1923 წ.
 42. ანდრე მაჟინო, ვისი სახელიც ეწოდა გამაგრებულ ხაზს, 1924-1931 წლებში საფრანგეთის სამხედრო მინისტრი და გერმანიის საზღვარზე საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემის შექმნის სულისჩამდგმელი იყო.
 43. ავიაშიდდთა კლასის პირველი ხომალდი შეიქმნა ინგლისში 1917 წ., თუმცა ავიამატარებელი გემები (ავიატრანსპორტები) ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდნენ. ავიაშიდდები დიდხანს განიხილებოდნენ როგორც დამხმარე საშუალება. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ფლოტების შემადგენლობაში (ინგლისის, აშშ-ის, იაპონიის) მხოლოდ 19 ავიაშიდდი იყო, მაგრამ როდესაც ზღვაზე დაწყებულმა სამხედრო მოქმედებებმა მათი დიდი საბრძოლო შესაძლებლობები გამოავლინეს, ამერიკაში, ინგლისში და იაპონიაში დაიწყო ავიაშიდდების მასობრივი მშენებლობა.
 44. არდენები – მთა-გორიანი მხარე ბელგიის სამხრეთ ნაწილში. ნაწილობრივ მოიცავს აგრეთვე საფრანგეთისა და ლუქსემბურგის მიმდებარე ტერიტორიებს.

45. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (40 მილიონ ადამიანს) ევროპელები შეადგენდნენ. კერძოდ, საბჭოთა კავშირმა ომში დაკარგა 20 მილიონი ადამიანი; გერმანიამ - 6,5 მილიონი; პოლონეთმა - 6 მილიონი; იუგოსლავიამ - 1,5 მილიონი; საფრანგეთმა - 0,6 მილიონი; იტალიამ - 0,5 მილიონი; დიდმა ბრიტანეთმა - 0,5 მილიონი. სხვა სახელმწიფოთაგან ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადეს ჩინეთმა (5 მილიონი), იაპონიამ (2,5 მილიონი), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (0,35 მილიონი).
46. V-1 – ფრთიანი რაკეტა. სასტარტო მასა 2,2 ტ, ასაფეთქებელი მუხტი 700 კგ, სიგრძე 7,6 მ, ფრენის სიჩქარე 600 კმ/სთ, ფრენის სიშორე – დაახლ. 370 კმ.
V-2 – ერთსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა. სასტარტო მასა დაახლ. 13 ტ, ასაფეთქებელი მუხტი 800 კგ, სიგრძე 14 მ, ფრენის სიჩქარე ტრაექტორიის აქტიური მონაკვეთის ბოლოს 1700 მ/წმ, ფრენის სიშორე დაახლ. 320 კმ.
47. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული მატერიალური დახმარება სსრ კავშირისადმი. გერმანიასთან ომის დროს ე.წ. ლენდ-ლიზის (lend-lease) სისტემით საბჭოეთმა ამერიკისაგან მიიღო დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება, საბრძოლო მასალები, ტრანსპორტი, სტრატეგიული ნედლეული, საკვები პროდუქტები და სხვ. მათ შორის 400 000 სატვირთო მანქანა, 51 000 ვილისი, 17 000 თვითმფრინავი, 12 000 ტანკი და ჯავშანმანქანა, 8 000 საზენიტო ქვემეხი.
48. აღსანიშნავია, რომ ომში ჩრდილოელთა მხარეზე არალეგალურად მონაწილეობდა 26 ათასი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეც, განსაკუთრებით, მფრინავები და მეზენიტეები. ისინი იცავდნენ ჩრდილო კორეის ცას და სტრატეგიულ ხიდებს, საიდანაც კორეაში ჩინეთიდან დახმარება შედიოდა. საბჭოელებს აკრძალული ჰქონდათ ტყვედ ჩავარდნა, ამიტომ არ უნდა მიკარებოდნენ ფრონტის ხაზს 100 კმ-ზე უფრო ახლოს და არ უნდა ეფრინათ ზღვაზე, სადაც ამერიკული ფლოტი ბატონობდა. მათ ეცვათ ჩინური ფორმა და არ ატარებდნენ არავითარ დოკუმენტებს, მხოლოდ სამკერდე ნიშნები ეკეთათ სტალინისა და ჩინეთის ლიდერის, მაო ძედუნის, გამოსახულებით. ესეც უფრო იმიტომ, რომ ჩამოვარდნის შემთხვევაში ამერიკელებად არ მიეღოთ.
49. F-86 "სეიბრი" – პირველი ისრისებულფრთიანი რეაქტიული თვითმფრინავი, რომელიც მიღებული იყო აშშ-სა და ბევრი სხვა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაზე. ძირითადი მონაცემები: მაქსიმალური სიჩქარე – 1070 კმ/სთ; პრაქტიკული ჭერი – 14 630 მ; შეიარაღება – 6 12,7 მმ ტყვიამფრქვევი; შემდგომ მოდიფიკაციებში, აგრეთვე, ბომბები (მათ შორის ტაქტიკური ბირთვული), ზარბაზნები, უმართავი და მართული რაკეტები, ნაპალმი. კორეის ომში "სეიბრი" ძირითადად გამოიყენებოდა საფრონტო გამანადგურებლის (F-86 A) და გამანადგურებელ-გზაგადამჭრელის (F-86 D) ვარიანტებში.
50. МиГ-15 – პირველი საბჭოთა მასობრივი რეაქტიული გამანადგურებელი. ძირითადი მონაცემები: მაქსიმალური სიჩქარე – 1044 კმ/სთ; პრაქტიკული ჭერი – 15 500 მ; შეიარაღება – 1 37 მმ და 2 23 მმ ზარბაზნები.
51. ტრანსიორდანიის სამეფომ აღმოსავლეთ პალესტინის მიერთების შემდეგ მიიღო სახელწოდება – იორდანია.
52. ამის გამო 1973 წლის ოქტომბრის ომს ზოგჯერ იომ-ქიფურის ომს უწოდებენ.
53. МиГ-17 – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამანადგურებელი. წარმოადგენს МиГ-15-ის შემდგომი მოდერნიზაციის შედეგს. ძირითადი მონაცემები: სიჩქარე 10000 მ-ის სიმაღლეზე – 1070 კმ/სთ; პრაქტიკული ჭერი – 16 600 მ; შეიარაღება – 1 37 მმ ზარბაზანი (40 ვაზნით) და 2 23 მმ ზარბაზანი (80 ვაზნით); ბომბები. ზოგ მოდიფიკაციას აქვს მართული რაკეტებიც (რეაქტიული ჭურვები). МиГ-17-ის ბაზაზე შექმნილი ძირითადი ვარიანტებია: საფრონტო გამანადგურებელი, გზაგადამჭრელი, ფოტომზვერვეი.
54. განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩეოდნენ საზენიტო რაკეტული კომპლექსები, რომლებსაც ვიეტნამში ფარულად მივლინებული საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები ემსახურებოდნენ (საერთო ჯამში ვიეტნამის ომის დროს იქ მივლინებული იყო 20 ათასი საბჭოთა მრჩეველი და სამხედრო სპეციალისტი). ჩრდილო ვიეტნამის ცაში ამერიკელებმა 4 125 თვითმფრინავი დაკარგეს.
55. ხო ში მინი (1890-1969 წწ.) – საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ჩრდილო ვიეტნამის პრეზიდენტი.

56. ოფიციალური საბჭოთა ინფორმაციით, გადატრიალება მოახდინეს რევოლუციურად განწყობილმა ავღანეთის არმიის ნაწილებმა, რომლებმაც ამინი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.
57. ფანჯშერის ხეობა მდებარეობს ჰინდუყუმის მთებში, ქაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ავღანეთის ომის დროს საბჭოთა ჯარები რამდენიმეჯერ შეეცადნენ ფანჯშერის დაპყრობას, მაგრამ უშედეგოდ. მასუდის რაზმებმა, რომელიც თავადაც ამ ხეობის მკვიდრი იყო, მოიგერიეს საბჭოელთა შეტევები.
58. "სტინგერი" – გადასატანი საზენიტო რაკეტული კომპლექსი. შეიარაღებაზეა 1981 წლიდან. ძირითადი მახასიათებლები: სროლის მაქსიმალური მანძილი – 5200 მ, მინიმალური – 500 მ; შეუძლია გაანადგუროს საჰაერო მიზნები 30-3500 მ სიმაღლეებზე; მიზანში მოხვედრის ალბათობა – 0,4-0,6; კომპლექსის წონა (საბრძოლო მდგომარეობაში) – 13,5 კგ.
59. "სუპერ-ეტანდერი" – საგემბანო გამანადგურებელ-ბომბდამშენი. ძირითადი მონაცემები: მაქსიმალური სიჩქარე – 1180 კმ/სთ; პრაქტიკული ჭერი – 13 700 მ; შეიარაღება – 2 30 მმ ზარბაზანი (2x125 ვაზნა); მართული რაკეტები - საჰაერო ბრძოლის 2 რაკეტა "მაჟიკ" R.550 ან 1 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა AM.39 "ეკზოსეტი"; ბომბები.
60. "სი-ჰარიერ" FRS.1 – ვერტიკალური აფრენისა და დაჯდომის მრავალმიზნობრივი საგემბანო გამანადგურებელი. შექმნილია 1975-1977 წწ. ძირითადი მონაცემები: მაქსიმალური სიჩქარე – 1024 კმ/სთ; პრაქტიკული ჭერი – 15 600 მ; შეიარაღება – საჰაერო ბრძოლის 4 რაკეტა "საიდუნდერ" AIM-9; უმართავი რაკეტები; ბომბები. ფიუზელაჟის ქვეშ შეიძლება დაეკიდოს 2 კონტეინერი 30 მმ ზარბაზნებით (2x130 ვაზნა).
61. საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონი – დაქირავებული სამხედრო ფორმირება, დაკომპლექტებული ძირითადად უცხოელებისაგან, ფრანგი ოფიცრებით სათავეში. კონტრაქტის დასრულების შემდეგ ლეგიონერებს სურვილისამებრ შეუძლიათ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება. საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონი შეიქმნა 1831 წ. იგი ძირითადად გამოიყენებოდა კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობათ. თავდაპირველად ლეგიონის მთავარი ბაზა ალჟირში იყო. მას შემდეგ რაც ალჟირმა დამოუკიდებლობა მიიღო, ლეგიონი კ. კორსიკაზე გადაიყვანეს.
62. F-117A "ნაითჰოუ" – მსოფლიოში პირველი სერიული თვითმფრინავი, რომლის კონსტრუქციაში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული "სტელს"-ის ტექნოლოგიის ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ საფრენი აპარატის რადიოლოკაციური, ინფრაწითელი, აკუსტიკური და ვიზუალური აღმოჩენის შესაძლებლობას. F-117 სპეციალური დანიშნულების ტაქტიკური დამრტყმელი (მოიერიშე) თვითმფრინავია, გათვალისწინებული პირველ რიგში ღამით მოქმედებისათვის. ძირითადი მონაცემები: მაქსიმალური სიჩქარე – 1040 კმ/სთ; მოქმედების საბრძოლო რადიუსი – 800 კმ; შეიარაღება – 2 ცალი 907 კილოგრამიანი ლაზერული ბომბი. თვითმფრინავი შეიძლება აღიჭურვოს აგრეთვე ბირთვული ბომბებითა და მართული რაკეტებით.
63. "ტომპაკვის" ტიპის საზღვაო ბაზირების რაკეტები გამოიყენება როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ობიექტების, განსაკუთრებით აეროდრომებზე ან სპეციალურ სამალავებში მდგომი თვითმფრინავების წინააღმდეგ 550 კმ-მდე მანძილზე. მათი საბრძოლო ნაწილი წარმოადგენს მრავალი მცირეკალიბრიანი ბომბით აღჭურვილ კასეტას, რომელიც განკუთვნილია დაჯავშნული და დაუჯავშნავი ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მოსასპობად.
64. "ტორნადო" GR.1 - ტაქტიკური გამანადგურებელი. ძირითადი მახასიათებლები: მაქსიმალური სიჩქარე 1100 კმ/სთ (დაბალ სიმაღლეებზე); პრაქტიკული ჭერი – 15000 მ; საბრძოლო რადიუსი 1400 კმ (3600 კგ საბრძოლო დატვირთვით); შეიარაღება: 2 27 მმ ზარბაზანი (2x180 ვაზნა); სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ბომბები, მართული და უმართავი რაკეტები.
65. საზენიტო რაკეტული კომპლექსი "პეტრიოტი" – შეიარაღებაზე მიღებულია 1982 წ. შეუძლია იმოქმედოს რადიო-ელექტრონული ბრძოლის საშუალებათა ფართო გამოყენების პირობებში და გაანადგუროს ზეზღერითი საჰაერო მიზნები 70 კმ-მდე სიშორეზე და 24 კმ-მდე სიმაღლეზე.
66. "ბოინგ" B-52 – მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგიული ბომბდამშენი. შეიარაღებაზეა 1955 წლიდან. მას შემდეგ მრავალჯერ იყო მოდერნიზებული და დღემდე აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითად სტრატეგიულ ბომბდამშენად რჩება. ძირითადი მონაცემები: მაქსიმალური სიჩქარე – 957 კმ/სთ; პრაქტიკული ჭერი – 16765 მ; გაფრენის პრაქტიკული სიშორე 16090 კმ; შეიარაღება – 10 სტრატეგიული ბირთვული ფრთიანი რაკეტა AGM-86B (ფრენის მაქსიმალური სიშორე – 2500 კმ) ან AGM-129 (3500 კმ); ტაქტიკური ფრთიანი რაკეტები AGM-86C (900 კმ); თერმობირთვული და ჩვეულებრივი ბომბები და სხვ. თავდაცვითი შეიარაღება: 4 12,7 მმ ტყვიამფრქვევი (4x600 ვაზნა) ან 1 20

მმ ზარბაზანი 1200 ვაზნით (1993 წლიდან ზარბაზნის ნაცვლად რადიო-ელექტრონული ბრძოლის დამატებით მოწყობილობას აყენებენ). ერაყის წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციაში 1991 წ. გამოყენებული იყო 70 ბომბდამშენი B-52G.

67. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ძვირად ღირებულმა სახაზო ხომალდებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ ზღვებსა და ოკეანეებში, XX ს-ის 40-იანი წლებისათვის თავისი მნიშვნელობა დაკარგეს. მათი მძლავრი არტილერია და მძიმე ჯავშანი არაეფექტური აღმოჩნდა წყალქვეშა ნაგებობისა და საზღვაო ავიაციის სწრაფი განვითარების პირობებში, განსაკუთრებით კი ბირთვული და რაკეტული იარაღის გაჩენის შემდეგ. ამიტომ საზღვაო სახელმწიფოებმა, რომლებსაც სახაზო ხომალდები ჰყავდათ, შეწყვიტეს მათი მშენებლობა (უკანასკნელი სახაზო ხომალდი აიგო ინგლისში 1946 წ.), არსებული გემები კი ჯართად დაჭრეს. მხოლოდ აშშ-ში იქნა დატოვებული რეზერვში 1942–1944 წწ. აგებული ოთხი ერთნაირი ტიპის სახაზო ხომალდი – “აიოვა”, “მისური”, “ვისკონსინი” და “ნიუ-ჯერსი”. 80-იან წლებში ამ ხომალდებს ჩაუტარდათ მოდერნიზაცია, მათ მსხვილკალიბრიან არტილერიას დაემატა რაკეტული კომპლექსები და სხვა თანამედროვე სისტემები. ამ მოდერნიზებული გემების დატოვებას ფლოტში ამერიკელები 2005 წლამდე აპირებენ, მათი ჩამოწერის შემდეგ კი სამხედრო-საზღვაო ძალების ისტორიაში დასრულდება სახაზო ხომალდების ეპოქა.

Annotation

George Anchabadze. The Military History. The Course of Lectures. Tbilisi, 2002.

The work presents a short course of military history. For the first time the description of the most instructive wars and battles, as well as development of armed forces and ways of conduct of war from the antient times to our days is given in Georgian language. The questions of military history of modern period (after 1918) and especially the most important local wars of the second half of the 20th century are illuminated in great detail.

The main moments of development of military science in Georgia before 1921 are also presented in the book. This part of work is abbreviated text of lectures of military history of Georgia, which author was reading in Abkhazian State University in 1984-1992.

The present short course aims at giving starting data for deep studying of military history.

Аннотация

Анчабадзе Георгий Зурабович. Военная история. Курс лекций. Тбилиси, 2002.

Работа представляет собой краткий курс военной истории. Впервые на грузинском языке тут приводится описание наиболее поучительных войн и сражений, а также развития вооруженных сил и способов ведения войны и боя с древнейших времен до наших дней. Несколько более подробно освещаются вопросы военной истории новейшего периода (после 1918 г.) и, особенно, важнейшие локальные войны второй половины XX века.

В книге представлены также основные моменты развития военного дела в Грузии до 1921 года. Эта часть работы – сокращенный текст лекций военной истории Грузии, которые автор читал в Абхазском государственном университете в 1984-1992 годах.

Настоящий краткий курс имеет целью дать отправные данные для глубокого изучения военной истории.